პრეზიდენტისთვის რეალობა სხვაგვარად ჩანს A2

ადგილობრივი ადმინისტრაციები - სახელისუფლებო ბლოკის მთავარი იარაღი A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 20 მაისი, 2003 წელი. №136 (348)

ფასი 50 თეთრი

კიდევ ერთი ნაბიჯი ნატო-სკენ

პროფესიონალ სამხედროთა პირველი ქართული ასეული გერმანიიდან კოსოვოში გაემგზავრა

გერმანიაში მომზადებული ქართული ასეულის კოსოვოში გაცილების ცერემონიალის შემდეგ გადაღებული სამახსოვრო ფოტო. შუაში - დავით თევზაძე და კოტე გაბაშვილი.

ფოტო: გიორგი საბანაძის პირადი არქივიდან

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ 18 მაისს მოინახულა ქართული ჯარის ასეული, რომელსაც გერმანიაში, ბუნდესვერის ბაზაზე, გერმანელი სპეციალისტები ამზადებდნენ. 19 მაისს 140 ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი კიოლნიდან კოსოვოში გაფრინდა, სადაც ექვსი თვე იმსახურებს და გერმანელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სამშვიდობო ოპერაციებში. ასეულს მეთაურობს ქართველი ოფიცერი, მაიორი გიორგი მელითაური. ქართველები იმსახურებენ ქართული დროშითა და მკლავნიშნულებით. ოპერაციას გერმანელები დააფინანსებენ.

ქართული ასეულის მომზადება აპრილის დასაწყისიდან მიმდინარეობდა ჯერ საქართველოში, შემდეგ გერმანიაში, "ლიპერვალდის" სატანკო ბრიგადის ბაზაზე, აუგსტდორფში. ექვსი თვის შემდეგ ამ ასეულს ახალი 140 კაცი შეცვლის და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ კოსოვოში სამშვიდობო ოპერაცია არ დასრულდება.

დავით თევზაძემ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება გერმანიაში, მონაწილეობა მიიღო ქართული ასეულის გაცილების ცერემონიალში. მას ბრიგადის გენერლები ა. მჭედლიშვილი და ვ. იმნაძე ახლდნენ. ცერემონიალს დაესწრო საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი და სამხედრო ატაშე მ. გუჯეჯიანი. მოსამზადებელმა პერიოდმა გერმანელ კოლეგებს უაღრესად დადებითი აზრი შეუქმნა ქართველ ჯარისკაცებზე.

"ამხელა ქართული ძალა ევროპაში თორნიკე ერისთავის შემდეგ არ ყოფილა. თქვენ იცით, როგორ ატარებთ ქართულ დროშას სამშვიდობო ევროპულ ოპერაციებში!" - გაამხნევა მინისტრმა ქართული მხედრიონი.

გერმანულ-ქართული სამხედრო თანამშრომლობის ეს ეტაპი ნატო-ს სტანდარტებთან მორიგი მიახლოება და საკონტრაქტო ჯარზე გადასვლის პირველი ნაბიჯია.

საქართველო აფხაზეთისთვის დღემდე საშიშია...

აცხადებს ოპოზიციური აფხაზური გაზეთის მთავარი რედაქტორი დაურ ნაჭყებია

მაია ჭალაგანიძე

აფხაზეთის ომის შემდეგ კალენდარულად დიდი დრო გავიდა. იმ აფხაზებსა და ქართველებს, ვინც ომში ახლობელი, მეგობარი, ოჯახის წევრი დაკარგა, კალენდარი არეული აქვთ და ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი გუშინ იყო. სინამდვილეში 12 წელი გავიდა და აფხაზი თაობა, რომელსაც საქართველოში არ უცხოვრია, წამოიზარდა. მათ არ იციან, როგორ ცხოვრობდნენ მათი მშობლები საქართველოს შემადგენლობაში, როგორ ჰყავდათ ქართველი მეგობრები. სამაგიეროდ იციან, რომ უნდათ დამოუკიდებელი, სუვერენული, განვითარებული ქვეყანა და რომ ამაში საქართველო უშლით ხელს.

ჩვენი დღევანდელი პერსონა, დაურ ნაჭყებია, ანალიტიკური ოპოზიციური გაზეთის "აიატაირა"-ს (აღორძინება) მთავარი რედაქტორია. აფხაზეთის ომის დაწყებამდე 10 წლით ადრე მან თსუ ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მერე ომობდა, ახლა კი ოპოზიციაშია...

აფხაზეთის ერთ-ერთ სახელისუფლო გამოცემაში ოპოზიციას ბრალი დასდეს - იმდენად ყველაფერში ხელისუფლების წინააღმდეგ ხართ განწყობილნი, რომ საქართველოსთან შეერთებაზეც არ იტყვით უარსო... ამ ოპოზიციაში დაურ ნაჭყებიაც იგულისხმებოდა, თუმცა, მთავარ რედაქტორსა და, შესაბამისად, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს არ ჰგონია, ოდესმე ეს დრო დადგეს...

გაგრძელება B1 გვერდზე

"აიატაირა"-ს მთავარი რედაქტორი დაურ ნაჭყებია "24 საათის" რედაქციაში.

ლელა მიქაძე

"დემოკრატები" ორი ნოემბრის ტრიუმფისთვის ემზადებიან

"ხელისუფლება საარჩევნო შტაბად გადაიქცა. ამ შტაბის წევრებს საერთო მსოფლმხედველობა კი არა, საკუთარი ფინანსების დაცვის სურვილი აერთიანებთ. პრეზიდენტი იმედდაკარგულ, გაწბილებულ ვეტერანებს ხვდება და ეუბნება, დანგრეულ ერაყს უნდა დავეხმაროთო... მეგზურებს, კარგი მუშაობის გამო, მადლობას უცხადებს და მედლებით აჯილდოებს... პრეზიდენტმა რეალობის შეგრძნება დაკარგა... შეხედეთ, რა ხდება კრიმინოგენული თვალსაზრისით. ბიზნესმენების ურთიერთობა ქუჩის დაჯგუფებების გასარჩევი გახდა... შეხედეთ, რა ხდება ენერგეტიკის სფეროში, საერთოდ, ეკონომიკაში... დღეს არ არის არც ერთი მიმართულება, რომელშიც საქართველო კატასტროფის წინაშე არ იდგეს", - ზურაბ ჟვანია ერთადერთი არ ყოფილა, ვინც გუშინ მსგავსი სულისკვეთებით გაჟღენთილ სიტყვებს წარმოთქვამდა. საბრძოლო განწყობა ყველა გამომსვლელს ეტყობოდა. მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიათი დაწყებული, საშუალო და პატარა ბიზნესის კავშირის წარმომადგენლებით დამთავრებული.

ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის სასახლეში "დემოკრატები" თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას ატარებდნენ. თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს მიხეილ მაჭავარიანი. მოადგილეების პოსტები საკრებულოელმა დავით ხუციშვილმა და პარლამენტარმა ჯამბულ ბაკურაძემ გაინაწილეს. "დემოკრატებმა" ასევე თბილისის ორგანიზაციის საბჭო და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაც დაამტკიცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

დროებითი საარჩევნო ადმინისტრაცია, შესაძლოა, რეალობად იქცეს

გუშინ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ სერიოზულად დაიწყო საუბარი დროებითი საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნაზე. შეხვედრის მონაწილენი თავიდანვე დარწმუნებულები იყვნენ, რომ ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე ვერანაირ შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ. არც შემცდარან.

A3

ეკონომიკა

"ტრამექსი" საქართველოს 24 მილიონ დოლარს სთხოვს

ენერგოსამშენებლო კომპანიის "ტრამექსის" ადვოკატი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის იურიდიული ფირმის ვიცე-თავმჯდომარე ალან ბატკინი შეეცდება, გაარკვიოს ქართულ მხარესა და ამერიკულ კომპანიას შორის წარმოქმნილი დავა, რომელიც 24 მილიონი დოლარის ინვესტიციას შეეხება.

A4

უცხოეთი

ისრაელის არმია პალესტინას სრულ ბლოკადაში აქცევს

იერუსალიმში კვირას განხორციელებული სისხლიანი ტერაქტის საპასუხოდ, ისრაელმა პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერზე იასირ არაფატზე სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლა გააძლიერა.

A5

საზოგადოება

აქცია საყოველთაო ამბოხების მუქარით

იმის მიუხედავად, რომ გუშინ პარლამენტის შენობის წინ გურამ შარაძის მხარდამჭერებს პოლიცია და წვიმა ერთობლივად უშლიდა ხელს, საპროტესტო აქცია მაინც მოეწყო.

A6

სამართალი

„კროკოში" ჩხრეკა კანონიერად ჩატარდა", - ამბობენ პოლიციელები

ტოტალიზატორ "კროკოს" ოფისების დარბევის ფაქტი კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. დარბეულთა მხრიდან პოლიციის მიმართ პრესკონფერენციაზე წამოყენებულ ბრალდებებს თბილისის პოლიცია პრესკონფერენციით პასუხობს.

A7

ამინდი

თბილისი	24
ქუთაისი	24
ბათუმი	21
სოხუმი	20
ფოთი	21
თელავი	23
ზუგდიდი	23
გორი	21
ახმეტა	23
ჭიათურა	22
გაბრა	19
სამტრედია	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1550
ევრო	2.4569
გირვანქა სტერლინგი	3.4909
რუბლი	0.0698

უცხოელებს საქართველოს ენერგეტიკაში ფულის ჩადება არ უნდათ

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევრაზიის ქვეყნების ენერგეტიკული მარეგულირებელი ორგანოების მესამე საერთაშორისო ფორუმი გაიმართა, სადაც ნათელი გახდა, რომ ევროპელი ინვესტორები საქართველოს ენერგოსექტორით აღარ ინტერესდებიან: მათ "ეი-ი-ესისა" და "იბედროლას" გამოცდილება აფრთხობთ.

ნინო ნარჩემაშვილი

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ასოციაციის (ERRA) წევრი 19 ქვეყნის, მათ შორის - საქართველოსა და სხვა დაინტერესებული ERRA-ს არაწევრი ქვეყნების დელეგაციები, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო თუ ბიზნესწრეების წარმომადგენლები. ფორუმის საქმიანობას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს. თვითონ ERRA კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს სტრატეგიისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, ინვესტიციების მოზიდვაში ეხმარება.

გაგრძელება A4 გვერდზე

თავდასხმასა და მკვლელობაში ბრალდებული „გაბრო" ბადრაგს გაექცა

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ, გამთენიისას, ოფთალმოლოგიის კლინიკიდან ბრალდებული აბო ალიევი გაიქცა. 27 წლის გაბრიელ ალიევი, მეტსახელად "გაბრო", ე. წ. კანონიერი ქურდი, ორი თვის წინ ბახტრიონის ქუჩაზე, დარჩიაშვილების ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმასა და საზარელ მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით იყო დაკავებული.

ბახტრიონის ქუჩის №20-ში მცხოვრებ დარჩიაშვილების ოჯახში დილის ათ საათზე ექვსი ნიღბიანი – თავზე წინდაჩამოცმული ყაჩაღი შეცვივდა. თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების მუქარით ოჯახის წევრებს ფული მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა, მიხეილ დარჩიაშვილმა, თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. განრისხებულმა ყაჩაღებმა მის მეუღლეს - ანა დარჩიაშვილს ყელი გამოსჭრეს შვილის, რძლისა და ერთი წლის შვილიშვილის თვალწინ.

გაგრძელება A7 გვერდზე

სახელისუფლებო ბლოკის პარტიები არჩევნებში დამარცხდნენ

თამარ მჭედლიშვილი

გასულ კვირადღეს, თითქმის ერთწლიანი დაგვიანებით, დაბა ხარაგაულში საკრებულოს არჩევნები გაიმართა. შვიდჯერ გადადებული კენჭისყრის შემდგომ ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რომ არჩევნები მაინც შედგებოდა, მაგრამ ერთ-ერთი კანდიდატის, რაიონის ყოფილი გამგებლის დავით სახვაძის თეთრმეტთვიანმა ბრძოლამ შედეგი მაინც გამოიღო – უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (და "სოციალისტთა" საკმაოდ სერიოზული პროტესტის მიუხედავად), ცენტრალური საარჩევნო კომისია მაინც იძულებული გახდა, ხელახალი არჩევნების თარიღი დაესახელებინა.

კენჭისყრის შედეგები საკმაოდ მრავლისმთქმელი აღმოჩნდა: ხუთმანდატიან საკრებულოში გასვლისათვის 10 კანდიდატი იბრძოდა, რომელთაგანაც ხუთს ადგილობრივი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი პარტიები ლობირებდნენ. მათ შორის: "მოქკავშირი", "სოციალისტები", "ეროვნულ-დემოკრატები" და "სახალხოელები". ამის მიუხედავად, გამარჯვება იმ კანდიდატებმა მოიპოვეს, ვისაც ოპოზიციური პარტიები (კერძოდ კი, "ნაციონალები" და "ახალი მემარჯვენეები") უმაგრებდნენ ზურგს. ამომრჩეველთა თითქმის 62-მა პროცენტმა ხმა სწორედ მათ მისცა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 კანონიერების კულტურა

B2 რევიუ B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

პარლამენტარები საარჩევნო ბეწვის ხიდზე ნელ-ნელა მიიწევენ წინ

გუშინ პარლამენტის ბიურომ მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგი დაამტკიცა და ხმაურიანი თემები ისე "გადაანაწილა", რომ თითოეულ სამუშაო დღეს ინტრიგა შეუნარჩუნა: დღეს დეპუტატები საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე იმსჯელებენ, ხვალისთვის დაიგეგმა აფხაზეთის საკითხის განხილვა, ყველაზე დაძაბული კი, ალბათ, მაინც კვირის მეორე ნახევარი იქნება, - ორი დღის განმავლობაში, ხუთშაბათს და პარასკევს, პარლამენტარები მოისმენენ აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და მიმდინარე წლის ოთხი თვის მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ვნებათაღელვის გარეშე ვერც ისეთი საკითხების განხილვა ჩაივლის, როგორებიც არის, მაგალითად, გენერალური პროკურორის მოთხოვნა დეპუტატ დავით ბეჟუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე, "სოციალისტების" ინიციატივა მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის გაუქმების შესახებ და სხვა.

გიორგი ასანიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ სასტუმრო "მერიოტში" ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა მთელ რიგ საკითხებში თანხმობას მიაღწიეს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო კანონმდებლობის გარშემო მიმდინარე პოლემიკა თანდათან სიმწვავეს დაკარგავს. ალბათ, პირიქით იქნება: კულმინაციის მომენტი სწორედ ახლა დგება, როდესაც წინა პლანზე გადმოდის, მართალია - ერთადერთი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, უმთავრესი შეუთანხმებელი საკითხები - საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება. უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, ცესკო-სა და უფრო დაბალი დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესზე კონსენსუსი რომ მოინახოს. ეს კი არა და, სულაც არ არის გამორიცხული გუშინ შეთანხმებული საკითხები ისევ ეჭვის ქვეშ დადგეს და მათ გარშემო ხელახლა ატყდეს აჟიოტაჟი. მითუმეტეს, ამის ნიშნები პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზევე გამოჩნდა: მხარეები ვერაფრით მორიგდნენ იმაზე, პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე თუ ვინ უნდა გამოიტანოს შეთანხმებული ვარიანტი: "სოციალისტმა" ზაქარია ქუცნაშვილმა თუ "მრეწველმა" ვახტანგ ხმალაძემ. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც კი სიჩქარეკრფილ საარჩევნო კამპანიის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

"პიარის ამბავია. ხმალაძე მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ფიგურაა, ქუცნაშვილი - არა. ამიტომ, გაგვიჭირდება ავუხსნათ ჩვენს ამომრჩევლს, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლის მიერ გამოტანილ ვარიანტს რატომ ვუჭერთ მხარს. ნუ გავიწყდებათ, რომ არჩევნები ბეწვის ხიდია და სულ უმნიშვნელო შეცდომის დაშვების უფლებაც კი არა გვაქვს," - გიორგი ბარამიძის ასეთმა გულახდილობამ მისი ოპონენტებიც კი გაოცებული დატოვა. თუმცა, "მერიოტში" გუშინ მიღწეული თანხმობის შემდეგ, მაინც დიდია იმის ალბათობა, რომ პარლამენტი დღეს საარჩევნო კოდექსში სამივე მოსმენით შეიტანს ცვლილებებსა და დამატებებს (იმ საკითხების გარდა, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციებს შეეხება).

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თვალშისაცემი ხდება შიდაფრაქციული მგრაციაც. ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ გაახმოვანა ის ცვლილებები, რომლებიც ბოლო პერიოდში მოხდა. მათ შორის ყველაზე ლოგიკურად შეიძლება მივიჩნიოთ ემზარ ბალაძის შესვლა ფრაქცია "აღორძინებაში" - იგი გიორგი თარგამაძის ადგილმონაცვლეა და, აქედან გამომდინარე, გასაოცარი უფრო ის იქნებოდა, სხვა პოლიტიკურ ძალას რომ დაკავშირებოდა.

"აღორძინებისგან" განსხვავებით, კლებაა "ნაციონალ" პარლამენტართა რიგებში: გიორგი კოხრეიძე ფრაქციიდან - "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებითვის" - გადის და დამოუკიდებელი დეპუტატი ხდება. თუმცა, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მაია სიმონიძემ "შეძლო": მან ლამის მთელი პარლამენტი "შემოირბინა" - საკანონმდებლო ორგანოში შევიდა "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით, შემდეგ "ახალ მემარჯვენეებთან" გადავიდა, მერე ეს ფრაქციაც დატოვა და დამოუკიდებელი დეპუტატი გახდა, სულ ბოლოს კი სანყის "წერტილს" - "მოქალაქეთა კავშირს" დაუბრუნდა. ისე, ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადა რომ არ იწურებოდეს, საინტერესოა, კიდევ რა პოლიტიკური მარშრუტით გადაადგილდებოდა ქუთაისელი დეპუტატი.

საარჩევნო თემატიკას უკავშირდება, აგრეთვე, ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ **"საარჩევნო კამპანიისთვის თანამდებობის გამოყენებას, ჯერჯერობით, არ აპირებს"**. "სოციალისტი" ირკლი მინდელის ცნობისმოყვარეობას, თუ რას ნიშნავს "ჯერჯერობით", პარლამენტის სპიკერი ასე აკმაყოფილებს: **"დურნოი პრიმერ ზარაზიტელნ. თქვენი პარტიული ლიდერები თანამდებობებს ამ მიზნით თუ იყენებენ, მე რატომ არ შემიძლია ამის გაკეთება?"**

როგორც აღვნიშნეთ, მომდინარე კვირის პლენარულ სხდომაზე ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი საკითხი აფხაზეთის თემა იქნება. გიორგი ბარამიძის აზრით, ზედაპირულ და ზერელე მსჯელობას აზრი არა აქვს და განხილვის მოწყობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი, თუ ხელისუფლება რაიმე კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს. ბოლოს, ბიუროზე გადაწყდა, რომ "ნდობის ჯგუფის" წევრები ამ საკითხზე დღეს შეხვდებიან სახელმწიფო მინისტრს, უშიშროების საბჭოს მდივანს, უშიშროების მინისტრს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს და მხოლოდ მათთან საუბრის შემდეგ გადაწყდება, აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა ღია იქნება თუ დახურული.

ამასობაში კი სულ უფრო იძაბება სიტუაცია აფხაზეთის მეზობელ რეგიონში - სამეგრელოში. სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ბესიკ ლაგვილავას თქმით, **"მიწაში გადამალული იარაღი გარკვეულ პირებს ნელ-ნელა მაღლა ამოაქვთ და მდგომარეობის აფეთქებით იმუქრებიან"**. დეპუტატი მოითხოვს, რომ ეს საკითხი პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ შეისწავლოს და, ამასთან, რეგიონში პარლამენტის გასვლითი სხდომის ჩატარებას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

ამ ინიციატივას პარლამენტის თავმჯდომარეც ეთანხმება, რომელიც მიმდინარე კვირაში პლენარულ სხდომების მთლიანად გაძღოლას ვერ შეძლებს - ნინო ბურჯანაძე დღეს ლიტვის დედაქალაქში მიემგზავრება, სადაც, "ვილნიუსის ათეულის" ეგიდით, ნატო-ში შესვლის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოების წარმომადგენელთა თავყრილობა გაიმართება.

ევროსაბჭო საქართველოს ეკონომიკური სანქციებით ემუქრება

მაია ურუშაძე

ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში იმყოფება, უკმაყოფილოა: საქართველოს ჯერ არ მიუღია კანონი, რომელიც უკანონო შემოსავლების ლეგალიზების აღკვეთას მოემსახურება. გუშინ ევროსაბჭოს ექსპერტებმა რობერტო ლამპონიმ, ჯონ სტეფან რინგაზიმ, სილვიო კამილერიმ და ივ გოდინეიმ უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს, გენერალურ პროკურორ ნუგზარ გაბრიჩიძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, მოგვიანებით კი – თავად პრეზიდენტ შევარდნაძეს შეახსენეს, რომ თუ საქართველომ ეს კანონი დროულად – 20 ივნისამდე არ მიიღო, მკაცრი ეკონომიკური სანქციები ელის. პრეზიდენტმა, თავის მხრივ, შესაბამისი "შესიჯი" წინასწარ დაახვედრა ევროსაბჭოს ექსპერტებს: გუშინ, დილით, მან მთავრობის ეკონომიკური გუნდის მუშაობა გააკრიტიკა და მას სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინება კატეგორიულად მოსთხოვა.

კანონპროექტი, რომლის მიღება-არმიღებაზეც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი უშუალოდ არის დამოკიდებული, უკვე მეორე წელია, მუშავდება. ის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა იგი კანონად რომ იქცეს, კიდევ ორი მოსმენაა საჭირო.

"მისი მიღება ტექნიკური მიზეზების გამო გაიწელა. ჩვენ ფიზიკურად დრო ვერ დავუთმეთ პროექტის განხილვას. თანაც, კომიტეტებსა და ცალკეულ დეპუტატებს ამ პროექტის მიმართ სერიოზული შენიშვნები ჰქონდათ," – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ, ევროსაბჭოს ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ. კანონპროექტი საქართველოში ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნას ითვალისწინებს, რომელმაც, საეჭვო ტრანზაქციების (გადარიცხვები) გამოვლენის მიზნით, საბანკო ოპერაციებზე კონტროლი უნდა განახორციელოს. ჯერჯერობით, დაბეჯითებით მხოლოდ ისაა გადაწყვეტილი, რომ ეს ჯგუფი საქართველოს ეროვნულ ბანკთან იარსებებს.

პროექტის მიხედვით, ფინანსური მონიტორინგის ჯგუფს ინფორმაცია "საეჭვო" თანხების მოძრაობის შესახებ სხვადასხვა კომერციულმა ბანკებმა უნდა მიაწოდონ. ის ინფორმაციას გადაამუშავებს და შემდგომ თავად შეამოწმებს "საეჭვო" თანხების წარმომავლობას.

ჯერჯერობით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმები უნდა იყოს "სასიგნალო" მონიტორინგის ქართული ჯგუფისთვის. საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით ქართულ კანონპროექტში საეჭვო ოპერაციების სია შეზღუდულია, რაც ევროსაბჭოს ექსპერტთა უკმაყოფილებას იწვევს. ქართული მხარე ამას იმით ხსნის, რომ ქართულ ბანკებს ბევრი ინფორმაციის დამუშავება, უბრალოდ, ფიზიკურად გაუჭირდებათ.

ევროსაბჭოს ექსპერტთა მოთხოვნით, მონიტორინგის ჯგუფს ხელი საბანკო საიდუმლოზეც უნდა მიუწვდებოდეს. საქართველოში მოქმედი კანონის მიხედვით კი, საბანკო საიდუმლოს გამჟღავნება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაშია დასაშვები. თუმცა, ამ წინააღმდეგობის გადასალახავად კანონპროექტის ავტორებმა კომპრომისი მაინც გამოძებნეს. თუ მონიტორინგის ჯგუფი ტრანზაქციას საეჭვოდ მიიჩნევს, ის პროკურატურას სასამართლოს გარეშე მიაწვდის ინფორმაციას. შემდეგ კი პროკურატურა გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა ძიების გაგრძელება და საჭიროების შემთხვევაში ნებართვისთვის სასამართლოს მიმართავს.

ევროსაბჭოს ექსპერტებს არც ის მოსწონთ, რომ კანონპროექტის მიხედვით, საქართველოში ქონების კონფისკაცია შემოიფარგლება დანაშაულის საგნის ჩამორთმევით. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, დამნაშავემ პასუხი მთელი ქონებით უნდა აგოს. თუმცა, საქართველოში არსებობს პრეცედენტი, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ სამართალდამცველთა ამგვარი გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია. ამის გამო კანონპროექტის ავტორები შიშობენ, რომ თუ ეს მუხლი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეიცვალა, პროექტს პარლამენტში ჩავარდნა ელის.

ამ ნინააღმდეგობების გამო ევროსაბჭოს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქართული პროექტი ჯერ ისევ დასახვეწია. არადა, მისი არმიღება საქართველოს ეკონომიკას დიდი დარტყმის ქვეშ დააყენებს: ქვეყნები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფის მოთხოვნებს, "შავ სიაში" ხვდებიან, რაც მათ მიმართ სერიოზული ეკონომიკური სანქციების შემოღების საბაბი ხდება. "შავ სიაში" მოხვედრილ ქვეყანაში დარეგისტრირებულ საკრედიტო ორგანიზაციებს უჭირთ თავისი ფილიალების გახსნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სივრცეში. მათი ბანკების ყველა ფინანსური ოპერაცია მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. "წესიერი" ქვეყნები "შავი სიის" ქვეყნების არასაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაშიც კი გაათმაგებულ სიფრთხილეს იჩენენ.

ამ სანქციების სიმწარე ორი წლის წინ ნაურუმ გამოსცადა, შარშან კი "შავ სიაში" უკრაინა მოხვდა - გასული წლის დეკემბერში ფინანსურ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფმა მის წინააღმდეგ თავისი სანქციებიც აამოქმედა.

ასე რომ, საქართველო რეალური საშიშროების წინაშე დგას. ევროსაბჭოს ექსპერტთა "შეფასების ჯგუფი", რომელიც თბილისს რამდენიმე დღეში ეწვევა, უკვე საქართველოს მიმართ გასატარებელი სანქციების ფორმაზე ისაუბრებს. **"კანონის მიუღებლობამ შესაძლოა, კიდევ უფრო გააუარესოს ისედაც ცუდი საინვესტიციო კლიმატი საქართველოში,"** – მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე. ამასობაში კი, საეჭვო გარიგებათა კრიტერიუმები მსჯელობის საგნად რჩება.

დროებითი საარჩევნო ადმინისტრაცია, შესაძლოა, რეალობად იქცეს

ვერიკო თევზაძე

სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები იმედს არ კარგავენ, რომ პარლამენტში მათი ვარიანტი გავა.

ხელისუფლების ინიციატივას, ცესკო-ს გაუქმების შემდეგ, დროებითი ერთთვიანი საარჩევნო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შესახებ ოპოზიციაც ეთანხმება, ოღონდ მისთვის მიუღებელია დროებითი ორგანოს დაკომპლექტების ის წესი, რომელსაც ხელისუფლება სთავაზობს. მოქალაქეთა კავშირი სამკაციანი დროებითი ცესკო-ს დაკომპლექტებას ითხოვს. კომისიაში იმ ფრაქციის თითო წარმომადგენელი შევა, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებზე 7-პროცენტიანი ბარიერი გადალახა ("მოქკავშირი", "მრეწველები", "აღორძინება"). ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კოტე კემულარია მოითხოვს, რომ დროებით კომისიაში გაერთიანებული ოპოზიციის ერთი წარმომადგენელი მაინც შევიდეს. ხოლო "მემარჯვენე" დავით კოღუაშვილის აზრით, დროებითი საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლით უნდა დაკომპლექტდეს.

გუშინდელ შეხვედრაზე სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დისაჯოს. შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს არა საარჩევნო კოდექსში, არამედ სისხლის სამართლის კოდექსში. რა სახის სასჯელი უნდა შეეფარდოს კანონდამრღვევს ამა თუ იმ დანაშაულისთვის, ამაზე დეპუტატებს არ უმსჯელიათ.

ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რამდენიმე მნიშვნელოვან ტექნიკურ საკითხში სიტყვიერ შეთანხმებებს მიაღწია. მაგალითად, ამ შეთანხმების საფუძველზე დამატებითი სიები უქმდება. სამხედრო პირებმა არჩევნებში მონაწილეობა ღია, გამჭვირვალე პირობებში უნდა მიიღონ. მასმედიას და მესამე სექტორს ამ პროცესზე კონტროლის საშუალება უნდა ჰქონდეს. ინვალიდებს და ავადმყოფებს, რომლებიც ხუთი დღით ადრე მიმართავენ საარჩევნო კომისიებს, საარჩევნო ყუთებს ოჯახში მიუტანენ. სიტყვიერად შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ყველა ამომრჩეველი მარკირებული იქნება, რაც გაყალბებას გამორიცხავს. ამას გარდა, სარჩევნო სიები ექვსი თვით ადრე უნდა შედგეს. ორნახევარი თვის განმავლობაში ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება გადაამოწმოს, იმყოფება თუ არა სიაში, რათა შემდეგ დამატებითი სია საჭირო არ გახდეს.

ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე ხელისუფლება და ოპოზიცია არამარტო ამ ეტაპზე ვერ თანხმდებიან, ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ ვერც მომავალში გამონახავენ საერთო ენას. შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია ცესკოს-ს ეუთო-ს წარმომადგენლობით დაკომპლექტების მომხრეა. ხელისუფლება და პრეზიდენტი შევარდნაძე ამას კატეგორიულად არ იზიარებენ. სოციალისტი ქუცნაშვილი გამოსავალს შემდეგში ხედავს: **"კენჭისყრაზე უნდა დადგეს საკითხი, თუ რომელი პრინციპი უნდა გახდეს კომისიის ფორმირების ბაზისი. რომელი მხარეც მეტ ხმას დააგროვებს, იმის ვარიანტი გავა."**

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ მოითხოვა, რომ სკოლებში საარჩევნო უბნები აღარ გაიხსნას, რათა განათლების მუშაკებზე პოლიტიკური ზეწოლა გამოირიცხოს. გუშინდელ შეხვედრაზე ამ საკითხის შესახებ არ უმსჯელიათ.

ამომრჩეველთა სიის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, ანუ ინტერნეტში მის განსათავსებლად ამერიკის განვითარების სააგენტო მილიონ ექვსასი ათას დოლარს გადაუხდის საერთაშორისო საარჩევნო სისტემების ფონდს, რომელიც სიებს ტექნიკურად დაამუშავებს.

პრეზიდენტისთვის რეალობა სხვაგვარად ჩანს

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, ტრადიციულ რადიოინტერვიუში, გასული კვირის შედეგები შეაჯამა. საქართველოს პრეზიდენტის ხედვა, ტრადიციისამებრ, ნაკლებად ემთხვევა გასული კვირის მოვლენების ჟურნალისტურ აღქმას.

თამარ ხორბალაძე

გასულ კვირას პრეზიდენტმა ნატო-ს გენერალურ მდივანს უმასპინძლა. ჯორჯ რობერტსონმა საქართველოში, დაახლოებით, ისეთივე "ოპტიმისტური" პროგნოზები გააკეთა ალიანსში ჩვენი ქვეყნის მომავალ წევრობასთან დაკავშირებით, როგორც ერთი დღის შემდეგ ერევანში. საქართველოს პრეზიდენტმა ეს მესიჯი, ცხადია, ამოიცნო, ამიტომ უშიშროების საბჭო მოიწვია, ნატო-ში გასაწევრიანებლად შემუშავებული პროგრამის დეტალები განიხილა, დავალებები და პასუხისმგებლობები გაანაწილა. რადიოინტერვიუში კი აღნიშნა - მხოლოდ ჩვენზეაო დამოკიდებული ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა და, ტრადიციისამებრ, ეს პერსპექტივა ხატოვნად აღწერა.

გასულ კვირას მთავრობის ეკონომიკური და ძალოვანი ბლოკის წარმომადგენლებიც შემოიკრიბა და კიდევ ერთხელ აღმოაჩინა, რომ ბიუჯეტიც და სსფ-ს ვალდებულებებიც კატასტროფულად ირღვევა, პენსიებიც მხოლოდ თბილისშია აპრილის ჩათვლით გაცემული. დაიმუქრა, რომ მთავრობის წევრებს პანკისის ოპერაციის (და ზოგადად სამხედრო სფეროს) დაუფინანსებლობა და სსფ-სთან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა შეიძლება, ძვირად დაუჯდეთ.

რადიოინტერვიუში კი გაფრთხილება გაიმეორა, თუმცა **"საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპს"** გაუსვა ხაზი, მადლობა გადუცხადა ფინანსთა მინისტრს სისტემაში განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებებისთვის. არაფერი უთქვამს პენსიებსა და პენსიონერებზე...

გასულ კვირას პრეზიდენტმა რეგიონსა და ცენტრს შორის ურთიერთობების დარეგულირებაც სცადა. თავად სახელმწიფო მინისტრიც აფრინა ბათუმში, ურთიერთობის ნულიდან დაწყებაც შესთავაზა რეგიონისა და ოპოზიციური ძალის ლიდერს. უარით გამოისტუმრეს.

რადიოინტერვიუში ამ შეხვედრის თაობაზე საერთოდ არ უსაუბრია - არაფერი ჰქონდა სათქმელი.

გასულ კვირას ედუარდ შევარდნაძემ დაუშვა საშიში პრეცედენტი - საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო აღმასრულებლების მიერ შენობიდან გამოსახლებული უკანონოდ შეჭრილი ადამიანები (გასაგებია, რომ ლტოლვილები, მაგრამ...) უკან შეასახლა.

რადიოინტერვიუში კი ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ეს წინასაარჩევნო ნაბიჯი გახლდათ, რადგან ამ ნაბიჯის კანონიერებაში ეჭვის შემტანებს მოუწოდა, ხმამაღლა განაცხადონ ამის შესახებ (მორალი ასეთია - დაირღვა თუ არა კანონი, გაბედეთ ეჭვი გამოთქვათ მაშინ, როცა საქართველოში ლტოლვილების ხმების მოსაპოვებლად თავიპირის მტვრევაა გაჩაღებული). მეტიც, იმაზეც ისაუბრა, რომ დღეს არსებული არაორგანიზებული ვაჭრობის აღკვეთა ლტოლვილების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. **"ჯიხურები მას შემდეგ უნდა აიღოთ, როცა ამ ხალხს დაასაქმებთ..."** - ნათქვამი იყო მესამე პირში და ალბათ საკრებულოს და მისი თავმჯდომარის მისამართით.

ცხადია, პრეზიდენტმა ოპოზიციას და მომავალ არჩევნებს გუშინდელ რადიოინტერვიუშიც ვერ აუარა გვერდი. **"არსებობს საშიშროება იმისა, რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს ხალხი, ვისაც არავითარი წვლილი არ შეუტანია დღევანდელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, სტაბილურობის შექმნაში, ვისაც ჩრიდან არ უღირს საქართველოს დამოუკიდებლობა... მე მგონი, დესტაბილიზაციაზე დღეს ყველაზე მეტს ის ლაპარაკობს, ვისაც სტაბილურობის პირობებში წარმატების იმედი არ აქვს,"** - აღნიშნა შევარდნაძემ და ამ ფონზე კვლავ თანამშრომლობისკენ მოუწოდა ყველას.

სახელისუფლებო ბლოკის პარტიები არჩევნებში დამარცხდნენ

პირველი გვერდიდან

პრეისტორია

გასული წლის 2 ივნისს საკრებულოების არჩევნები მხოლოდ დაბა ხარაგაულში ჩაიშალა – რაიონის სხვა საარჩევნო უბნებზე კენჭისყრა გაიმართა და მოსახლეობამ საკრებულოს წევრები აირჩია. თუმცა რაიონული საკრებულოს შემადგენლობა მაინც არასრული იყო – 20-ის მაგიერ, მასში მხოლოდ 19 წევრი შევიდა. ამის მიუხედავად, პრეზიდენტმა მაინც მიიღო გადაწყვეტილება და რაიონში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა ისე შემოიღო (ანუ გამგებელი საკუთარი შეხედულებისამებრ დანიშნა), რომ დაბაში ხელახალი არჩევნების შედეგებს არ დალოდებია.

თავიდანვე გამარჯვების იმედი ჰქონდათ როგორც "სოციალისტებს" (რადგან ხარაგაული, თერჯოლასთან ერთად, ამ პარტიის მთავარ საყრდენს წარმოადგენს იმერეთში, როგორც კადრების, ასევე ფინანსების თვალსაზრისით), ასევე ოპოზიციური პარტიების კანდიდატებს. მათ შორის, რაიონის გამგეობის ყოფილ ხელმძღვანელს დავით სახვაძეს, რომელიც, თავის მხრივ, თემურ შაშიაშვილისა და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, "ნაციონალ" ლადო ჭიპაშვილის საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.

"სოციალისტებისთვის" მთავარ პრობლემას დაბა ხარაგაულის საკრებულო წარმოადგენდა, სადაც კენჭი უნდა ეყარა სახვაძეს, რადგან წინასწარ ყველა ხვდებოდა, რომ სახვაძე გაიმარჯვებდა. ამიტომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სოციალისტურმა პარტიამ საკმაოდ შეხმატკბილებულად იმოქმედეს და არჩევნები რამდენჯერმე წარმატებით ჩაშალეს.

რაიონული მასშტაბის პოლიტიკოსი

როგორც ამბობენ, რამდენჯერმე ხელოვნურად ჩაშლილი არჩევნები სწორედ ამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგია. სხვათა შორის, მართალია, ირიბად, მაგრამ "სოციალისტების" მხარეს აღმოჩნდა თავად პრეზიდენტი, რომელმაც რაიონში პირდაპირი მმართველობის შემოღების გადაწყვეტილება მიიღო.

პრეზიდენტის ამ ნაბიჯს პოლიტიკურ კულუარებში სწორედ სოციალისტების თავგამოდებით ხსნიან, რომელთათვისაც საკმაოდ მიუღებელი იყო დავით სახვაძის კანდიდატურა და გამგებლის პოსტზე საკუთარი მხარდამჭერის ხილვა სურდათ. სხვათა შორის, არსებობს ინფორმაცია, რომლის თანახმად, სახელისუფლებო ბლოკში გაწევრიანების წინ "სოციალისტებსა" და "მოქკავშირს" შორის გაჩაღებული ვაჭრობის ერთ-ერთ საგანს სწორედ ხარაგაული წარმოადგენდა. თავიდან პრობლემა "სოციალისტების" სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა ცალკე დავით სახვაძემ და ცალკე მისმა მხარდამჭერებმა თერთმეტი თვე მოანდომეს, რომ მდგომარეობა გამოესწორებინათ და ცესკო-ს დაბაში ხელახალი არჩევნები დაენიშნა. უნდა ითქვას, რომ თავის მხრივ, არჩევნების გამართვის გადადების მიზეზი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც არის საძიებელი, რადგან სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლები ხელოვნურად შლიდნენ სხდომებს, რათა კომისიას არჩევნების თარიღი ვერ დაესახელებინა. ამ მხრივ, განსაკუთრებით "სოციალისტებმა" ივაჟკაცეს, უფრო ზუსტად კი, კომისიის წევრმა დენის დავითაშვილმა, რომელიც ძალზე ხშირად სხდომას დემონსტრაციულად ტოვებდა, რათა კვორუმი აღარ ყოფილიყო და კომისიის წევრებს გადაწყვეტილება ვერ მიეღოთ.

წინა რამდენიმე კენჭისყრის ჩაშლის პოლიტიკურ მიზეზებზე თავად "სოციალისტებიც" ღიად საუბრობენ. "პრაიმ-ნიუსთან" საუბარში პარლამენტის თვიმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, ხარაგაულელმა ნუგზარ ნავაძემ აღნიშნა, რომ გასულ არჩევნებში ხარაგაულელი "სოციალისტები", "ეროვნულ-დემოკრატები", "მოქკავშირელები", "აღორძინების" წევრები და "სახალხოელები" დავით სახვაძეს და მის ჯგუფს უპირისპირდებოდნენ, **"რომლებიც, არჩევნების გაყალბების გზით, დაბის საკრებულოში მოხვედრას ცდილობდნენ, რადგან დაბის საკრებულოში არჩევის შემდეგ, სახვაძეს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ უკვე რაიონის ასოცირებულ საკრებულოშიც შესულიყო და პრეზიდენტს კვლავ რაიონის გამგებლად დაენიშნა".** თუმცა, ნავაძე იქვე აცხადებს, **"რომ ამჟამად დაპირისპირებას აზრი აღარ აქვს, რადგან პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინ ახალი გამგებელი ტოგო ხიჯაკაძე დანიშნა".**

მთელი ამ ხნის მანძილზე ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ სოციალისტებთან დაპირისპირებული პარტიების წარმომადგენლებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს "ნაციონალური მოძრაობისა" და "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლები იყვნენ.

კენჭისყრა

როგორც უკვე ვთქვით, დაბის ხუთმანდატიანი საკრებულოს წევრობისთვის 10 კანდიდატი იყრიდა კენჭს. დილიდან დაბაში სიტუაცია საკმაოდ მშვიდი იყო და უკვე საღამოს ექვსი საათისთვის არჩევნები გამართულად გამოცხადდა, რადგან ამომრჩეველთა ერთი მესამედი უბნებზე უკვე მისული იყო.

ვითარება არც საღამოს რვა საათისთვის შეცვლილა. ორივე უბანზე კენჭისყრა მშიდობიანად დასრულდა და უბნები ზუსტად რვა საათისთვის დაიკეტა. კომისიის საორგანიზაციო განყოფილების თავმჯდომარის დალი დავითაშვილის განცხადებით, უკვე საღამოს ცხრის ნახევრისთვის ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 62-მა პროცენტმა.

ორივე უბანზე ხმების დათვლის შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ დაბის საკრებულო მთლიანად ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებით დაკომპლექტდა. "24 საათთან" საუბარში რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, "ნაციონალმა" ლადო ჭიპაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამარჯვება ოპოზიური პარტიების კოორდინირებულმა ქმედებებმა განაპირობა, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება კენჭისყრამდე მოსახლეობის დაშინებას ცდილობდა. **"შევარდნაძის პოლიტიკამ ადგილებზე სრული მარცხი განიცადა. ეს პოლარიზებული არჩევნები იყო – ერთ მხარეს იდგნენ სახელისუფლებო ძალები, რომელთაგანაც ხარაგაულელებს კარგი არაფერი ახსოვთ და მეორე მხარეს - გაერთიანებული ოპოზიცია. "ხარაგაულელებმა ხმა ჯანაღი ძალების წარმომადგენლებს მისცეს",** – ამბობს ლადო ჭიპაშვილი. სულ მალე რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელობის ახალი არჩევნები გაიმართება და არ არის გამორიცხული, რაონული საკრებულოს თავმჯდომარე სწორედ დავით სახვაძე გახდეს. ლადო ჭიპაშვილი ამბობს, რომ **"ხელისუფლებისაგან მართულ გამგებელს ოპოზიცია საკრებულოს დაუპირისპირებს, რომელიც მოსახლეობის ინტერესების გამტარებელი იქნება".**

საინტერესოა, რომ სულ მალე ხარაგაულში მოქმედი ოპოზიციური პარტიები ოფიციალურად მოუწოდებენ ყველა ოპოზიციურ ძალას გაერთიანებისა და არჩევნებში ერთობლივი ძალებით გამოსვლისაკენ, რადგან, მათი განცხადებით, **"მხოლოდ კოორდინირებულ ქმედებას შეუძლია დღევანდელი კორუმპირებული ხელისუფლების დამარცხება, რისი მაგალითიც ხარაგაულის საკრებულოს არჩევნებია".**

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, არჩევნების დღეს რაიონში იმყოფებოდა ნუგზარ ნავაძეც. გვიან ღამით მან ხარაგაული ისე დატოვა, რომ გამარჯვებულებს წარმატება არც კი მიულოცა.

"ნაციონალებმა" თავისი გაიტანეს

მაია მოსიაშვილი

ერთი თვის მანძილზე "ნაციონალური მოძრაობა" რუსთავის საპენსიო ფონდიდან 2003 ადამიანის გაყინული პენსიის შესახებ ინფორმაციას უშედეგოდ ელოდა. ცნობები ნაციონალებს სასამართლოში წარსადგენად სჭირდებათ. საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი ეკა შანშაშვილი ირწმუნებოდა, რომ ნაციონალების მოთხოვნაში ბევრი იურიდიული ლაფსუსი იყო და ცნობების გაცემას არ ჩქარობდა. **"მათ პენსიონერები საგანმანათლებლო ცენტრში "ნიუ თაიმ"-ში გააერთიანეს. ამის გამო ეს ადამიანები მომუშავეებად ითვლებიან

"დემოკრატები" ორი ნოემბრის ტრიუმფისთვის ემზადებიან

ჰირველი გვერდიდან

დაახლოებით, 2000 გულშემატკივარს სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი და უკვე თბილისის ორგანიზაციის ლიდერი მაჭავარიანი ანგარიშის ჩაბარებას 3 ნოემბრისთვის დაჰპირდა, ისე, რომ საკუთარი პარტიის გამარჯვებაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარებოდა. **"ეს წელი ჩვენი გამარჯვების ტრიუმფალური წელი უნდა იყოს. ჩვენმა ერთ-ერთმა მეგობარმა მწერალმა, ხელისუფლება, დამკრძალავ ბიუროს შეადარა. ჩვენს გამარჯვებას არავის დავუთმობთ. ჩვენ გავიმარჯვებთ".** მაჭავარიანის განწყობას პარტიის გენერალური მდივანი გოკა გაბაშვილი დაეთანხმა: **"2 ნოემბერი დღევანდელი ხელისუფლების ფიასკოს დღე იქნება... ხელისუფლება წავა შანტაჟსა და დაშინებაზე. მათ ეშინიათ თქვენი იდეების, თქვენი ლიდერების და ჩვენი ერთად ყოფნის... ჩვენ შემოვივლით სოფლებსა და ქალაქებს. ისინი მრავალათასიან მანიფესტაციებს ნახავენ".**

ამ რამდენიმე თვის წინ, "დემოკრატების" მიერ გამართულ ეროვნულ კონვენტზე, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ განაცხადა: "ჩვენ გავიმარჯვებთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებშიო"... გუშინ ზურაბ ჟვანია აცხადებდა, რომ "მომავალ არჩევნებში დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება მათთან ბრძოლაში 0:10 ანგარიშით დამარცხდება". თუმცა, აქვე იმასაც აზუსტებდა, რომ მისი "მიზანი ედუარდ შევარდნაძის შეცვლა კი არა, მისი სისტემასთან ერთად შეცვლაა...ეს არჩევნები კი სამშობლოსთვის ბრძოლაა"...

ლევან ხარხელაურის ფოტო

"გაერთიანებული დემოკრატები" არჩევნების საერთო სახალხო მოძრაობად გადაქცევას აპირებენ.

როგორც გუშინ გაირკვა, ახლა "დემოკრატები" კიდევ ერთი აქციის წამოწყებას აპირებენ. გუშინდლიდან მათ საკუთარი მხარდამჭერების აღრიცხვა გადაწყვიტეს, იმისათვის, რომ საკუთარი მხარდამჭერების მრავალრიცხოვნობა იგრძნონ და თითოეული მათგანი სამომავლო ბრძოლაში ჩართონ.

მთავრობა უკანონო გადაწყვეტილებებს იღებს

მაია ურუშაძე

გუშინ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტის ხარჯების 55 მილიონი ლარით "შეზღუდვის" შესახებ. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, შეზღუდვა, ძირითადად, საგარეო ვალების მომსახურებას შეეხება. დანარჩენი ხარჯები პროპორციულ შეზღუდვაში მოჰყვება.

მთავრობის გადაწყვეტილება იოლი ასახსნელია: შემოდგომაზე პარიზის კლუბთან საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ მოლაპარაკება უნდა დაიწყოს. მოლაპარაკებებზე არც თუ უმნიშვნელო როლი დაეკისრება სავალუტო ფონდის მხარდაჭერას, რისი იმედიც მთავრობას, გარღვეული ბიუჯეტის შემთხვევაში, ნაკლებად ექნება.

ამის გამო, მთავრობა ბიუჯეტის გარღვევას "ხარჯების შეზღუდვით" მკურნალობს. **"შარშან ამას კორექტირებას უწოდებდნენ, ახლა სახელი გადაარქვეს, არსი კი იგივე დარჩა,"** – განმარტავს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მისი განცხადებით, მთავრობის გადაწყვეტილება საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯების შეზღუდვების შესახებ, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სეკვესტრი, უკანონოა. **"თუ რომელ საბიუჯეტო ორგანიზაციას უნდა შეუმცირდეს ხარჯები და რა მოცულობით, ამის გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივაა,"** – აცხადებს გოცირიძე.

საქართველოს კანონით - "საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" - გადაწყვეტილება ბიუჯეტის ხარჯების 10 პროცენტზე მეტად შემცირების შესახებ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. იმ შემთხვევაში კი, თუ ხარჯების შემცირება 10 პროცენტზე ნაკლებია (რაც ამ შემთხვევაში ხდება), თანხა უკლებლივ ყველა მხარჯველ ერთეულს პროპორციულად უნდა დააკლდეს. **"რომელიმე კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის პრიორიტეტის მინიჭების უფლება მთავრობას არ გააჩნია,"** – აცხადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი.

ადგილობრივი ადმინისტრაციები - სახელისუფლებო ბლოკის მთავარი იარაღი

ბადრი კოკლატაძე

ბოლო ორი კვირის განმავლობაში სახელისუფლო ბლოკის ლიდერებმა საჯარო გამოსვლების ტონალობა რადიკალურად შეცვალეს. ისინი უკვე დიდი შემართებით და რიხით აცხადებენ, რომ არჩევნებს სწორედ სახელისუფლო ბლოკი მოიგებს, რომ მათ ოპონენტებს გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ და სწორედ ამიტომ არის დაინტერესებული ოპოზიცია არჩევნების წინ სიტუაციის დაძაბვით.

ასეთი ფერისცვალება გასაგები იქნებოდა, ქვეყნაში რაიმე მაინც რომ შეცვლილიყო უკეთესობისკენ - ან საბიუჯეტო გარღვევა დაძლეულიყო, ან თუნდაც სახელფასო და საპენსიო დავალიანება შემცირებულიყო. აღარაფერს ვამბობთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და კრიმინოგენულ სიტუაციაზე. სამწუხაროდ, არაფერი მსგავსი საქართველოში არ ხდება. ამ ფონზე ხელისუფლების ბოლოდროინდელი თავდაჯერებულობა შეიძლება ოპოზიციის წინააღმდეგ კანცელარიის ახალ ტაქტიკად მიგვეჩნია, თუმცა ეს, ალბათ, საკითხისადმი გამარტივებული მიდგომა იქნებოდა.

"არჩევნების გაყალბებაზე მეტად ამომრჩევლების მოსყიდვის მეშინია," - ასეთი განცხადება გააკეთა რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მართლაც ძნელია, არ გაიზიარო პრეზიდენტის შეშფოთება მაშინ, როდესაც ქვეყნაში კანონიერად თუ უკანონოდ არსებული ყველა ფინანსური საშუალება არჩევნებისაკენ იქნება მიმართული. მაგრამ ვისგან მოდის უპირველესად ეს საფრთხე? - ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შორს წასვლა საჭირო ნამდვილად არ არის.

იმედია, მოუცლელობის მიუხედავად, პრეზიდენტის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სახელისუფლო ბლოკის ლიდერთა რაჭაში ვოიაჟი. ასეთ შემთხვევაში ძალზე საინტერესოა, რა შეფასებას მისცემს თვითონ შევარდნაძე მის მიერ ახლად დანიშნული გუბერნატორის დადებულ პირობას, რომ გააორმაგებს და გაასამმაგებს თავის საკურატორო ზონაში "მოქკავშირის" მომხრეთა რაოდენობას. ალბათ არავის სჯერა, რომ ამ შედეგის მიღწევა მარტოოდენ ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებზე დაყრდნობით იქნება შესაძლებელი. არც იმის პროგნოზირებაა ძნელი, თუ როგორი ფორმით შეეცდებიან სახელისუფლო სტრუქტურები ამომრჩევლებზე ზემოქმედებას. ვინც "კარგად" მოიქცევა, იმას გზას გაუყვანენ, კომუნალურ პრობლემებს მოუგვარებენ, ხელფასს დაურიგებენ, პენსიას მისცემენ. ხოლო ვინც წინააღმდეგობის გაწევას დააპირებს, ყველა ამ სიკეთეს მოკლებული აღმოჩნდება. თუმცა კი, ამომრჩევლებისადმი ასეთი დამოკიდებულება პრეზიდენტისათვის შეიძლება სულაც არ იყოს "მოსყიდვა" და ამ ყველაფერს ხალხზე ზრუნვის კვალიფიკაცია მიეცეს.

რაჭაში გამართული შეხვედრები, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი რგოლია პროცესთა იმ ჯაჭვისა, რასაც ადმინისტრაციული ბერკეტების სრული ძალით ამოქმედება ჰქვია. სწორედ ამ რესურსის ეიმედება ყველაზე მეტად სახელისუფლო ბლოკს; სწორედ ეს არის მათი თავდაჯერებულობის უმთავრესი წყარო. სხვათაშორის, ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივ არჩევნებში განცდილ კატასტროფას მუდმივად იმას უკავშირებენ, რომ მათ მოსამზადებლად ანუ ბერკეტების ასამუშავებლად დრო არ ჰქონდათ. ამჯერად შეცდომის გამეორებას ისინი არ აპირებენ.

უნდა ითქვას, რომ დღეს ეს პრობლემები ასე მწვავედ არ დადგებოდა, თავის დროზე პარლამენტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სრული არჩევითობა რომ დაეკანონებინა. მაშინ ამ გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ შვიდი ხმა დააკლდა და დღეს გამგებლები კვლავ პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან. ასეთი სისტემის შედეგად ბევრმა ძველმა გამგებელმა სკამების შენარჩუნება უპრობლემოდ შეძლო. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონებში კონტროლის დამაგვირგვინებელ რგოლს კი პრეზიდენტის დანიშნული რწმუნებულები წარმოადგენენ. ფაქტობრივად, ადგილებზე მთელი აღმასრულებელი ვერტიკალი პრეზიდენტის მიერ არის ხელდასხმული. სახელისუფლო ბლოკი, რომელსაც შევარდნაძე ხელმძღვანელობს, ბუნებრივია, ყველა ამ ფაქტორის მაქსიმალურად გამოყენებას შეეცდება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დღევანდელი ლიდერები პირველები არ არიან, ვინც არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენას ასეთი ფორმით ცდილობენ. ბოლო წლებში ჩატარებულ არც ერთ არჩევნებს ხელისუფლების "ყურადღების" გარეშე არ ჩაუვლია. თუმცა განსხვავებაც არის: მაგალითად, დღემდე ჯერ არავის უთქვამს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებმა მხოლოდ სახელისუფლო ბლოკს უნდა დაუჭირონ მხარი და ამით გადაუხადონ მადლობა ხელისუფლებას ქაღალდზე გამოწერილი ხელფასებისთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში 300 000 ადამიანზე მეტია დასაქმებული, ადვილი წარმოსადგენია, ადმინისტრაციული ბერკეტების რა მასშტაბით გამოყენებაზე შეიძლება იყოს საუბარი. როგორც ჩანს, ლუი მეთოთხმეტის მოძღვრების ქართველ მიმდევრებს, მათთვისვე სამწუხაროდ, ავიწყდებათ, რომ ახლა არც მეჩვიდმეტე საუკუნეა და არც მათ ძარღვებში ჩქეფს მეფური სისხლი.

"ტრამექსი" საქართველოს 24 მილიონ დოლარს სთხოვს

სოფო კვინტრაძე

საქართველოში იმყოფება ამერიკული ენერგოსამშენებლო კომპანიის "ტრამექსის" ადვოკატი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის იურიდიული ფირმის ვიცე-თავმჯდომარე ალან ბატკინი, რომელიც საქართველოს მთავრობის წევრებს ხვდება. გავლენიანი იურისტი შეეცდება, გაარკვიოს ქართულ მხარესა და ამერიკულ კომპანიას შორის წარმოქმნილი დავა, რომელიც 24 მილიონი დოლარის ინვესტიციას შეეხება. როგორც ცნობილია, 1991-92 წლებში "საქნავთობსა" და "ტრამექსის" ერთობლივმა საწარმომ "ჯი-თი-აიმ" სახელმწიფოსგან მაგისტრალური ნავთობსადენების აღდგენისა და სუფსის ტერმინალის მშენებლობის ლიცენზია მიიღო. ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მილსადენის განახლებასა და სუფსის პირველი ტერმინალის მშენებლობაში სოლიდური ინვესტიცია ჩადეს. თუმცა, ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო, საქართველოში საქმიანობა შეწყვიტეს და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. დღეისათვის, "ტრამექსი" ქართულ მხარეს, მთლიანობაში, 24 მილიონ დოლარს სთხოვს. 1996 წელს, როდესაც პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია შეიქმნა, "საქნავთობის" კუთვნილი ქონება, რაშიც ამერიკულმა კომპანიამ ინვესტიცია ჩადო, სნსკ-ს მფლობელობაში გადავიდა. ამდენად, "ტრამექსი" ჩადებული ინვესტიციის ანაზღაურებას კორპორაციას - როგორც "საქნავთობის" ქონების სამართალმემკვიდრეს - სთხოვს. იუსტიციის სამინისტრომ "ტრამექსის" მოთხოვნის საფუძვლიანობა შეისწავლა და დასკვნაც მოამზადა. როგორც "24 საათს" იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი სვანიძემ განუცხადა, "ტრამექსის" მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არა აქვს. **"ქართულ-ამერიკულმა ერთობლივმა საწარმომ ლიკვიდაცია განიცადა. თუ ამერიკელებს რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, ეს ლიკვიდაციის პროცესში, ათი წლის წინ უნდა დაეფიქსირებინათ. ამას გარდა, ჩვენ მილსადენების აუდიტორული შემოწმება ჩავატარეთ, სადაც ამგვარი სოლიდური ინვესტიციის განხორციელება არ დაფიქსირებულა,"** – აცხადებს გიორგი სვანიძე. სამინისტროს წარმომადგენელი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამერიკულმა კომპანიამ არარსებული ინვესტიციების უკან მოთხოვნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საქმიანობა რენტაბელური გახდა.

"ტრამექსის" ადვოკატი ალან ბატკინი გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას შეხვდა. ბატკინმა ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. ქართული მხარე თანხის გადახდას არ აპირებს და საერთაშორისო აუდიტის ჩატარებას ითხოვს.

უცხოელებს საქართველოს ენერგეტიკაში ფულის ჩადება არ უნდათ

პირველი გვერდიდან

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლის პაატა ცინცაძის ინფორმაციით, ERRA-ს წევრ ქვეყნებს მრავალი საერთო პრობლემა გააჩნიათ და ისინი განიხილება როგორც ფორუმზე, ასევე სამუშაო შეხვედრებზე. აღნიშნულ მესამე ფორუმზე კი მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შეთანხმება თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და უკრაინის შემადგენლობით რეგიონული ენერგეტიკული ბაზრის შექმნის შესახებ. ეს პროცესი 2003-2004 წლებში განხორციელდება და აღნიშნულ ქვეყნებში ერთიანი ენერგოპოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს. მისი თქმით, ERRA-ს მიერ მიღებულ დადგენილებებს ნორმატიული აქტის ძალა არა აქვს, მაგრამ თუ ქვეყანას სურვილი აქვს, რომ ამ ორგანიზაციის - ერთიანი ენერგეტიკული სივრცის წევრი იყოს, უნდა გაითვალისწინოს, დაიცვას და შეასრულოს ისინი. გარდა ამისა, ERRA-ში წარმატებული ფუნქციონირება ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საქართველოსათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ აღნიშნული ფორუმის ფარგლებში იმართება ღონისძიება სახელწოდებით - "რეგულირება და ინვესტიცია", სადაც მსოფლიოს მსხვილ ინვესტორებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ, პირდაპირ გააფორმონ ხელშეკრულებები მათ მიერ შერჩეულ ქვეყნებთან. პაატა ცინცაძის განცხადებით, წლევანდელ ფორუმში ოთხმოცამდე ასეთი პოტენციური ინვესტორი მონაწილეობდა. მათ დსთ-ში შემავალი ქვეყნებიდან ინვესტირებისთვის შეარჩიეს რუსეთი და ბალტიისპირეთი. სამწუხაროდ, საქართველოთი არც ერთი მათგანი არ დაინტერესდა. პაატა ცინცაძის განცხადებით, მიზეზი ნათელია, რადგან საქართველოში საინვესტიციო გარემო გაუარესდა. უარყოფითად იმოქმედა ინფორმაციამ ელექტროენერგიის საგადასახადო ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებული ბატალიების შესახებ. "მარეგულირებელი ორგანოების მუშაობის ეფექტურობა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხი საქართველოში დაბალია და უცხოელმა ინვესტორებმა ეს პირველ შემაფერხებელ გარემოებად მიიჩნიეს," –ამბობს პაატა ცინცაძე. მისი თქმით, ინვესტორთა მოთხოვნა მარტივია – ითანამშრომლონ სტრუქტურასთან, რომელიც დაცული იქნება პოლიტიკური ზეწოლისაგან, უზრუნველყოფს ინვესტიციის უსაფრთხოებას და ბიზნესის ნორმალური წარმოების საშუალებას. გარდა ამისა, მათ აინტერესებთ ქვეყანაში უკვე მომუშავე სხვა უცხოელი ინვესტორების აზრიც.

ელიზბარ ერისთავი და პაატა ცინცაძე აღიარებენ, რომ საქართველოში მძიმე საინვესტიციო გარემოა.

საქართველოს ამ მხრივაც არა აქვს საქმე კარგად: "ეი-ი-ესი" ხელისუფლებისაგან აშკარა პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის და, შესაბამისად, მისი აზრიც ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოზე უარყოფითია. პრობლემები აქვს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში შემოსულ ესპანურ კომპანია "იბედროლასაც".

პაატა ცინცაძე აცხადებს, რომ არსებული ენერგოკრიზისიდან გამოსვლას საქართველო დამოუკიდებლად ვერ შეძლებს და თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ენერგეტიკამ იარსებოს, საერთაშორისო წესებს უნდა დავემორჩილოთ და ინვესტორებს ხელსაყრელი პირობები უნდა შევუქმნათ.

მონიტორინგი

შედარებითაც კი არ არის შესრულებული. მათ შორის, მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა I კვარტლის გეგმასთან შედარებით 81,3% არის შესრულებული, ხოლო მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა - 56%-ით.

ცხრილი №1

2003 წლის 13-16 მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

№	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	დავალიანების დაფარვა	**316.0**
	რწყილებში განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო სახელფასო დავალიანება	3 6.0
2	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	**25.0**
	ლტოლვილთა ყოველთვიური დახმარება	25.0
3	სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამები	**50.0**
4	აგრარული პროგრამები	**367.0**
5	საბიუჯეტო ორგანიზაციების აპრილის თვის კვების ხარჯები	**1,323.6**
	თავდაცვის სამინისტრო	550.0
	უშიშროების სამინისტრო	69.0
	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	338.6
	დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	4.0
	სახელმწიფო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	133.3
	იუსტიციის სამინისტრო	228.7
6	სოციალურ ფონდის ტრანსფერი	**1,500.0**
	საქართველოს ტრანსფერი	1,000.0
	უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება	500.0
7	საქართველოს პრეზიდენტის ფონდი	**8.0**
	საქართველოს კულტურის სამინისტრო (აკაკი ბაქრაძის მხატვრობრივების პირველი ტომის გამოსაცემად)	8.0
8	სახელმწიფო სარეზერვო ფონდი	**407.0**
	ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ავტონომიის (სამხრეთ ოსეთისთვის შიდაქართლის სახელის ადმინისტრაციის)	407.0
9	განათლების სამინისტროს პროგრამები	**10.3**
10	კულტურის სამინისტროს პროგრამები	**9.5**
11	სხვა ხარჯები და მოშლახურება	**289.1**
	საქართველოს პარლამენტი	42.5
	ერთჯერადი სოციალური საკურსი	100.0
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	121.6
	ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ფინანსური	14.0
	უშიშროების სამინისტრო	8.0
	იუსტიციის უზენაესი სასამართლო	2.0
	ადმინისტრაციული სახელმწიფო დეპარტამენტი	1.0
12	სამეულისები ხარჯები	**57.0**
	საქართველოს პარლამენტი	15.0
	პრეზიდენტის აპარატი	35.0
	უშიშროების სამსახური	3.4
	საფულის მეურნეობისა და სერვისის სამინისტრო	3.6
13	სუბსიდიები	**1,018.0**
	სახელმწიფო სადისტრიბუციო სამსახური	18.0
	სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო	1,000.0
14	სახსრების გადარიცხვებში ჩამოჭრილი თანხები	**61.3**

ცენტრალური ბიუჯეტიდან წინა კვირას გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია N1 ცხრილში.

წინა კვირაში ფინანსთა სამინისტრომ საერთოდ აღარ ასახა წარმოდგენილ ინფორმაციაში სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ **მთავრობის მხრიდან საზოგადოებისათვის ყალბი ინფორმაციის მიწოდების ტენდენცია კვლავ გრძელდება.**

წინა კვირას, საკმაოდ დიდი დაგვიანებით, ძალოვანი სტრუქტურების აპრილის თვის კვების ხარჯები დაფინანსდა. სამხედრო ძალები, პრაქტიკულად, შიმშილის ზღვარზეა.

აპრილის თვის ხელფასების დაფინანსება ჯერ არ დასრულებულა.

სამაგიეროდ, კვლავ გაგრძელდა ენერგოსექტორის სუბსიდირება. ამჯერად "მხოლოდ" 1 მილიონი ლარი გაიმეტეს "საპრაკრუტკოდ". სხვა ხარჯებსაც თუ დავამატებთ, "პრაკრუტკის" ბაზა წინა კვირას 1,3 მილიონ ლარს შეადგენს.

1,5 მილიონი ლარი გამოეყო სოციალურ ფონდს. მათ შორის, 1 მილიონი ლარი საპენსიო ტრანსფერის სახით.

პენსიების დაფინანსებაში კვლავ სავალალო მდგომარეობაა.

თებერვლის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა, დაახლოებით, 8,8 მილიონი ლარია. სრულად არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის, ფოთის, გალის, რუსთავის და ბორჯომის პენსიები. ასევე, 100%-ით არის გაცემული დევნილ პენსიონერთა, რეგრესული, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა და პარლამენტართა პენსიები.

დაწყებულია მარტის თვის პენსიების დაფინანსება, თუმცა გარღვევა 10,4 მილიონ ლარს შეადგენს. სრულად არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის, ფოთის და რუსთავის პენსიები. ასევე, 100%-ით არის გაცემული რეგრესული და ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიები.

დაწყებულია აპრილის თვის პენსიების გაცემა, თუმცა გარღვევა 14 მილიონ ლარს შეადგენს. ნაწილობრივ არის დაფინანსებული თბილისის, აჭარის და ფოთის პენსიები. ასევე, ნაწილობრივ არის გაცემული ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერთა პენსიები.

მაისის პენსიების გაცემა ჯერ არ დაწყებულა.

წინა კვირას, პრაქტიკულად, არ შეცვლილა სურათი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებაში, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია N2 ცხრილში.

17 მაისის მდგომარეობით (მე-2 კვარტლის მე-2 თვე) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები I კვარტლის გეგმებთან

ცხრილი №2

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები 17 მაისის მდგომარეობით

ათას ლარებში

დასახელება	ექსპერტების გეგმა	I კვარტლის გეგმა	ფაქტი	%	
				ექსპერტების	I კვარტალის
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	37,888	22,240	18,363	47.9%	81.7%
მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა	6,775	3,435	1,924	28.4%	56.0%
იმუნიზაციის კომპონენტი		400	120		30.0%
სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტი		670	323		48.3%
შიზოფრენიი შემთხვევების მქონე პირთა ამბულატორიული დახმარების ქვეკომპონენტი		200	78		38.8%
სამედიცინო ცენტრებში გასაწევად მოქალაქეთა სამედიცინო შეხედულების კომპონენტი		40	30		76.1%
მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა	24,620	13,083	10,632	43.2%	81.3%
ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტი		750	583		77.7%
ფტიზიატრიული დახმარების კომპონენტი		630	418		66.3%
სამეანო დახმარების კომპონენტი		2,000	1,208		60.4%
ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი		2,020	800		39.6%
შიზოფრენიი შემთხვევების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეკომპონენტი		170	95		56.0%
უმწეოთა დაწესებულთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი		1,805	1,417		78.5%
ინფექციურ დაავადებათა ცენტრებისა და შკურნალების კომპონენტი		450	280		62.1%
ონკოლოგიურ დაავადებათა ცენტრებისა და შკურნალების კომპონენტი		675	570		84.4%
ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და დიალიზის კომპონენტი		970	1,195		123.2%
კარდიოქირურგიული დახმარების კომპონენტი		1,300	1,560		120.0%
რეგიონალური დახმარების კომპონენტი		325	462		142.2%
მოსახლეობის ურყვნელი დახმარების კომპონენტი		1,956	1,957		100.1%
სამედიცინო ძალების გასაწვრთნად მოქალაქეთა სამედიცინო უნივერსიტეტის კომპონენტი		30	25		83.8%
ქსოვილთა მოხერხებლის მოკლებული ბავშვებისა და ამ ბავშვების სამედიცინო დახმარების კომპონენტი, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას მკურნალობის		75	63		83.5%
მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამები	5,700	5,322	4,829	84.7%	94.3%
ფიზიკური დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მკურნალობისთვის უზრუნველყოფის კომპონენტი		3,342	3,192		95.5%
ფიზიკურად ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის კომპონენტი		1,000	1,000		100.0%
პენიტენციალური დაავადებულ ბავშვთა მკურნალობისთვის უზრუნველყოფის		425	382		89.8%
ონკოლოგიურად ავადმყოფთა მკურნალობისთვის უზრუნველყოფა		185	185		100.0%
ოთრქოლარინგოლოგიური მკურნალობისთვის უზრუნველყოფა		70	23		32.9%
უშიშრო დაბადებით დაავადებულთა უზრუნველყოფა ალერგენებით		300	47		47.1%
ჯამი პრიორიტეტის დაფინანსების პროგრამის	793	600	778	98.1%	129.6%

მოკლედ

თბილისი. საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება უკვე მზადაა და დოკუმენტს, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს მოეწერება ხელი. ამის შესახებ დღეს ჟურნალისტებს განუცხადა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დებორა ბარნს-ჯონსმა.

მისი თქმით, "ბრითიშ ეირვეისის" ფრენების ირგვლივ არსებული ძირითადი პრობლემები უკვე მოგვარებულია, მაგრამ საგადასახადო დეპარტამენტთან დიალოგი გრძელდება და ელჩი თვლის, რომ ის პოზიტიურ შედეგებს მოიტანს. ბარნს-ჯონსი იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტი ამ შეთანხმების რატიფიცირებას უახლოეს მომავალში მოახდენს.

მისივე ცნობით, ქართული მხარის მოთხოვნა "აირზენას" ლონდონში ფრენების შესახებ დაკმაყოფილებულია. რეისები კვირაში სამჯერ განხორციელდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, მოხდება საქართველოს 3 საირიგაციო და 2 სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო ობიექტებს შორისაა ტაშისკარის სარწყავი სისტემა, რომელიც ემსახურება 11,4 ათას ჰექტარს ხაშურისა და ქარელის რაიონებში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში ჩამოვიდა სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯეორენ კრეონი. იგი ვიზიტის დროს გაეცნობა ფონდის რეკომენდაციების შესრულების მსვლელობას საქართველოში, რაზეც დამოკიდებულია ფონდის პროგრამის დაფინანსების განახლება. შეუსრულებელი რჩება სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან შემოსული შემოსავლების გაზრდა, საგადასახადო სისტემის რეფორმისათვის საკანონმდებლო ცვლილების პაკეტის მომზადება, საგარეო ვალების დაფარვა, მოუმზადებელია კანონპროექტი ბიუჯეტის ფორმირების შესახებ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი ნოდარ ჯავახიშვილი გაუფასურებული ანაბრების საკითხზე მუშაობს. იგი მიზნად ისახავს, დადგინდეს, თუ რა მოხდა 1992-1994 წლებში ანაბრების გაუფასურებასთან დაკავშირებით და ვინ არის ამაზე კონკრეტულად პასუხისმგებელი; ასევე უნდა დადგინდეს ზარალის საერთო თანხა და ქვეყნის შესაძლებლობები, თუ რისი ანაზღაურება შეუძლია მას. იგი მომხდარის გამო პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერი "ეი-ი-ეს თელასისგან" კატეგორიულად მოითხოვს ქალაქის ყველა უბნის გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას, რაც მარტის ბოლოსთვის იყო გათვალისწინებული. ვანო ზოდელავა კომპანიას უპასუხისმგებლო საქციელში ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ მათ მიერ გადათხრილი გზები რემონტის გარეშე რჩება. "ხშირია შემთხვევები, როცა კომუნიკაციებსაც აზიანებენ, რის გამოც ზარალდება თბილისის ბიუჯეტი," – აცხადებს იგი. **კავკას-პრესი**

ისრაელის არმია პალესტინას სრულ ბლოკადაში აქცევს

ლევან ღირსიაშვილი

იერუსალიმში კვირას განხორციელებული სისხლიანი ტერაქტის საპასუხოდ, ისრაელმა პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერზე იასირ არაფატზე სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლა გააძლიერა. როგორც ცნობილია, ტერაქტის შედეგად ცხრა ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, ორი კამიკაძე ტერორისტი. ოფიციალურმა ტელ-ავივმაც რეაგირება არ დააყოვნა და უკვე გუშინ ღაზას სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე საზღვრების ჩაკეტვის შესახებ გააკეთა განცხადება. ამიერიდან, ისრაელის არმიის სარდლობის განცხადებით, პალესტინელებს ისრაელის ტერიტორიაზე შესვლა და გამოსვლა კატეგორიულად აეკრძალათ. ამასთანავე, იმ უცხოელ დიპლომატებს, რომლებიც იასირ არაფატს შეხვდებიან, ებრაელი პოლიტიკოსები არ მიიღებენ. იერუსალიმში განხორციელებული ტერაქტის გამო, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ვაშინტონში დაგეგმილი ვიზიტი გადადო და მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა იასირ არაფატს დააკისრა.

იმავე დღეს, ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა დახურულ კარს მიღმა სასწრაფო თათბირი გამართა, რომელზეც ექსტრემისტული პალესტინური დაჯგუფებების წინააღმდეგ საპასუხო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები განიხილეს. ისრაელის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ისრაელმა პალესტინურ ტერიტორიებთან საზღვარი საგულდაგულოდ ჩაკეტა. ეს ღონისძიება კი, ცხადია, პალესტინელებს საგრძნობ ეკონომიკურ ზიანს მიაყენებს, რადგან ათასობით პალესტინელი სწორედ ისრაელის ტერიტორიაზეა დასაქმებული. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში ისრაელის სამხედრო ძალები ყველა პალესტინურ ქალაქს და დასახლებას ალყაში მოაქცევენ და ნებისმიერ პალესტინელს ტერიტორიიდან გასვლას აუკრძალავენ.

არიელ შარონი პალესტინის ბლოკირების გეგმას ვაშინგტონისთვის წარსადგენად ამზადებს.

აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის ტერაქტი, არიელ შარონისა და მისი პალესტინელი კოლეგის მაჰმუდ აბასის (აბუ მაზენის) შეხვედრიდან რამდენიმე საათში მოხდა. პალესტინელი პრემიერ-მინისტრი არიელ შარონს ტელ-ავივში ეწვია. შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკება ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა აბუ მაზენს ექსტრემისტულ პალესტინურ დაჯგუფებებზე ზეწოლა და მათი მხრიდან ძალადობის უპირობოდ შეწყვეტა მოთხოვა. თავის მხრივ, აბუ მაზენმა განაცხადა, რომ ამ ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი რაც ისრაელი ე.წ. საერთაშორისო ოთხეულის მიერ შემუშავებულ სამშვიდობო გეგმას "საგზაო რუკას" მოაწერს ხელს. არიელ შარონს კი ამ გეგმასთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები გააჩნია, რომელსაც ახლო მომავალში ვაშინგტონს წარუდგენს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ნებისმიერ დიპლომატიურ ინიციატივას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირებას ისახავს მიზნად, ყოველთვის თან ახლავს პალესტინელი კამიკაძეების სისხლიანი ქმედებები, რასაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება. 2000 წლის სექტემბრიდან რომელიც პალესტინური ინტიფადის დაწყების თარიღად არის მიჩნეული, პალესტინელმა კამიკაძეებმა 93 აქცია განახორციელეს, რასაც საერთო ჯამში 357 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ცხადია, ჩაკეტილი წრე, რომელიც კონფლიქტის დაწყებიდან ერთხელაც კი არ გარღვეულა, გარკვეული ძალების კონკრეტულ მიზნებს ემსახურება. მაგრამ დღემდე არავინ აცხადებს ღიად: ამ სისხლიანი წრის არსებობა ვის და რატომ აწყობს.

საიფ ალ-ადელი - „ალ-ქაიდას" ახალი სახე

ლევან ღირსიაშვილი

საიფ ალ-ადელი

12 მაისს საუდის არაბეთის დედაქალაქში მომხდარი ტერაქტის გამოძიებაში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს 60 სპეცაგენტი მონაწილეობს. საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნაიფ იბნ-აბდელ აზიზმა მათი მუშაობით კმაყოფილება გამოხატა. მისი განცხადებით, ამერიკელი კოლეგების დახმარებით, უკვე დაპატიმრებულია "ალ-ქაიდას" ტერორისტული ქსელის ოთხი წევრი, რომელთაც ერრიადში განხორციელებულ ტერაქტზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ისინი იმ 19 ძებნილი ტერორისტის სიაში შედიოდნენ, რომელთაც საუდის არაბეთის დატოვება ან მიმალვა მოახერხეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოძიებამ ტერაქტის მთავარი ორგანიზატორის ვინაობა გამოავლინა, რომელიც, შეიძლება ითქვას, "ალ-ქაიდას" ახალი სახეა.

ეგვიპტური წარმოშობის საიფ ალ-ადელი ამჟამად, ბინ ლადენის ერთ-ერთ ვაჟთან საადთან და "ალ-ქაიდას" ორ წარმომადგენელთან ერთად, ირანის ტერიტორიას აფარებს თავს.

თუ რა მნიშვნელობის ფიგურას წარმოადგენს საიფ ალ-ადელი, ამის მიხვედრა სააგენტო "როიტერის" ინფორმაციიდანაც შეიძლება, რომლის თანახმად ინფორმაციის მოწოდებისათვის, რომელიც საიფ ადელის დაპატიმრებას შეუწყობს ხელს, აშშ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 25 მილიონი დოლარი ჯილდო დააწესა. ასევე დადგენილია, რომ 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში აშშ-ს საელჩოების აფეთქების ორგანიზება სწორედ ადელმა განახორციელა. 2001 წელს კი, ავღანეთში მოჰამედ ატეფის სიკვდილის შემდეგ, საიფ ადელი ორგანიზაციაში მნიშვნელოვნად დაწინაურდა. მას "ალ-ქაიდას" სამხედრო ოპერაციების ზედამხედველობა და დაგეგმვა დაევალა. ცხადია, ამ თანამდებობის პირი უშუალო კავშირში იქნება "ალ-ქაიდას" ლიდერთან და დამაარსებელთან, ოსამა ბინ ლადენთან. ეს უკანასკნელი კი, თავის მოადგილე ალ-ზავაჰირთან ერთად, კვლავ პაკისტან–ავღანეთის საზღვარზე მიუდგომელ ზონაში იმალება და თავის ორგანიზაციასთან კავშირზე არ გადის. ამის თაობაზე "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება. ასეთ ვითარებაში ერთადერთი პირი, რომელიც "ალ-ქაიდას" სამხედრო-ტერორისტულ ოპერაციებს უშუალოდ ხელმძღვანელობს სწორედ საიფ ადელია.

აშშ-ს სადაზვერვო სამსახურები არ გამორიცხავენ, რომ ადელი უახლოეს მომავალში ახლო აღმოსავლეთში ახალი ტერაქტების მოწყობას შეეცდება, რათა თავისი "ბრძოლისუნარიანობა" კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.

საიფ ადელის თაობაზე, რომელსაც გასულ თვეს 40 წელი შეუსრულდა, საკმაოდ საინტერესო დასკვნებს იძლევა "ალ-ქაიდას" ცობილი მკვლევარი და წიგნის **"ალ-ქაიდას" სიღრმეში: ტერორის გლობალური ქსელი"** ავტორი როჰან გუნარატნა. **"მათ ის იმიტომ ამოირჩიეს, რომ ამჟამად ალ-ადელი ყველაზე კომპეტენტური პირია, რომელიც "ალ-ქაიდას" ისლამური ჯიჰადის მიზნებს მშვენივრად შეესაბამება,"** - აცხადებს გუნარატნა. მისი თქმით, იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ის ოსამა ბინ ლადენის პირად უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, ალ-ადელმა ორგანიზაციაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვა. ამასთანავე, ვარაუდობენ, მომავალი ტერორისტული აქტები ალ–ადელმა, შესაძლოა, უკვე განსხვავებული სტილით და ხელწერით განახორციელოს, რაც ასევე მის გონივრულობაზე მიუთითებს. **"ის ექსტრაორდინალური და ჭკვიანი პიროვნებაა,"** - ასკვნის "ალ-ქაიდას" ექსპერტი.

კირკუკში ქურთების გავლენა იზრდება

რევაზ ბახტაძე

შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ორმა ქურთულმა პარტიამ პოლიტიკური გავლენა გაიმყარა კირკუკში, ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ნავთობით მდიდარ ქალაქში, რომელსაც ქურთები ისტორიულად თავიანთ კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად მიიჩნევენ.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ამერიკელები ქალაქ კირკუკში ადგილობრივი ადმინისტრაციის შექმნას შეეცადნენ, სადაც უმრავლესობას ქურთები შეადგენენ. თუმცა, კირკუკში, ქურთების გარდა, რამდენიმე ერთმანეთთან დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

ქურთებს ორი მსხვილი პარტია აქვთ – ქურთისტანის პატრიოტული კავშირი და ქურთისტანის დემოკრატიული პარტია. თითოეულ მათგანს კი შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი რაზმები ჰყავს. მათ, სამოქალაქო ადმინისტრატორებთან ერთად, უკვე 400 პოლიციელი გაგზავნეს კირკუკში სამუშაოდ. სადამის ჩამოგდებამდე მათი გავლენა მხოლოდ ერაყის მთიან ჩრდილოეთ რეგიონზე ვრცელდებოდა. წარგზავნილი პოლიციელების უმრავლესობა ყოფილი პეშმერგას (ქურთი პარტიზანები) მებრძოლები არიან, რომლებმაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სადამ ჰუსეინის ხელისუფლებასთან ბრძოლას ათეულობით წელი შეალიეს.

შეერთებულმა შტატებმა, უკვე კარგა ხანია, დაიწყო თანამშრომლობა კირკუკში მცხოვრებ არაბებთან, ასირიელებთან და თურქმენებთანაც, რომლებიც კირკუკის 1 მილიონიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. თუმცა, ამერიკელ სამხედროებთან თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ქურთებს გაცილებით ძლიერი საპოლიციო ძალები ჰყავთ და ქალაქის საბჭოს გარდამავალ ხელისუფლებაში, ყველა დანარჩენ უმცირესობასთან შედარებით, დიდი გავლენა მოიპოვეს. ამის გამო, თურქმენმა უმცირესობამ საბჭოს ბოიკოტი გამოუცხადა. მათი აზრით, ამერიკა ქურთებს დაუფარავად ანიჭებს უპირატესობას.

სადამის შემდგომ ერაყში ქურთული პარტიები ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად ორგანიზებული პოლიტიკური დაჯგუფებებია. ქურთისტანის პატრიოტულმა კავშირმა ქურთისტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბ-ბინა (ქურთებმა ჩრდილოეთ ერაყში, დიდი ხანია, ადმინისტრაცია დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს) კირკუკში გადმოიტანა და ქალაქის ერთადერთი სატელევიზიო სადგურიც დაიკავა. მიმომხილველების აზრით, ეს ყოველივე აშშ-ს ჩუმი თანხმობით გაკეთდა.

ამას გარდა, პარტიის მაღალჩინოსნები კირკუკელი არაბებისაგან უძრავ ქონებას ყიდულობენ, რათა ქალაქში ქურთი მოსახლეობის ხვედრითი წილი გაზარდონ, სანამ ამ კვირაში შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული მერისა და ქალაქის საბჭოს არჩევნები გაიმართება.

"რეგიონში ერთადერთი რეალური ოპოზიციური ჯგუფი ქურთები იყვნენ, რომლებიც რეჟიმს წინ აღუდგნენ", - განაცხადა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ მოჰამად ქამალ სალაჰმა "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტთან საუბრისას. "ჭეშმარიტება ისაა, რომ ეს ქურთული ქალაქია, ამიტომაც მოვედით, რომ იგი წარმოვადგინოთ".

აქამდე შეერთებული შტატები ცდილობდა, რომ ქურთების მოქმედება გარკვეულწილად შეეზღუდა. პენტაგონმა ქურთებს უბრძანა კიდეც, რომ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, პეშმერგას მებრძოლებს კირკუკი დაეტოვებინათ. თუმცა, ახლა ვითარება შეიცვალა. ამან კი, შესაძლოა, დიდი გავლენა მოახდინოს იმ რეგიონის პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სადაც ოთხი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 25 მილიონი ქურთი არის გაფანტული.

თურქეთმა არაერთხელ გააფრთხილა შეერთებული შტატები და ერაყში მცხოვრები ქურთები, რომ, თუ ქურთები დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნიან, ან ჩრდილოეთ ერაყში ფართო ავტონომიას მოიპოვებენ, მაშინ ანკარა სამხედრო ინტერვენციას განახორციელებს. ანკარა შიშობს, რომ ერაყის ტეროტორიაზე ქურთების პოლიტიკური წარმონაქმნი თურქეთის ტეროტორიაზე მცხოვრებ 6 მილიონ ქურთში სეპარატისტულ განწყობას გააღვივებს.

ჰუსეინის 30-წლიანი მმართველობის დროს ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ქურთ ამბოხებულებზე იერიში რამდენჯერმე მიიტანეს და მათ წინააღმდეგ ქიმიური იარაღიც გამოიყენეს. ჰუსეინის სადამსჯელო ოპერაციებს ამ წლების განმავლობაში ათიათასობით ქურთის სიცოცხლე შეეწირა. 1991 წელს სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ, ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ერაყის ჩრდილოეთში პატრულირება დაიწყეს და უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ქურთები სადამის შემოსევებისგან დაცულები იყვნენ. ახლა, ქურთები თავიანთი ფაქტობრივი სამფლობელოს გაფართოებას მოსულა და კირკუკშიც ცდილობენ, ქალაქებში, სადაც ნავთობის უზარმაზარი რეზერვებია თავმოყრილი.

იმ დროს, როდესაც ქურთული პარტიების ლიდერები ბაღდადში ერაყის მომავალი მოწყობის თაობაზე კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან, მათ განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთ ერაყში პოლიტიკურ ბალანსს ქურთების სასარგებლოდ ცვლიან.

ამჟამად, კირკუკში ქურთების რაოდენობა სწრაფად იზრდება. სადამ ჰუსეინის მიერ განხორციელებული კირკუკის არაბიზაციის შემდეგ, ქურთები პრეტენზიას აცხადებენ და არაბებს ქურთების ყოფილი საცხოვრებელი ადგილებიდან ერეკებიან.

ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა რეგიონში, არმიის პოლკოვნიკმა უილიამ მეივილმა ქურთ ლიდერებს მოუწოდა, რომ არაბების ძალისმიერი გამოსახლება დაგმონ და მომავალში მსგავსი რამ აღარ გაიმეორონ. ექსპერტების აზრით, რეგიონიდან ამერიკელების გასვლის შემდეგ, შესაძლოა, ეთნიკური დაპირისპირება გამწვავდეს.

მომავალი დაპირისპირების ყველა ნიშანი სახეზეა. კირკუკის 500 პოლიციელიდან 400 ქურთია. მართალია, ქალაქის საბჭოში ამერიკელები შეეცადნენ, რომ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ბალანსი დაეცვათ, მაგრამ ქურთების პოლიტიკური გავლენა უკვე თვალსაჩინოა. მიმომხილველების აზრით, ანკარას მოკავშირე თურქმენები ქურთების ბატონობას არ შეურიგდებიან, ხოლო სახლებიდან არაბების გამოდევნა კირკუკში ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს.

ერაყის ომი: პირველი სტატისტიკური მონაცემები

ერაყის ომის სტატისტიკური მონაცემების საბოლოო დაზუსტებას რამდენიმე წელი დასჭირდება, თუმცა, რამდენიმე პირველადი მონაცემი, სამხედრო-საჰაერო ძალების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჟურნალმა "ნიუსუიკმა" უკვე გამოაქვეყნა.

ომში მონაწილეობდა 423 998 ამერიკელი და კოალიციის წევრი სხვა ქვეყნების 42 987 ჯარისკაცი

ომი გაგრძელდა 720 საათს. მოკავშირეებმა განახორციელეს 41 400 საბრძოლო გაფრენა, რასაც 18 622 ტონა საწვავი დასჭირდა.

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა კოალიციის 1 801 თვითმფრინავი და შვეულმფრენი, მათი ძირითადი ნაწილი ამერიკული იყო, 138 კი კოალიციის სხვა ქვეყნებს ეკუთვნოდა.

მოკავშირეებმა ერაყში ჩამოყარეს 31 800 000 პროკლამაცია.

კოალიციამ დაკარგა 20 თვითმფრინავი და შვეულმფრენი, აქედან მოწინააღმდეგის ცეცხლის შედეგად – მხოლოდ შვიდი.

80 თვითმფრინავი ჰაერიდან ახორციელებდა დაზვერვას. მათ გადაიღეს ბრძოლის ველის 42 ათასი სურათი და ჩაიწერეს 3200 საათი ვიდეოინფორმაცია.

სულ, ომის საჰაერო კომპონენტი დაჯდა 917 744 361 დოლარი. ამერიკის ეკონომიკა ამ თანხას 46 წუთსა და 10 წამში გამოიმუშავებს.

ყარზაი გადადგომით იმუქრება

ავღანეთის პრეზიდენტის, ჰამიდ ყარზაის განცხადებით, თუ იგი უახლოეს ორ-სამ თვეში ურჩ პროვინციებს ვერ დაიმორჩილებს, ლოია ჯირგას მოიწვევს და ახალი მთავრობის ფორმირებას სთხოვს.

ყარზაის აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ 12 სასაზღვრო პროვინცია საბაჟოზე აკრეფილ გადასახადებს ცენტრალურ ბიუჯეტში არ რიცხავს და საკუთარი სამხედრო რაზმების დაფინანსებისათვის იყენებს. პრეზიდენტის თქმით, გასულ წელს საბაჟოებზე აკრეფილი ნახევარი მილიარდი დოლარიდან, რაც ქვეყნის შემოსავლებში ლომის წილს შეადგენს, ცენტრალურ ბიუჯეტში სულ 80 მილიონი მოხვდა.

ყარზაიმ საჯაროდ აღიარა, რომ მოსახლეობის იმედგაცრუება ახალი მთავრობით, განუწყვეტლივ იზრდება. მისი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ქვეყანა კიდევ ერთხელ აღმოჩნდება სამოქალაქო ომის ზღურბლთან.

ევროკავშირს უკვე ჰყავს თავისი არმია

ორშაბათს ევროკავშირმა განაცხადა, რომ მის მიერ შექმნილი სწრაფი რეაგირების კორპუსი მზადაა საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. რასაკვირველია, ევროკავშირი ომის გამოცხადებას არავისთვის აპირებს, არმია მას, ძირითადად, სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის სჭირდება. ევროკავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ, ჯერჯერობით, არმია არასათანადოდაა დაკომპლექტებული და დანიშნულების ადგილზე სწრაფი დისლოცირება და მაღალი რისკის ზონაში ოპერაციების წარმოება არ შეუძლია.

ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა შეიმუშავეს, ნათქვამია, რომ ევროპული ქვეყნების რესურსების გაერთიანებამ კავშირს საშუალება მისცა შეექმნა შეიარაღებული ძალა, რომელსაც "პეტერბურგის დეკლარაციით" განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულება შეუძლია.

ეს ამოცანები, რომლებიც ევროპის ქვეყნებმა ბონთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ პეტერბურგში შეიმუშავეს, გულისხმობს იმას, რომ ჯარს უნდა შეეძლოს დავალებათა მთელი სპექტრის შესრულება, დაწყებული მეომარ მხარეთა დაშორიშორებიდან, ჰუმანიტარული ოპერაციის განხორციელებით დამთავრებული.

მიუხედავად ღირშესანიშნავი მოვლენისა, ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს საზეიმო განწყობა არაფერში ეტყობოდათ. წევრმა ქვეყნებმა ვერ მოახერხეს საკმარისი თანხების გამოძებნა, რათა სწრაფი რეაგირების 60-ათასიანი კორპუსი სათანადოდ აღეჭურვათ.

"ჯერ ზეიმი ადრეა", - განაცხადა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა, ხავიერ სოლანამ, "ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ და ეს ყველაფერი სასწრაფოდ უნდა მოხდეს".

თავდაცვის მინისტრებმა განაცხადეს, რომ არასათანადო აღჭურვის გამო, კორპუსის ოპერატიული შესაძლებლობები, ჯერჯერობით, საკმაოდ შეზღუდული იქნება. ამჟამად კორპუსს აკლია სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, სტრატოტანკერები (თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია ჰაერში ჩაუსხას საწვავი მეორე თვითმფრინავს) და ქიმიური და ბიოლოგიური შეტევისაგან თავდაცვის მოწყობილობები.

ამის მიუხედავად, ევროკავშირი თავის პირველ სამხედრო ოპერაციას უკვე ახორციელებს. ორიოდე თვის წინ, სამშვიდობო ოპერაცია მაკედონიაში, რომელსაც ნატო ახორციელებდა, თავის თავზე ევროკავშირმა აიღო. შემდეგი მისია, სავარაუდოდ, ბოსნია იქნება, სადაც ევროკავშირს გაცილებით უფრო მასშტაბური ამოცანა ექნება შესასრულებელი, ვიდრე მაკედონიაში.

თუმცა, ევროპულ ქვეყნებს შორის არსებულმა უთანხმოებებმა ამ მისიის შესრულება, ისევე როგორც, ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენონ.

აპრილში გამართულმა ოთხი ქვეყნის – საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის შეხვედრამ, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-სგან დამოუკიდებელი სამხედრო შტაბის შექმნის შესახებ, კიდევ ერთელ გაუსვა ხაზი ევროპის ორ სამხედრო "გოლიათს" - ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას. საფრანგეთს სურს, რომ ევროპული არმია ნატო-სგან დამოუკიდებელი იყოს, ბრიტანეთი კი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მაქსიმალურად მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

არის სხვა პრობლემებიც. 2001 წელს ჩატარებულმა ევროპის სამხედრო შესაძლებლობების რევიზიამ გამოავლინა, რომ ევროპული სამხედრო მანქანა უნუგეშოდ ჩამორჩება ამერიკულს. ჩამორჩენის დასაძლევად ევროკავშირმა ექსპერტთა 16 ჯგუფი შექმნა, რომლებმაც ცალკეულ სფეროებში მოქმედების კონკრეტული გეგმა შეიმუშავეს.

ექსპერტების დასკვნების შედეგად, განისაზღვრა სასწრაფოდ გადასაჭრელი ამოცანების ნუსხა, რომლებიც კავშირის ქვეყნებმა გადაინაწილეს. ესპანეთს სტრატოტანკერების გაუმჯობესება დაევალა, საფრანგეთს - უპილოტო თვითმფრინავებისა და კოსმოსური თავდაცვის სისტემების მოდერნიზება, პორტუგალია სპეცდანიშნულების ჯარების სრულყოფაზე იმუშავებს, ჰოლანდია კი ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვის სისტემებს მიხედავს. ინგლისს სამხედრო შტაბის ეფექტურობის ამაღლება დაევალა, იტალიას - მასობრივი განადგურების იარაღისაგან დამცავი აღჭურვილობის გაუმჯობესება, ბელგიელები კი ჰუმანიტარული და საევაკუაციო ოპერაციების კოორდინირებას მოახდენენ.

მოკლედ

თბილისი. კულტურის მინისტრმა გუშინ ყანჩაეთის ეკლესია მოინახულა. ინგუშეთის საზღვარზე მდებარე კაბენის ტაძარი გასულ წელს ჩამოინგრა. მის აღსადგენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 28 ათას 570 ლარი გამოიყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კოკისპირული წვიმის შედეგად გუშინ ჭერი ჩამოენგრა ქეთევან წამებულის N91-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს. სახლი 13 წელია მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია. შარშანდელმა მიწისძვრამ იგი საბოლოოდ დააზიანა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ვაზისუბნის დასახლებაში ყველა 16-სართულიანი შენობის მდგომარეობას სპეციალური კომისია შეისწავლის - ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს თბილისის მერიაში გუშინ გამართულ თათბირზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ლადო ჭიპაშვილი, სამედიცინო დაწესებულებებში კორუფციის შემცირების მიზნით, "მეწარმეთა შესახებ" კანონში ცვლილებების ინიციატივით გამოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო სამსახური და განათლების სამინისტრო გეგმავს ერთობლივი ტრენინგ-კურსების ჩატარებას, სახელწოდებით - „დამნაშავე ბავშვები და მათთან მუშაობის სპეციფიკა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსული ენის დაუფლების მიზნით, 16 ქართველი მოსწავლე და ჯგუფის ხელმძღვანელი მოსკოვთან ახლომდებარე ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკების ბაზაზე შექმნილ საზაფხულო სკოლებში გაემგზავრებიან. **მედია-ნიუსი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 13-16 მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 5 441.8 ათასი ლარი

1) ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი:

■ **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი;**

2) საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 316.0 ათასი ლარი:

რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის სახელფასო დავალიანება - 316.0 ათასი ლარი;

3) ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 650.4 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების აპრილის თვის კვების ხარჯები - 1 323.6 ათასი ლარი;

■ თავდაცვის სამინისტრო - 550.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 338.6 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 228.7 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 133.3 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტრო - 69.0 ათასი ლარი;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 25.0 ათასი ლარი;

■ ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება - 25.0 ათასი ლარი;

ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს – 1 500.0 ათასი ლარი;

■ საპენსიო ტრანსფერი - 1 000.0 ათასი ლარი;
■ უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება - 500.0 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა) - 367.0 ათასი ლარი;

განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 10.3 ათასი ლარი;

კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 9.5 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის ფონდი – 8.0 ათასი ლარი;

■ **საქართველოს კულტურის სამინისტრო (საქართველოს პრეზიდენტის 25.03.03. N333 განკარგულების თანახმად აკაკი ბაქრაძის მრავალტომეულის პირველი ტომის გამოსაცემად) – 8.0 ათასი ლარი;**

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 407.0 ათასი ლარი;

■ **ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად) - 407.0**

4) 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 414.1 ათასი ლარი;

სხვა საქონელი და მომსახურება - 289.1 ათასი ლარი;

■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 121.6 ათასი ლარი;
■ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - 100.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი (მ.შ ავტობაზის მუშაკთა შრომის ანაზღაურება 40.0 ათასი ლარი) - 42.5 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი) - 14.0 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტრო - 8.0 ათასი ლარი;
■ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო - 2.0 ათასი ლარი;
■ ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი - 1.0 ათასი ლარი;

სამივლინებო ხარჯები - 57.0 ათასი ლარი;

■ კონტროლის პალატა - 35.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 15.0 ათასი ლარი;
■ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო - 3.6 ათასი ლარი;
■ უშიშროების საბჭო - 3.4 ათასი ლარი;

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებები - 50.0 ათასი ლარი;

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის სუბსიდია – 18.0 ათასი ლარი;

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირება) - 1 000.0 ათასი ლარი;

სულ ხარჯი: 5 441.8 ათასი ლარი;

1.ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი:

■ სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი;

2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 316.0 ათასი ლარი:

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 650.4 ათასი ლარი;

4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 414.1 ათასი ლარი;

■ სხვა საქონელი და მომსახურება - 339.1 ათასი ლარი;
■ მივლინება - 57.0 ათასი ლარი;
■ სუბსიდია - 1 018.0 ათასი ლარი;

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1
ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

აქცია საყოველთაო ამბოხების მუქარით

"მთელ ხაზარებს, ამ ველურ და ბარბაროს ტომს, არ მიუყენებია საქართველოსთვის იმხელა ზარალი, რაც ხაზარაძე ვიტალიმ მიაყენა"

თამარ დვალი

იმის მიუხედავად, რომ გუშინ პარლამენტის შენობის წინ გურამ შარაძის მხარდამჭერებს პოლიცია და წვიმა ერთობლივად უშლიდა ხელს, საპროტესტო აქცია მაინც მოეწყო. შარაძე "ეროვნების შესახებ კანონში" შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებს და პარლამენტის თავჯდომარეს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში სდებს ბრალს.

გურამ შარაძის მხარდამჭერთა საზოგადოება.

"მასონების ყველაზე კლასიკური ფორმულა, შეიქმნას უენო, უეროვნებო და ურელიგიო სახელმწიფო, სახეზეა. საქართველოს ენა, მამული და სარწმუნოება აღარ აქვს.

ანტიქართული მოღვაწეობის გამო, პროტესტს ვუცხადებ ბიუროს შემადგენლობას და მის თავმჯდომარეს. მათ ეროვნების შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენისას 6 ყალბი ხმა მიითვალეს. მოვითხოვ, გამოიძიონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ისინი, ვინც ხმების გაყალბებით ანტიეროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს. ზაზა ოქუაშვილის, ზურაბ ჟვანიას, ჯემალ გოგიტიძის, ვიტალი ხაზარაძის მაგივრად სხვებმა მისცეს ხმა. არ გაბედონ, ამ კვირის დღის წესრიგში შეიტანონ კანონის მეორედ მოსმენით მიღება. ჩვენმა პარლამენტარებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ეროვნება მთლიანად გაეუქმებინათ და ასეთ მოდელს გვთავაზობენ: ეროვნება და მოქალაქეობა ქართული,"- ამბობს შარაძე და ამ პროექტის ავტორებად "ვითომ ოპოზიციონერ", ორ "უმნო გადმონაშთს" - კობა დავითაშვილსა და ვიტალი ხაზარაძეს ასახელებს. " მთელ ხაზარებს, ამ ველურ და ბარბაროს ტომს, არ მიუყენებია საქართველოსთვის იმხელა ზარალი, რაც ხაზარაძე ვიტალიმ მიაყენა,"- მიაჩნია შარაძეს.

გუშინ შარაძის მხარდამჭერმა საზოგადოებამ "ენა, მამული, სარწმუნოება," გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მათ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს და ფორმულირება "ქართულს"- "ქართველით" არ შეცვლის, აქციის მონაწილეები საყოველთაო ამბოხებითა და სასამართლოში სარჩელის შეტანით იმუქრებიან.

"სტუდენტური დღეები" იწურება

გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთი "სტუდენტური დღეები" დაასრულეს და დღეიდან 26 მაისის დასკვნით ღონისძიებას ელოდებიან.

ირინე სანებლიძე

წლევანდელ "სტუდენტურ დღეებში" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 16 ფაკულტეტი მონაწილეობდა. შიდა საუნივერსიტეტო "შეჯიბრი", რომელიც კარგა ხანია სტუდენტებმა მოიღიეს, რამდენიმე ნომინაციაში ჩატარდა. ფაკულტეტური შეჯიბრიდან საუკეთესო ნომრები სტუდენტებმა მხატვრული შემოქმედების დასკვნით კონცერტზე წარადგინეს, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ჩატარდა და რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირი იყო. "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს იმხელა რესურსი აქვს, რომ ყველა ნომინაციაში ყველა ფაკულტეტი მაქსიმალურად იყო ჩართული", - გვითხრა ჰუმანიტარული ფაკულტეტის (17 სპეციალობის) სტუდენტური კავშირის თავმჯდომარემ, ლევან ლაფაჩიძემ.

კონცერტი დაიწყო და დასრულდა "სტუდენტური დღეების" ჰიმნით. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები კონცერტზე 16 ფაკულტეტის 25 საუკეთესო ნომრით წარდგნენ. თითოეული მათგანი "საუკეთესო ნომინაციისთვის" სპეციალური დიპლომებითაც დაჯილდოვეს. ჯილდო ერგო სოხუმის ფაკულტეტის დეკანსაც - გოდერძი მელაძეს, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის საუკეთესო დეკანს.

ტექნიკოსებმა "სტუდენტური დღეების" დასკვნით ღონისძიებაზე - საქართველოს უნივერსიტეტებს შორის შეხვედრაზე, რომელიც 26 მაისს გაიმართება, ტექნიკური უნივერსიტეტის სახე უნდა აჩვენონ. მასალა გვაქვს, არ ვნერვიულობთო, - გვითხრა ერთ-ერთმა სტუდკავშირელმა. პროგრამას ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზისთვის ისინი გუშინდელი კონცერტის 25 ნომრიდან აარჩევენ. სავარაუდოდ, ტექნიკოსები ხალხური სიმღერების ვაჟთა კაპელით, ანსამბლ "მერანით" და მხიარულთა და საზრიანთა კლუბ "შერეკილებით" მოიწონებენ თავს.

მოლარე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს მოლარის თანამდებობის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

მოლარის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

■ იდგილობრივი მომწოდებლებისთვის საბანკო გადარიცხვების განხორციელება დამტკიცებული და აუცილებელი გადახდების ფარგლებში;
■ ფულის მიძღებების გაფრთხილება ფულის გაცემის დროის შესახებ, ფულადი გადახდების განხორციელება და გადახდის დამტკიცებულ მოთხოვნაზე თანდართული გადახდის ქვითრის მიღება;
■ ბანკის ყოველდღიურად გაფრთხილება ფულის კონვერტაციის შესახებ;
■ ბუღალტრულ სისტემაში მონაცემების გატარება ნაღდი და უნაღდო ოპერაციების აღრიცხვის მიზნით;
■ ყოველდღიურად ფულის გაანგარიშების და შესაბამისობის ანგარიშის მომზადება;
■ იდგილობრივ ანგარიშებზე ფულის ჩარიცხვის შესახებ მოთხოვნების გაგზავნა ("სითიბანკიდან" გადარიცხვების წარმოება);
■ ბუღალტერიისთვის ხელფასების უწყისის მომზადება;
■ მონაცემთა დაარქივების ზუსტი სისტემის წარმოების ხელშეწყობა;
■ საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

საუშაოზე მიღების კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

■ ბუღალტრული ჩანაწერების ან/და ხელფასის უწყისების წარმოების 1-2-წლიანი გამოცდილება;
■ ზოგადი განათლების კარგი დონე, სასურველია ფინანსური დისციპლინის დამთავრების დიპლომი;
■ პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები (MS Word, Excel და ა.შ.);
■ ინგლისურ/ქართულ/რუსულ ენებზე წერისა და ზეპირმეტყველების კარგი უნარი;
■ ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა;
■ კანდიდატი უნდა იყოს საიმედო და პრინციპული მჭიდრო გრაფიკში მუშაობის უნარი.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგამართლათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 28 მაისი, ოთხშაბათი, 6.00 სთ. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერი

კომპანია "ბიპი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბიპი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერი მთავრობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის (GPR) ძირითადი წევრი იქნება და პასუხს აგებს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" მიერ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ყოველდღიური ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა;
არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობის დამყარება;
პროექტთან დაკავშირებულ თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობის მართვა და ამ ორგანიზაციასა და პროექტის წევრებს შორის კავშირების ან/და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კოორდინირება;
არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიშის მომზადება;
GPR-ის ჯგუფის დანარჩენ წევრებთან კოორდინირებით სტრატეგიის ფორმულირება;
არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიზნით ქმედითი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება (სემინარები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები და ა.შ.);
პროექტის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების "ბიპი"-სთან კავშირში მყოფი საქმიანობის შესახებ;
საქართველოს პროექტის პერსონალისთვის, ასევე "ბიპი"-ს ბაქოსა და ლონდონის ოფისებში მომუშავე კოლეგებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამების და მიწის საკითხების ჯგუფის თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარება, პროექტის სფეროში შემავალ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ უფრო ფართო სპექტრს შორის შეუფერხებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

სამუშაოზე აყვანის კანდიდატი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს და სასურველია ამჟამად გააჩნდეს ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება. მას მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს დამყარებული საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან. კანდიდატი მოვალეა იმუშაოს ენთუზიაზმით, იყოს თვითმოტივირებული და შეძლოს საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარება და განხორციელება მინიმალური ზედამხედველობის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი;
საჭიროებიდან გამომდინარე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წერის, ზეპირმეტყველების და პრეზენტაციის შესანიშნავი უნარი;
დიპლომატიურობა;
კომპიუტერთან მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგამართლათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ განაცხადის წერილი და თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 30 მაისი. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

თავდასხმასა და მკვლელობაში ბრალდებული „გაბრო" ბადრაგს გაექცა

ჰირველი გვერდიდან

ოჯახის დიასახლისი ადგილზევე გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა - კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ დარჩიაშვილმა კი როგორღაც მოახერხა და საფანტის პისტოლეტიდან გასროლით ორი თავდამსხმელი დაჭრა. ორმხრივი სროლის შემდეგ ყაჩაღებმა იქაურობა დატოვეს და გაიქცნენ. მძიმედ დაჭრილი ზურაბ და მიხეილ დარჩიაშვილები სასწრაფო დახმარების მანქანით მეცხრე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოჯახის უფროსს ყაჩაღებისგან მიყენებული 14 ჭრილობა აღმოაჩნდა. ზურაბ დარჩიაშვილი კი ფეხის არეში იყო დაჭრილი.

საზარელი მკვლელობიდან საათნახევარში, სამართალდამცველებმა დარჩიაშვილების ოჯახზე მომხდარი თავდასხმა გახსნეს. პოლიციამ თავდამსხმელთა ექვსკაციან ჯგუფს იქვე, გვერდზე კორპუსში მიაგნო. სამართალდამცველების მიერ შემთხვევის ადგილზე მიყვანილი დაგეშილი ძაღლები ცხელ კვალს - სისხლიან ნაფეხურებს გაყვნენ და №22 კორპუსის მერვე სართულზე ავიდნენ, სადაც ყაჩაღები იყვნენ ჩაკეტილნი. აბრამოვების სახლში დამალულმა ყაჩაღებმა თითქმის ვერც კი მოასწრეს პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევა. ისინი ცოტა ხანში გაკოჭილნი და იატაკზე დაყრილნი აღმოჩნდნენ. რაც შეეხება ნივთმტკიცებებს – ნიღბებს, დანებს, ცეცხლსასროლ ავტომატს, რომელთა გამოყენებითაც ყაჩაღები თავს დაესხნენ დარჩიაშვილებს და ოჯახის დიასახლისი მოკლეს, ხოლო მამა-შვილი მძიმედ დაჭრეს - სამართალდამცველებმა იქვე, აბრამოვების სახლში იპოვეს. თავდაპირველად ყაჩაღები ვინაობას არ ამჟღავნებდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი წინასწარი დაკავების საკნებში გადაიყვანეს, მათი ვინაობა ცნობილი გახდა.



გაბრიელ ალოევი, ორი თვის წინ, დაკავებისას. ბადრი გელაშვილის ფოტო

ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე პირების ასაკი 27 წელს აღემატება და თითქმის ყველა მათგანს კრიმინალური წარსული აქვს. მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეიარაღებული ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

"გაბრო" ალოევი თავდასხმისას ზურაბ დარჩიაშვილმა საფანტის თოფიდან გასროლით თვალისა და შუბლის არეში დაჭრა. სწორედ ამ ჭრილობების გამო ალოევი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თვალის კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ციხის საავადმყოფოს, საჭირო ოპერაციის ჩასატარებლად, შესაფერისი მოწყობილობები არა აქვს. პატიმარს ოპერაცია ოფთალმოლოგიის კლინიკაში ჩაუტარდა და მკურნალობასაც იქ გადიოდა.

როგორ და რანაირად მოახერხა ალოევმა ოფთალმოლოგიის კლინიკიდან გაუჩინარება? გუშინ ეს ფაქტი დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. დილითვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატიმარმა ბადრაგის ორი წევრი, რომლებიც მას მეთვალყურეობდნენ, მოწამლა და ამის შემდეგ უპრობლემოდ დატოვა კლინიკა. მეორე ვერსიის მიხედვით, ალოევმა მაშინ დატოვა კლინიკის შენობა, როცა ბადრაგს ჩაეძინა. მომხდარ ფაქტზე გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ბადრაგის ორი წევრი, რომლებიც ალიევს კლინიკაში იცავდნენ, გუშინვე დააკავეს. ისინი თითქმის მთელი დღის განმავლობაში აძლევდნენ გამოძიებას ჩვენებებს. იმ დროს, როცა დაკავებულებთან საგამოძიებო მოქმედებები ტარდებოდა, მათ მხარდასაჭერად მეხუთე საპყრობილის დაცვის წევრები გაიფიცნენ. თუმცა, მოგვიანებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან გიგლა აგულაშვილთან რამდენიმე საათიანი აუდიენციის შემდეგ, ისინი სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ.

პატიმართა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს მომხდარზე საკუთარი ვერსია აქვთ. მათი აზრით, ალოევი დახმარების გარეშე კლინიკიდან გაქცევას ვერ მოახერხებდა. "ალოევი, რომელსაც მხედველობა მნიშვნელოვნად აქვს დაზიანებული, ასე ადვილად, ხელშეწყობის გარეშე, სამკურნალო დაწესებულებას ვერ დატოვებდა. მას გაქცევაში ბადრაგი დაეხმარა თუ ვინმე სხვა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს", - ასეთია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიცია.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კახა კახიშვილის განცხადებით, თავდასხმასა და მკვლელობაში ბრალდებული პატიმრის გაქცევის დეტალებზე და მისი ადგილსამყოფელის დასადგენად იუსტიციის სამსახური, ინსპექცია, მოკვლევის სამსახური და პროკურატურა მუშაობენ.

გამტაცებელი დააკავეს

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ლევან მაისურაძის ინფორმაციით, თბილისის კრიმინალურმა პოლიციამ დააკავა წარსულში ნასამართლევი დავით კალანდაძე, რომელმაც 14 მაისს, დღისით, ნასამართლევ ნინო საღარეიშვილთან და ჯერ დაუდგენელ პირთან ერთად, ორთაჭალის ტერიტორიიდან გაიტაცა ელზა კაჭიური და მისი წლინახევრის შვილი ელგუჯა გვილავა. გატაცებულებს ორი დღის განმავლობაში ამყოფებდნენ ვარკეთილში, წინასწარ დაქირავებულ ბინაში და ცდილობდნენ, 30 ათასი დოლარი გამოეძალათ მათი ნათესავებისთვის. გატაცებიდან ორი დღის შემდეგ გატაცებულები გაათავისუფლეს როგორც მაისურაძე ამბობს, პოლიციის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად. მისივე თქმით, გატაცება ორგანიზებულია ცნობილი ბოროტმოქმედის გიგა ბალავაძის მიერ, რომელიც ამჟამად სასჯელს იხდის არაერთი ადამიანის გატაცების გამო. მეტიც, პოლიციის ინფორმაციით, ბალავაძე ციხიდან იმასაც ახერხებს, რომ დაზარალებული დააშინოს და მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარი ათქმევინოს.

ამ გატაცების ირგვლივ პოლიცია მუშაობას აგრძელებს; კერძოდ, დასადგენი და დასაკავებელია ერთ-ერთი ბოროტმოქმედი. ასევე ეძებენ დანაშაულის თანამონაწილე ქალსაც.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა ჩვენებების მიცემა დაიწყეს

პოლიციამ გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავა სამი პირი – მურაზ თოდუა, ნუგზარ თევზაძე, დათო ბებია. პოლიციის შეტყობინების თანახმად, დაკავებისას მათგან ამოიღეს პიტოლეტი, ორი გადაჭრილი თოფი და ნიღბები. პოლიციაში მიყვანილმა სამეულმა უკვე აღიარა ერთი დანაშაული; კერძოდ: თებერვალში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ერთ-ერთ სუპერმარკეტთან, თავს დაესხნენ ლაგოდეხელ ივანე ჩიტაძეს, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს ფეხში და გასტაცეს კუთვნილი მიკრო-ავტობუსი "ფორდ ტრანზიტი".

პოლიციას იმედი აქვს, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები კიდევ არაერთ დანაშაულს აღიარებენ.

რუსეთი უკმაყოფილოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით

ქართული მართლმსაჯულების მიერ სამი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველო-რუსეთის საზღვრის დამრღვევი სამი ჩეჩენი - გელოგაევი, ელიხაჯიევი და ალხანოვი - საქართველოში რჩება, რუსეთისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩეჩენთა ექსტრადიციაზე უარის თქმა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთათვის ქართული კანონმდებლობის კრიტიკისა და საქართველოს დადანაშაულების ახალ მიზეზად იქცა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ დაარღვია რუსეთ-საქართველოს შორის მაღალ დონეზე მიღწეული შეთანხმება: "ქართველების მიერ მიღებული ბოლო იურიდიული გადაწყვეტილება მაფიქრებინებს, რომ ქართული მხარე რუსეთთან მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებებს არაფრად აგდებს". მსგავსი შინაარსის განცხადებებს აკეთებს რუსეთის გენერალური პროკურორიც და იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი კოლეგები მათთვის მიცემულ დაპირებას ბოლოს მაინც შეასრულებენ. რუსეთის გენერალური პროკურორი ქართული სასამართლოსა და პროკურატურის ურთიერთობას მიმოიხილავს და აცხადებს, რომ გაურკვევლობა ამ ორ უწყებას შორის დიდი ხნის წინ დაიწყო.

სტაროვოიტოვა ჟირინოვსკის ფრაქციის წევრმა „შეუკვეთა"

"მკვლელობის ორგანიზატორი მითითებებს იღებდა პირისგან, რომელიც საგამოძიებო მასალებში ფიქსირდება როგორც დაუდგენელი. თუმცა, ცნობილია, რომ იგი იყო რუსეთის სათათბიროს იმავე მოწვევის დეპუტატი, რომლისაც გახლდათ გალინა სტაროვოიტოვა. იგი ამასთანავე ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაქციის წევრიც გახლდათ", - აცხადებს გალინა სტაროვოიტოვას და.

მისი თქმით, "ყოველივე ეს ცნობილი გახდა გალინას მკვლელობასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ პირთა ჩვენებებიდან".

"ჩემთვის არაოფიციალური წყაროებით ცნობილია, რომ მკვლელობის შემკვეთი ამჯერად საზღვარგარეთ, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფება, - ამბობს სტაროვოიტოვა, - ასეთი შეკვეთები წერილობით არ ფიქსირდება, ამიტომაც მტკიცებულების მოპოვება, სამწუხაროდ, შეუძლებელია".

ამასთან ერთად, ოლგა სტაროვოიტოვამ აღნიშნა, რომ საეჭვოა, "ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაქციის წევრს გალინას წინააღმდეგ რაიმე ინტერესი ჰქონოდა - "ამიტომაც შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ის კიდევ ვინმესგან იღებდა მითითებებს".

ამ განცხადებების საპირისპიროდ ლიბერალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი აცხადებს, რომ "არც ყოფილ და არც ამჟამინდელ ლიბერალ-დემოკრატ დეპუტატებს არანაირი კავშირი არ აქვთ გალინა სტაროვოიტოვას მკვლელობასთან. ეს წმინდა წყლის გამონაგონია – ჩვენი დეპუტატები ძალიან კარგი ადამიანები არიან".

ამასთან, ჟირინოვსკის მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ოლგა სტაროვოიტოვა დის მკვლელობის გამოძიების მასალებს სამი წლის წინ გაეცნო. "რაღა მაინცდამაინც ახლა გაახსენდა ლიბერალ-დემოკრატ დეპუტატზე მიტანილი ეჭვი, რომელიც, თურმე, რუსეთში აღარც კი ცხოვრობს?", - კითხულობს ჟირინოვსკი და აღნიშნავს, რომ გალინა სტაროვოიტოვასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა და თვით დეპუტატი ქალბატონიც მის მიმართ "დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული".

„კროკოში" ჩხრეკა კანონიერად ჩაითვლება", ამბობენ პოლიციელები

თამარ კაკიტაძე

ტოტალიზატორ "კროკოს" ოფისების დარბევის ფაქტი კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. დარბეულთა მხრიდან პოლიციის მიმართ პრესკონფერენციაზე წამოყენებულ ბრალდებებს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი მერაბ მელუა პრესკონფერენციითვე პასუხობს და თავის მართლებას შემაგებებელი ბრალდებებითვე ცდილობს.

როგორც მელუამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, შპს "კროკოს" მთელ საქართველოში 49 ფილიალი აქვს, მარტო თბილისში კი 15. კანონმდებლობიდან გამომდინარე, თითოეულ ოფისს ცალ-ცალკე უნდა ჰქონდეს აღებული ლიცენზია, რომლის ღირებულებაც ათასი ლარია, მაგრამ "კროკოს" ხელმძღვანელებმა გამოძიებას მხოლოდ ოთხი ლიცენზია წარუდგინეს. **"კროკოს ხელმძღვანელები თავს იმართლებენ - არ ვიცოდით, რომ ცალ-ცალკე უნდა აგვეღო ლიცენზიაო, მაშინ რატომ ჰქონდათ ოთხი და არა ერთი?"** – კითხულობს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი.

მელუა საკმაოდ დამაჯერებელ დასკვნებს აკეთებს "კროკოს" მხრიდან გადასახადების დამალვასთან დაკავშირებითაც. **"კროკოში" კლიენტებისგან დოლარებს იღებდნენ, ხოლო დოკუმენტებში ლარებად აფორმებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადებს ლარების მიხედვით, ანუ ორჯერ ნაკლებს იხდიდნენ,"** – ამბობს მელუა და გადასახადების დამალვის ფაქტს შემდეგნაირადაც ამტკიცებს: 15 თვის განმავლობაში დედაქალაქში ყველაზე პოპულარული ტოტალიზატორის 15 ფილიალს სულ 18800 ლარი გადაუხდია, ანუ თვეში თითოეულს 100 ლარი. **"კროკოს" პოპულარობიდან გამომდინარე დამეთანხმებით, რომ ეს მართლაც საეჭვო რიცხვია,"** – ასკვნის მაღალჩინოსანი პოლიციელი.

პოლიციამ სცადა, "კროკოს" გარშემო დასმული კითხვებზე დასაბუთებული პასუხი გაეცა. გიორგი ბასილაიას ფოტო

"კროკოს" ხელმძღვანელობის მიერ პოლიციელთა მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს – ოფისი დაგვინგრიეს, სამუშაო დღე ჩაგაგვიგდეს, რეპუტაცია შეგვილახეს - პოლიციელები ისევ და ისევ კანონის მოშველიებით იგერიებენ. **"საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თუ რომელიმე ორგანიზაცია ხელს უშლის გამოძიებისთვის აუცილებელი დოკუმენტების მოპოვებას, მაშინ დოკუმენტები იძულებით უნდა ამოვიღოთ,"** – ამბობს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი გია ასაშვილი. პოლიციელები "კროკოში" სწორედ სასამართლოს ძალით საბუთების იძულების წესით ამოსაღებლად შევიდნენ, ანუ კანონი აღასრულეს. **"ხელმძღვანელობას ვაჩვენეთ სასამართლო ბრძანება, მაგრამ შენობებში შესვლის საშუალება არ მოგვცეს. თანაც გვქონდა ინფორმაცია, რომ ისინი გამოძიებისთვის საჭირო დოკუმენტებს ანადგურებდნენ. ამიტომაც გახდა ორ ოფისში იძულებით შესვლა აუცილებელი, ამის შემდეგ დარჩენილ ოფისებში წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ,"** –უტყუარი არგუმენტი მოიყვანა პოლიციამ.

ერთი სიტყვით, გუშინ პოლიციამ სცადა, "კროკოს" გარშემო დასმულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხი გაეცა, თუმცა პასუხგაუცემელი დარჩა მთავარი კითხვა - "კროკოს" წინააღმდეგ საქმის აღძვრა პოლიციას კონკურენტებმა ხომ არ შეუკვეთეს?". სხვათა შორის, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ამგვარი კითხვა არც დასმულა, რადგან სამართალდამცველთა პასუხი იმთავითვე ნათელი იყო – არა, ჩვენ კანონს ვემორჩილებით.

„ქართველებისთვის აუცილებელია სამართლებრივი მართლშეგნების გალვივება"

გუშინ უცხოელმა და ქართველმა სამართლის ექსპერტებმა "დამნაშავეობა და დამნაშავეობის პრევენციის" საკითხებზე საქართველოში პირველად იმსჯელეს. დამნაშავეობა, საერთაშორისო ტერორიზმი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატიული გზების ძებნა, დამნაშავეობის არასრული სტატისტიკური აღრიცხვიანობა - ეს ის თემები გახლავთ, რომელსაც გუშინ, მთელი დღის განმავლობაში განიხილავდნენ სასტუმრო "მერიოტში".

თეა ხოფერია

როგორც პლანკის სახელობის ინსტიტუტისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჰელმუტ კურმა განაცხადა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება სულაც არ ნიშნავს დამნაშავეების წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას. გარდა იმისა, რომ სანქციების გამკაცრება, კურის აზრით, სასურველ შედეგს არ იძლევა, ასეთი მეთოდები სახელმწიფოს ბევრად უფრო ძვირი უჯდება. **"ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ამდენი ადამიანის დაჭერა უფრო ძვირი გვიჯდება. სჯობს სახელმწიფომ მოქალაქეებს ადრეულ ასაკშივე მისცეს სამართლებრივი განათლება და ამით დამნაშავეობის პრევენციას შეეცადოს,"** - აცხადებს ჰელმუტ კური.

გერმანელი ექსპერტის მოსაზრებას ქართველი სამართალმცოდნეებიც ეთანხმებიან. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის გია ხუბუას აზრით, საზოგადოების სამართლებრივ განათლებაზე ზრუნვა აქტუალურია საქართველოშიც. მას მიაჩნია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ქართული საზოგადოებისათვის აუცილებელია სამართლებრივი მართლშეგნების გაღვივება.

"ჩვენმა საზოგადოებამ სამართლებრივი ეიფორია გამოიარა, ახლა კი უკიდურეს ნიჰილიზმშია. მოქალაქეებს დაკარგული აქვთ ნდობა ძალოვანი სტრუქტურებისადმი და თუ ეს მომავალშიც გაგრძელდება, შედეგი სავალალო იქნება," – ამბობს გია ხუბუა.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანელი და სხვა უცხოელი სამართლის ექსპერტების აზრით, ის საქმეა, რომელშიც მეტ-ნაკლებად მთელი მსოფლიოა ჩართული. ბრძოლის ის მეთოდები კი, რომელმაც მჭიდროდ მოიკიდა ფეხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, შესაცვლელია.

"ამერიკელები ძალიან უხეშად უდგებიან ამ საკითხს; ავიღოთ ერაყის მაგალითი. მართალია, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამარცხებით მსოფლიოში ერთ-ერთი უსაშინლესი დიქტატურა დამარცხდა, მაგრამ, მეორე მხრივ, რა მივიღეთ? ერაყში ყოველ დღე მოსალოდნელია სამოქალაქო ომი. თანახმა ვარ, ვებრძოლოთ ტერორიზმს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, მის წინააღმდეგ ვერაფერი გაკეთდა და ასე ფიქრობს ბევრი ექსპერტი," - განმარტავს ჰელმუტ კური და თან ტერორიზმთან ბრძოლის ახალი გზების მოძიების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გაირკვეს ტერორიზმის წარმოშობის მიზეზები.

საქართველოს რეალობისათვის ძალზე პოპულარულმა თემამ - კორუფციამ - გუშინ გამართულ სემინარზეც გაიჟღერა, ოღონდ ამჯერად ექსპერტები კონკრეტულად კრიმინოგენური ხასიათის კორუფციაზე საუბრობდნენ.

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენელმა გიორგი ღლონტმა სემინარის მონაწილეებს მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები გააცნო, რომლის მიხედვითაც, საქართველო ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოდაა აღიარებული. გიორგი ღლონტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 99 პროცენტი კორუფციას დადებით მოვლენად არ აღიქვამს, საზოგადოება კორუფციას სოციალური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევს.

" ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი საქმის და ბიზნესის წარმართვისას მისაღებია ნაცნობობის, ნათესაური კლანის გამოყენება,"- ამბობს გიორგი ღლონტი.

და ბოლოს, სემინარზე თითქმის ყველა ქვეყნის ექსპერტის მიერ დაფიქსირდა დამნაშავეობის აღმნუსხველი სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობა. როგორც გაირკვა, არასრული სტატისტიკური მონაცემების პრობლემა არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებსაც ჰქონიათ. როგორც ქართველი ექსპერტი გია ხუბუა აცხადებს, იმისათვის, რომ დანაშაულის წინააღმდეგ რეალური გზები გამოინახოს, სამართლის სპეციალისტებს ხელთ უნდა ჰქონდეთ ზუსტი მონაცემები.

მოკლედ

თბილისი. გუშინ გამართულ შეხვედრაზე ფულის გათეთრების პრობლემებზე ისაუბრეს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ და ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა: რობერტო ლამპონმა, ჯონ სტეფან რინგაზმა, სილვიო კამილერიმ და ივ გოდიუმა.

ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში არ არის შესაბამისი კანონი, რომელიც ფულის გათეთრებას შეებრძოლებოდა. მათი თქმით, კანონპროექტს, რომელსაც პარლამენტში იხილავენ, ხარვეზები ახლავს. გარდა ამისა, საქართველომ ევროსაბჭოს რეკომენდაციით მიცემული კანონპროექტის მიღების ვადა უკვე დაარღვია და შესაძლოა, იმ ქვეყნების შავ სიაში მოხვდეს, სადაც ფულის გათეთრებას კანონი არ ებრძვის. ნუგზარ გაბრიჩიძემ სტუმრებთან საუბრისას ხაზი გაუსვა ევროსაბჭოს რეკომენდაციების მნიშვნელობას საქართველოსთვის და აღნიშნა, რომ პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეხუთე საპყრობილეში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციიდან შეყვანილი პატიმარი, , 22 წლი ხვიჩა შოთაშვილი, პოლიციელებს ცემაში ადანაშაულებს. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მას წინა მხარეზე დიდი ზომის სისხლნაჟღენთი აღენიშნება. დაზიანებები აქვს მარჯვენა ხელზეც. შოთაშვილის განცხადებით, აღნიშნული დაზიანებები მან მიიღო გორისა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციებში ფიზიკური ზემოქმედების შედეგად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქსანი. "სასჯელაღსრულების ქსნის მეშვიდე მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ 250-მდე მსჯავრდებულს აივ-ინფექცია (შიდსი), საბედნიეროდ, არ აღმოაჩნდა," - აცხადებს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მთავარი ეპიდემიოლოგი კონსტანტინე ტურაშვილი. ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი 600-მდე მსჯავრდებულიდან შიდსზე გამოკვლევის სურვილი 250-მა გამოთქვა. პატიმრების შიდსზე გამოკვლევის პროგრამას იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი ახორციელებს. პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა და მსჯავრდებულთა შიდსზე გამოკვლევა 2001 წლის დეკემბერში დაიწყო. შემოწმდა გეგუთის, ავჭალის № 9, ქალთა დაწესებულებები, თბილისის №5, ქუთაისის № 2, ბათუმის № 3 საპყრობილეები, სადაც შიდსით დაავადებული ხუთი პატიმარი გამოვლინდა. მსჯავრდებულთა და პატიმართა შორის ამჟამად შიდსის 8 შემთხვევაა აღრიცხული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციამ დეზერტირობისთვის ძებნილი ორი ჯარისკაცი – ალექსანდრე ყაზარაშვილი და ელგუჯა მარტიაშვილი დაიკავა. ყაზარაშვილმა ვაზიანის სამხედრო ნაწილი 2002 წლის 25 მაისს მიატოვა, მარტიაშვილი კი ფონიჭალის სამხედრო ნაწილიდან 2003 წლის დასაწყისში გაიქცა. ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას ინფორმაციით, ორივე მათგანი, დეზერტირობის გარდა, ქურდობისთვისაც გასამართლდება, რადგან ყაზარაშვილმა 2002 წლის 30 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ტინისხიდში მოიპარა თანასოფლელის ძროხა, ხოლო მარტიაშვილს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები კალანდაროვის კუთვნილი ორი ცხენის მოპარვა ედება ბრალად. ორივე დანაშაული შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ცაავას ინფორმაციით, ბოლო ხუთ თვეში სასამართლოში დეზერტირობისა და ქურდობის 50-მდე საქმეა გადაგზავნილი. **მედია-ნიუსი**

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

პრობლემა

პარლამენტი ხალხის არჩეულია

თამუნა აბდუშელიშვილი
51-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ პარლამენტში უამრავი ინციდენტი ხდება:ქუჩური საქმის გარჩევა, სხვადასხვა საგნების სროლა, პირადი შეურაცხყოფა და სხდომებზე არდასწრება. დეპუტატების ყოფაქცევას ვერც თხოვნამ უშველა და ვერც დანამუსებამ -არ გრცხვენიათ, როგორ იქცევით, ხალხის რჩეულნი მაინც არ იყოთ !

სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომები ხშირად იშლება, დეპუტატები კი საკუთარი საქმით არიან დაკავებული და შემდეგ უკვირთ, რატომ საუბრობენ საპარლამენტო კრიზისზე.

დეპუტატები დაუსჯელობის სინდრომმა გააფუჭა, მათი დასჯის მექანიზმი არ არსებობს. უფრო სწორად, არსებობს და ამას არა ერთი კანონი ემსახურება, თუმცა არც ერთი არ სრულდება.

პარლამენტი პოლიტიკური ბრძოლის არენიდან, ქუჩურ რინგად გადაიქცა, სადაც წინა პლანზე პოლიტიკური პოპულიზმი და მოსახლეობაზე მოჩვენებითი ზრუნვა დგას. მთელი ეს აურზაური პარლამენტში თითოეული მოქალაქის შეურაცხყოფაა, თუმცა საზოგადოება ამაზე თვალს ხუჭავს - ხალხს ავიწყდება, რომ მთავრობა მისი არჩეულია და უფლება აქვს, რომ გამოცვალოს, რადგან საზოგადოების ინტერესები არ არის დაცული და არავინ ზრუნავს ჩვენს კეთილდღეობაზე. სამწუხაროდ, **ქართული საზოგადოება დღეს შემგუებელი და ინერტულია.**

მე არ მსურს ასეთ საქართველოში ცხოვრება, რომელსაც არ ჰყავს ისეთი პარლამენტი, სადაც არ მეფობს კანონი, ირღვევა კონსტიტუცია და არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხმა იცხოვროს უკეთეს ქვეყანაში. ეს პარლამენტი კი არა, ინტრიგების ბუდეა.

იქნებ, ვინმემ მითხრას, რატომ არ ისჯებიან ის დეპუტატები, რომლებიც არღვევენ იმ კანონებს, რომლებიც მათივე დამტკიცებულია?!

P.S. ალბათ, ჩვენს შეკითხვებზე პასუხს ვერავინ გაგვცემს

როდის შეწყვეტენ პარლამენტში დეპუტატები საფერფლეებით, "ბორჯომითა" და პულტებით ერთმანეთის დევნას?

როდის დამტკიცდება რეალური ბიუჯეტი ?

როგორ უნდა მოიქცეს ჩინოვნიკი, რომელსაც ოჯახის სარჩენად ფული არ ჰყოფნის?

ფოტო ილია ბილანიშვილის

სკოლა

თამუნა მარგველაშვილი
51-ე სკოლის მოსწავლე

საქართველოში ხალხი დაუძლურდა. აბა რა ვუწოდოთ ადამიანს, რომელსაც პურის ფული არა აქვს, საკუთარი კუთხე არ გააჩნია ღამის გასათევად და სიცოცხლის ხალისი დაკარგული აქვს.

ადამიანს აღარ ახსოვს სიტყვა "ადამიანის" შინაარსი.

ყველა პურის ფულისთვის იკლავს თავს მუშაობით, რომ ოჯახი არჩინოს. მთავრობა კი ათასში ერთხელ თუ გაიმეტებს ხელფასსა და პენსიას და ისიც რამდენს?!

მოხუცმა კაცმა, რომელსაც მომვლელი არ ჰყავს, პენსიით როგორ უნდა იცხოვროს. **ნუთუ სულ დაკარგა მთავრობამ სინდისი?! ნუთუ გულის კუნჭულში მაინც არ აწუხებთ, ასე გაუბედურებულ ხალხს რომ ხედავენ? სამართალი სად არის?**

მართლა დიდი ხანია, კმარა !

რატომ არ სწავლობენ ბავშვები?

ელისო გორგოძე
სალომე გურგენიძე
57-ე სკოლის მოსწავლეები

არიან იმ კატეგორიის მასწავლებლები, რომლებიც ქრთამის გარეშე ნიშანს არ წერენ. მაგალითად, სკოლაში სწავლობდა ბავშვი, რომელიც მეცხრე კლასიდან გადიოდა, მას არც ისე კარგი ნიშნები ჰქონდა. მისმა მშობელმა მასწავლებელს აჩუქა ძვირფასი ნივთი და მასწავლებელმაც დაუწერა კარგი ნიშნები. ეს, ჩემი აზრით, კორუფციაა და **უნდა დაისაჯოს, როგორც ქრთამის ამღები, ასევე მიმცემიც.**

ბავშვებს სწავლაზე გული აქვთ აცრუებული, რადგან დღევანდელ საქართველოში ნასწავლი ხალხიც ხელგაწვდილი მათხოვრობს, ზოგი თოთხმეტლარიანი პენსიის მოლოდინშია, ზოგიერთი **უცოდინარი კი მაღალი თანამდებობის პირია.**

ბავშვების ნაწილი ვერ სწავლობს იმის გამო, რომ პროგრამები გადატვირთულია. **ზოგიერთი სახელმძღვანელო კი, ისე გაურკვევლად არის დაწერილი, რომ ნაგავსაყრელზეა გადასაგდები.**

ყოველ დღე შვიდი გაკვეთილის სწავლა იოლი არ არის. ჩვენ, ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლები გვეხვეწებიან, დარჩით და გამეცადინებთო, რა თქმა უნდა, გადასახადის გარეშე, მაგრამ ჩვენ ისე ვიღლებით ამდენი გაკვეთილით, რომ ერთი სული გვაქვს სახლში როდის მივალთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ **კლასში ორმოცამდე ბავშვი ზის იმიტომ, რომ მასწავლებლებს იმ მინიმალურ ხელფასსაც ვერ უხდიან და უნდა შეამცირონ.** ამით კი ბავშვების განათლება ზარალდება, რადგან ბავშვი ფიქრობს: "ორმოციდან რაღა მე გამიძახებსო?"

განათლების სამინისტრომ სასწრაფოდ რაღაც ზომები უნდა მიიღოს.

როგორ ყიდულობენ ნიშნებს

ლევან მოსეშვილი
51-ე სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება ემსგავსება მშობლიურ ურთიერთობას. მოსწავლის მშობელი სკოლაში მასწავლებელია. მას დიდი ამაგი და შრომა აქვს მოსწავლის აღზრდაში, მაგრამ ზოგჯერ ამ ურთიერთობაში ვაწყდებით მანკიერ მხარესაც, როდესაც მასწავლებელი მიკერძოებულია და მექრთამეობაზეა გადასული, რაც დაუმსახურებელი ნიშნებით შეფასებასა და გამოძალვის მიზნით ნიშნის დაკლებაში გამოიხატება.

მოზარდის ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის ეს ძალიან მავნებელია. მაგრამ მასწავლებელიც ხომ რაღაცამ აიძულა - მასაც ჰყავს ოჯახი, შვილები სარჩენი. მასწავლებლებს ძალიან დაბალი ხელფასები აქვთ, რაც გზის ფულადაც არ ეყოფათ. ეს ისევ და ისევ ჩვენი მთავრობის ბრალია, რომელიც არ არის დაინტერესებული ჯანსაღი თაობის აღზრდით.

რა ქნას იმ ბავშვმა, რომლის ოჯახს არა აქვს საშუალება ქრთამი მისცეს ცოდნის მისაღებად, რა თქმა უნდა დარჩება უცოდინარი. მაგრამ უცოდინარი ის ბავშვიც რჩება, რომელიც ნიშნებს ყიდულობს.

რა არის კორუფცია

ა. ფარცხალაძე
თბილისის 57-ე საშუალო
სკოლის მოსწავლე

ბევრ ბავშვს ანებივრებს მშობელი და ისიც არ სწავლობს. მშობელი კი მასწავლებელს ქრთამს აძლევს, რომ მის შვილს კარგი ნიშანი ჰქონდეს. შვილი უსაქმურობას ეჩვევა და ქუჩის ბიჭად იზრდება.

ეს არის ჩემი აზრით კორუფცია.

მე სამი წელი ვცხოვრობდი რუსეთში და ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ სკოლაში მივეყვანე, მაგრამ დირექტორმა თქვა, რომ ქართული პასპორტით ვერ დამიშვებდა სკოლაში. თუ ჩემი მშობელი ფულს მისცემდა დირექტორს, მაშინ მე ვისწავლიდი იმ სკოლაში. მაგრამ ჩემმა მშობელმა არ გადაიხადა და სახლში მასწავლა.

სოფელში დავდიოდი სპორტზე. მყავდა გუნდელი, რომელიც საერთოდ ვერ თამაშობდა ფეხბურთს. ესე იგი, ვერც სათადარიგოში. მისმა მშობელმა მისცა ქრთამი მწვრთნელს და იმ დღიდან ეს ბიჭი ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა.

ბევრჯერ მიჩუქნია მასწავლებლისთვის საჩუქარი და მას გახარებია ის პატარა რამეც.

ის სიყვარულით იყო მიძღვნილი და ალბათ, იმიტომ. იყვნენ სხვა მასწავლებლებიც, რომლებმაც ის პატარა საჩუქარი დაიწუნეს და ბავშვებს გული დაწყვიტეს. ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი გვეუბნება, დარჩით გაკვეთილების შემდეგ და დამატებით გამეცადინებთო, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ასე უნდა იქცეოდეს ყველა მასწავლებელი.

პასუხი

იუსტიციის სამინისტროდან შეკითხვაზე „როგორ გავხდე კანონიერი ქურდი"

ჩვენო ახალგაზრდა მეგობარო, გვინდა გიპასუხოთ, რომ ძალიან აგვაღელვა შენმა შეკითხვამ. ნორმალური ცხოვრების პირობებში შენი ასაკის მოზარდს სულ სხვა ინტერესები უნდა ამოძრავებდეს...

თვითონ კანონიერი ქურდის არსებობა თავის დასაწყისს მეფის რუსეთის პერიოდიდან ითვლის. აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა უცხო იყო საქართველოსთვის და გავრცელდა რუსეთიდან.

"კანონიერი ქურდი" ეს არის ავტორიტეტი სისხლის სამართლის დამნაშავეთა გარემოდან, რომელიც ლიდერად აღიარებულია დამნაშავეთა სამყაროს სხვა წარმომადგენლების მიერ. მათ აქვთ გარკვეული წეს-ჩვეულებანი, რომელსაც თვლიან თავიანთ კანონებად და აქედან გამომდინარე, აღნიშნული "კანონების" მიმდევართა შორის ლიდერს უწოდებენ "კანონიერ ქურდს".

სამწუხაროა, რომ საქართველო იმ რამდენიმე ქვეყნის ჩამონათვალში შედის, სადაც არსებობს "კანონიერი ქურდის " ინსტიტუტი და ხდება ამ ინსტიტუტის პოპულარიზაცია. მათ შორის საზოგადოების, რატომღაც "ელიტად" მიჩნეულ ნაწილშიც.

კარგია, რომ გსურს იყო მდიდარი და აკეთო სასიკეთო საქმეები, ოღონდ იცოდე, რომ **ბოროტი ფესვიდან ჯერ არ აღმოცენებულა ჯანსაღი სხეული და არც "ქურდობაა" სიკეთის საწინდარი.**

ვერ გიპასუხებთ შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა გახდე "კანონიერი ქურდი", რომ ვიცოდეთ კიდეც. ისე კი **ეს შენი შეკითხვა ჩვენი ბრალიც არის.**

იმედს გამოვთქვამთ, რომ მოვა დრო, როდესაც საზოგადოება განთავისუფლდება "კანონიერი ქურდის" სტერეოტიპისაგან და თითოეული მოქალაქისათვის მისაბაძი იქნება არა ქურდული ტრადიციები, არამედ განათლება, პროფესიონალიზმი და ქვეყნის სიყვარული.

კარგი იქნებოდა, შენს შეკითხვაზე პასუხი წერილის პირველწამკითხავს გაეცა, ვინაიდან ეს თითოეული ჩვენგანის სატკივარია. ასევე **საინტერესოა, როგორ გასცემს შენს შეკითხვას პასუხს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის აღზევებასა და რეკლამირებაში.**

მჯერა, სულ მალე ეს შენი დახმარებით მოხდება და მსგავსი კითხვები ჩვენს ქვეყანაში აღარ დაისმება.

იუსტიციის სამინისტრო

დაგვირეკეთ: 20-24-24
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შენ შენს საკუთარ ვარდს მოუარე?

წერილში მოსწავლეთა მიერ წამოჭრილია საჭირბოროტო საკითხები: ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო ნაგვის პრობლემები, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა და ა. შ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შეფასებული იქნა 2002 წელს ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლები-რეგიონების, ქალაქების და საწარმოების მიხედვით და ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა. ანალიზმა აჩვენა, რომ **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ტრანსპორტიდან და უხარისხო ბენზინიდან გაცილებით აღემატება მოქმედი საწარმოებიდან დაბინძურების რაოდენობას,** რაც გამოწვეულია ერთიმხრივ საქართველოს სამრეწველო პოტენციალის დიდი ნაწილის უმოქმედობით, ხოლო მეორეს მხრივ ავტოპარკის დაბალი ტექნიკური მდგომარეობითა და მომსახურეობით, აგრეთვე უხარისხო საწვავით.

დღეისთვის სამინისტრო მუშაობს მონიტორინგის, ანუ დაკვირვების სისტემის შექმნაზე, რაც მომავალში, როცა საქართველოს სამრეწველო პოტენციალი მთლიანად ამუშავდება, საშუალებას მოგვცემს, სრულად განისაზღვროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხი.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენებს, აქაც არ შემიძლია არ დავეთანხმო მოსწავლეთა გულისტკივილს. ნარჩენების განთავსების, გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სწორედ ამ პრობლემის დარეგულირებისათვის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი. ნარჩენები, თავისი წარმოშობის, კლასიფიკაციის და საშიშროების მიხედვით სხვადასხვანაირია.

რაც შეეხება ვეძისის პარკის პრობლემას...სამწუხაროდ **ბაღ-პარკების დანაგვიანებაში ლომის წილი მოსახლეობას მიუძღვის.** მინდა სწორად გამიგოთ. საშინელებაა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი აკეთებს: საოჯახო ნაგვის დაყრა ყველა ხელსაყრელ ადგილზე, მანქანებიდან და ფანჯრებიდან ნაგვით სავსე პარკების გადაყრა, ქალაქგარეთ პიკნიკების შემდგომ დანაგვიანებული ადგილების დატოვება, თუ სხვა **მრავალი რამ, რაც ჩვენი საზოგადოების უკულტურობაზე და გარემოსადმი უკულტურო დამოკიდებულებაზე მიუთითებს. არ შეიძლება თითის სხვისკენ გაშვერა, როდესაც შენ თვითონ არაფერს აკეთებ ელემენტარული სისუფთავის დასაცავად.** გაიხსენეთ ჩვენი ეზოები, სადარბაზოები, ქალაქის უბნები. მე ჩემს შვილებს კვირაობით ვაკის პარკში ვასეირნებ და იშვიათად შემხვედრია დედა, რომელიც თავის შვილს შენიშვნას მისცემს ძირს დაგდებული ნაყინის ქაღალდის გამო. ტურიზმის რა განვითარებაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც ნაგავი პირდაპირ ხევებშია ჩაყრილი და იქ ანტისანიტარია სუფევს. ეს რა თქმა უნდა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, მაგრამ თითოეულ ჩვენგანსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მახსენდება კარგი ფრაზა ეკზიუპერის ნაწარმოებიდან, როდესაც პატარა უფლისწული საუბრობდა იმაზე, თუ რა გააკეთა, მას დაუსვეს შეკითხვა: "შენ შენს საკუთარ ვარდს მოუარე?" ამიტომ **მოდით საკუთარი თავიდან დავიწყოთ წამოჭრილი პრობლემების მოგვარება.** გადამწყვეტი როლი ახალგაზრდობას ეკისრება და თუ უფროსი თაობა სცოდავს, ახალგაზრდები უნდა შეეცადონ მამათა შეცდომების გამოსწორებას.

პატივისცემით ***ნინო ჩხოგაძე***
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

5 ივნისსმსოფლიო აღნიშნავს გარემოს დაცვის დღეს. მოდით ეს დღე აღვნიშნოთ არა დეკლარაციულად, არამედ პრაქტიკული ღონისძიებებით. თბილისელებო, მოგმართავთ უკლებლივ ყველას. თავად შევაგროვოთ ნაგავი და დავასუფთაოთ ჩვენი ქალაქი. დაგვირეკეთ და შეგვატყობინეთ ვის, სად და როდის გჭირდებათ მანქანები. ჩვენ შევეცდებით უზრუნველვყოთ მისი გატანა. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ 5 ივნისს. მოდით დავიცვათ გარემო ადამიანებისგან, ისევ და ისევ ადამიანებისთვის.
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

"რეალი" იყო, არის და იქნება ოცნების გუნდი" B2

ბერძენ-რომაელები ევროპულ რელსებზე შედგნენ B5

TV პროგრამა B6

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

საქართველო აფხაზეთისთვის დღემდე საშიშია...

აცხადებს ოპოზიციური აფხაზური გაზეთის მთავარი რედაქტორი დაურ ნაჭყებია

A1 გვერდიდან

- როგორ ცხოვრობთ აფხაზეთში?

- ვუძლებთ. კარგი ცხოვრებისთვის ზოგიერთი პირობა შექმნილია.

ეკონომიკურად, რა თქმა უნდა, ღარიბი ქვეყანა ვართ. ცხოვრების დონე ისე მაღალი არ არის, როგორც ეს შესაძლებელია. აფხაზეთში ნამდვილად არ შიმშილობენ, ღარიბებიც თითქმის არ არიან. თითო-ოროლას ქუჩაში შეხვდებით, მაგრამ სიღატაკის მასშტაბები დიდი არ არის.

- საკუთარი ძალებით ეკონომიკის აღორძინებას ახერხებთ?

- ჩვენი "მეგობრების" წყალობით, უკვე 10 წელინადია, ეკონომიკურ ბლოკადაში ვართ. აფხაზეთში არსაიდან არ მოდის ფინანსური დახმარება. მხოლოდ საკუთარი ძალებით გავდივართ ფონს - სოფლის მეურნეობა, მანდარინი, ჩაი...

- მოსავალი როგორია?

- რა თქმა უნდა, ომამდელი მოსავალი არ არის...

- მახსოვს, აფხაზეთში უხუცესებიც მრავლად იყვნენ. ახლა?

- სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულშია. მოგეხსენებათ, ძველად, დაბადების თარიღები ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა. უხუცესთა ასაკი მათსავე მოგონებებს ემთხვეოდა და მიახლოებითი, ფიქტიური იყო, მაგრამ 100 წელს გადაცილებულნი აფხაზეთში, მართლაც, ბევრნი ცხოვრობდნენ. ამ საკითხის მკვლევართა აზრით, ხანდაზმულთა არსებობა უკავშირდება კვებას, ჰავას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორია, მაგრამ, ჩემი აზრით, უხუცესთა არსებობა კულტურული მოვლენაა. აფხაზი ხალხის კულტურა და ეთნოგრაფია ხელს უწყობდა ადამიანის დიდხანს სიცოცხლეს – არა მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსების პატივისცემა იყო - მათზე ზრუნავდნენ, უდიდეს პატივს სცემდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ საჭირონი იყვნენ და თავს ვალდებულადაც კი თვლიდნენ, დიდხანს ეცოცხლათ და ახლობლები ოჯახისთავის გარეშე არ დაეტოვებინათ. დიდხანს სიცოცხლეს სიმამაცე სჭირდება. ცხოვრების ტემპი და ვითარება იმდენად სხვაგვარი იყო, დიდხანს სიცოცხლე სასიამოვნოც კი გახლდათ...

- როგორ მიდის კულტურული ცხოვრება - ანსამბლები გასტროლებზე დადიან? წიგნები გამოიცემა?

- მწერალთა კავშირი არსებობს და კიდევ ერთი მწერალთა თავისუფალი ასოციაცია ჩამოყალიბდა, მაგრამ აფხაზეთში, საერთოდ, ცოტას კითხულობენ.

ხალხური ცეკვის ანსამბლები საზღვარგარეთ - გერმანიაში, რუსეთში, თურქეთში, ევროპაში - ინტენსიურად დადიან. კულტურული ცხოვრების მასშტაბები მცირეა, რადგან კულტურის ფინანსური მხარდაჭერა ძალზე დაბალია. სახელმწიფოს ფული არ ჰყოფნის. ეს მხოლოდ ბლოკადის ბრალია. ათი წელიწადია, აფხაზეთი ცხოვრობს იმით, რასაც გამოიმუშავებს, არანაირი ინვესტიცია, ეკონომიკური მხარდაჭერა იქ არ ხორციელდება.

- როგორც ამბობენ, კურორტები იყიდება.

- აფხაზეთის ტერიტორიაზე, პატარ-პატარა მაღაზიებს თუ არ ჩავთვლით, არც ერთ სფეროში პრივატიზება არ მომხდარა. ამიტომაც საკურორტო ობიექტები მხოლოდ იჯარით გაიცემა. აფხაზეთში საკუთრება არ არის და ეს არც ადგილობრივ მოსახლეობას გაუკეთებია.

- პრესაზე ვისაუბროთ. რა გაზეთი გამოდის ყველაზე დიდი ტირაჟით და იდევნება თუ არა თავისუფალი სიტყვა?

- ყველაზე მაღალტირაჟიანია ოპოზიციური გაზეთი "нужная." სიტყვის თავისუფლება ჩვენთან შეუზღუდავია. სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური საჩივრები და დევნა არ არის. რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, ვისაც ესა თუ ის პუბლიკაცია არ მოსწონს, რედაქციებში რეკავს და იმუქრება. საბედნიეროდ, მუქარა მუქარად რჩება.

- განსაკუთრებულ გაღიზიანებას რა იწვევს?

- ხელისუფლების კრიტიკა.

- ინტელექტუალური უპირატესობა საით არის?

- როგორ გითხრათ... რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხარესაც არიან მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ, როგორც საზოგადოებას მიაჩნია, ინტელექტუალური ძალების უმრავლესობა ოპოზიციაშია თავმოყრილი. და ეს ასეც არის. ოპოზიციაში უფრო მეტად მოაზროვნე, შორსმჭვრეტელი, მყარი, ისეთი ხალხია, ვინც ცხოვრებაში ბევრი რამ გამოსცადა. არიან პრინციპულნი, უკომპრომისონი და, როგორც წესი, ყველა სუფთა ბიოგრაფიით. ხელისუფლება მათ, უსახელო ჭორების მეტს, ვერაფერს უყენებს ბრალად. ამ ადამიანებს ხალხში რეალურად აქვთ დიდი ავტორიტეტი. ისინი მათი ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და მუდმივად დგანან - სტანისლავ ლაკობა, ოლეგ დამენია, ნათელა აკაბა, გენადი ალამია, ალექსანდრე ანქვაბი და ა.შ.

- ზოგიერთი მათგანი ხელისუფლებაშიც იყო...

- დიახ, ზოგიერთი მათგანი იყო ხელისუფლებაში და მერე პუბლიცისტიკით იყვნენ დაკავებულნი...

- როგორ არის საქმე მთავრობაში, კორუფცია ყვავის?

- კორუფცია ნებისმიერ ქვეყანაშია, მაგრამ როგორ შეიძლება კორუფციის შესახებ საუბარი, როდესაც ამ თემაზე არც ერთი სასამართლო პროცესი არ გამართულა... ამიტომ ჩვენთან კორუფცია არ არის...

- კონკრეტულად რა უნდა ოპოზიციას?

- მოკლედ მოგახსენებთ ჩვენს პროგრამას. პირველი, რაც ოპოზიციას სურს, ხელისუფლების სისტემის რეფორმირებაა. კონსტიტუცია ომის დამთავრებისთანავე მივიღეთ, მაგრამ საქართველოს მხრიდან საომარი მოქმედებები დასრულებული არ იყო. ამიტომაც, ამ კონსტიტუციით პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. ჩვენი კონსტიტუციით, არ ხდება ხელისუფლების შტოების ბალანსირება. მაშინ, შეიძლება, ეს საჭირო იყო, მაგრამ ახლა ამის დრო წავიდა. დროა, ისეთი შესწორებები შევიდეს, რომ ხელისუფლების ყველა შტო - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო - თანაბარ პირობებში ჩადგეს. მაგალითს მოვიტან: კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრს ჩვენთან პრეზიდენტი ნიშნავს. ამის შემდეგ პრემიერი კაბინეტის წევრთა კანდიდატურებს პრეზიდენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. მთავრობის ფორმირებაში პარლამენტი არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ეს არასწორია და შესაბამის შესწორებას მოითხოვს.

მეორე: მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების კანონიც არასრულყოფილია და შესწორებას მოითხოვს.

- როგორ ფიქრობთ, ახლანდელი პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებებს დათმობს? როგორ აპირებს ოპოზიცია ამის მიღწევას?

- ჩვენმა პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ. პარლამენტს აქვს უფლება, კონსტიტუციაში შესწორება შეიტანოს, მაგრამ რეგლამენტი დადგენილი არ იყო. ახლა გადაიდგა პირველი ნაბიჯი იმისთვის, რომ პარლამენტს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შეეძლოს. როდესაც პარლამენტი საბოლოოდ მიიღებს კანონს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების რეგლამენტის შესახებ, მერე შესაძლებელი გახდება ცვლილებების საკითხის დაყენებაც.

- რადგანაც ოპოზიცია ხართ, ხალხის აზრიც გეცოდინებათ იმის შესახებ, თუ რა სურთ მათ - რუსეთთან ყოფნა თუ დამოუკიდებლად ცხოვრება?

- აფხაზ ხალხს, ისე როგორც ყველა ნორმალურ ხალხს, სურს, იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი. ყველასთან მეგობრობა და საკუთარ სახლში ცხოვრება გვსურს - სულ ეს არის. ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკაა. რა თქმა უნდა, ისე როგორც ყველა ნორმალურ ხალხს, გვსურს, ვმეგობრობდეთ რუსეთთან, საქართველოსთან, გვქონდეს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა და, ამავე დროს, საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობდეთ.

- ერთ-ერთმა ქართულმა ახლად შექმნილმა ორგანიზაციამ შექმნა თავისუფალი ვირტუალური სივრცე

დაურ ნაჭყებია

(რადგან ასეთი რეალური სივრცე არ არსებობს), სადაც საშუალება იქნება, ყოველგვარი კონიუნქტურისა და ცენზურის გარეშე, დაინტერესებულმა საზოგადოებამ საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობაზე იმსჯელოს. ეს ინტერნეტ-გვერდი სამ ენაზე შედგება. ორგანიზაციის ინიციატივა ასეთია: მოდით, აქამდე არსებული ყველა უთანხმოება გვერდზე გადავდოთ და დიალოგი დავიწყოთ... როგორ ფიქრობთ, აფხაზი საზოგადოება ურთიერთობის ამგვარი ფორმისთვის მზად არის?

- ვის გულისხმობთ აფხაზ საზოგადოებაში?

- იმას, ვინც ამ ურთიერთობის დარეგულირებით არის დაინტერესებული. ეს შეიძლება იყოს უბრალო ადამიანი, ან რომელიმე პოლიტიკური ძალა...

- ვფიქრობ, აფხაზეთში მოიძებნებიან ადამიანები, ვინც ამ არჩევანს გააკეთებს და დიალოგში ჩაერთვებიან. თუმცა, აფხაზეთში ინტერნეტსაშუალებებიც შეზღუდულია...

- ინტერნეტ-კაფეები არ გაქვთ?

- არის ორი-სამი... როდესაც ეს ქსელი აეწყობა და ამის შესახებ გავიგებთ, დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი ჩაერთვება ამ პროექტში და არა მხოლოდ ისინი, ვინც აფხაზეთში ცხოვრობს. ამ პროექტს ნამდვილად აქვს მომავალი.

- თაობა, რომელიც ახლა მოდის, რომელსაც არ უომია და არც საქართველოსთან უცხოვრია, რას ფიქრობს ჩვენს მომავალ ურთიერთობაზე?

- ამ თაობას ომის ვითარებაში უცხოვრია... ჩემი უმცროსი ქალიშვილის მაგალითს მოვიტან. ის ომის შემდეგ, 1995 წელს დაიბადა, მაგრამ ომის შთაბეჭდილებებით გაიზარდა. ჩვენ ყოველთვის დავდივართ ომში დაღუპული ჩემი ძმის საფლავზე, სახლში ჩემი ძმის თანამებრძოლები იკრიბებიან... ის ხედავს ყველაფერ ამას და როდესაც თვითმფრინავი გადაიფრენს, მეკითხება: "მამა, ომი დაიწყო?" ასე რომ, სამწუხაროდ, აფხაზეთში ომი ყველას შეეხო. არ არსებობს ადამიანი, ვისაც ვინმე ახლობელი, მეგობარი არ დაელუპა. ენდეთ ჩემს გამოცდილებას, ეს ხსოვნა ცოცხალია...

ჩემი ბიძაშვილი 20 წლისაა, ომის დროს სულ პატარა ბიჭი იყო, მაგრამ მასაც ახსოვს ომი... და ის, რომ ამ თაობას საქართველოსთან ცხოვრების გამოცდილება არა აქვს, ერთდროულად კარგიცაა და ცუდიც... უფრო კი ცუდია იმ მხრივ, რომ მათთვის კომპრომისი უფრო ძნელად მისაღწევია, ვიდრე ჩვენი თაობისთვის. მათ მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სუვერენული აფხაზეთი სურთ და მორჩა. მათ არ იციან, რა აკავშირებთ საქართველოსთან. ძალიან კარგი, რომ მეზობლები ვართ, მერე?! ისინი ასეც არ გრძნობენ თავს ცუდად და ფიქრობენ, რომ მომავალში კიდევ უკეთესად იცხოვრებენ... იმედი აქვთ, რომ ბლოკადა მოიხსნება. აფხაზეთი მდიდარი ქვეყანაა, ფული შემოვა და ა.შ.

- თბილისში თქვენს თანაკურსელებსა და მეგობრებს შეხვდით?

- დიახ, აქ ახლო მეგობრები მყავს... ერთ-ერთ მათგანს შევხვდი და ჩვენი ურთიერთობა ისეთივეა, როგორც ომამდე იყო.

- არ დაპატიჟეთ თქვენთან?

- ყველას დაპატიჟება შეიძლება, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროში (ჩვენთანაც და აქაც) რაღაც პროცედურებია გასავლელი და ამ ორგანიზაციის თანხმობის გარეშე თავისუფლად ჩასვლა-ჩამოსვლა ჭირს...

- თქვენ, როგორც აქტიური ოპოზიციონერი, იმ საზოგადოებრივ არეულობას როგორ აფასებთ, რაც ამ ბოლო ხანს აფხაზეთში მოხდა?

- ოფიციალურად აფხაზეთის ოპოზიცია სამი-ოთხი წლის წინ ჩამოყალიბდა და ეს ჩვენი საზოგადოებისთვის დიდი მიღწევა იყო. ოპოზიციამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ის ხელისუფლებას გააკრიტიკებდა და მას შეცდომებზე მიუთითებდა. ეს ახალი განაცხადი იყო და, რა თქმა უნდა, სიხარულით არ შეხვედრიან. ჩვენთან ისეთი სპეციფიკური ვითარებაა, რომ არც ერთ მხარეს არ შეუძლია, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ რაიმე მსხვილი აქციები და გამოსვლები წამოიწყოს. ჩვენ ყველას გვაკავშირებს ხალხი, გადარჩენის ერთიანი სურვილი, ამიტომ აფხაზეთის საზოგადოების შიგნით დიდი აფეთქების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ვერც ერთი აფხაზი, რაც უნდა საკუთარი ინტერესები ამოძრავებდეს (თუ არ ჩავთვლით გიჟებს, რომლებიც ყველგან არიან), ვერ შეძლებს, საკუთარი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა დააყენოს და რაიმე დესტრუქციული ქმედება გამოიწვიოს. ეს გამორიცხულია.

როგორც ვიცი, თბილისში ხმები დადიოდა, რომ ხალხი მოედანზე შეიკრიბა და ა.შ. მსგავსი არაფერი ხდებოდა.

მთავრობას მიაჩნდა, რომ პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა, როდესაც მთავრობის შემადგენლობაში რამდენიმე ოდიოზური პიროვნება შეიყვანა. ჩვენი საზოგადოება ამას არ მიიღებდა. ამგვარი ფიგურების წინ წაწევა ხალხმა შეურაცხყოფად აღიქვა. მთავრობის გადადგომის მოთხოვნა ომის ვეტერანთა ყრილობაზე გახმოვანდა. ვეტერანები ითხოვდნენ, რომ თუ დათქმულ ვადაში მთავრობა არ გადადგებოდა, საყოველთაო სახალხო შეკრებას გამოაცხადებდნენ, მოედანზე შეიკრიბებოდნენ და იქ დააყენებდნენ მოთხოვნებს. საქმე აქამდე არ მივიდა, მთავრობა გადადგა და ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელშიც ოდიოზური პიროვნებები აღარ არიან.

თუმცა, ოპოზიციის მოთხოვნა ხელისუფლების რეფორმირების შესახებ ძალაში რჩება. აფხაზი ხალხის მთავარი ამოცანა კონსტიტუციაში შესწორების შეტანაა. 2004 წლის ნოემბერში არძინბას უფლებამოსილება წყდება. მას კონსტიტუციით არჩევის ორი ვადა აქვს და ეს ორივე ვადა გავიდა... გვინდა, საპრეზიდენტო არჩევნებს ნორმალური კონსტიტუციითა და კანონმდებლობით შევხვდეთ. დღევანდელი კონსტიტუცია აფხაზეთის განვითარებას აფერხებს და ის უნდა შეიცვალოს... ეს მოწოდება, კომუნისტების გარდა, ყველას მოეწონა...

- გვინდა თუ არა, ურთიერთობა მოგვიწევს, სხვაგვარად ნორმალურ ცხოვრებას ვერ ავაწყობთ... რამდენად აუცილებლად მიაჩნია ახალ თაობას საუბრის დაწყება, თუ ამას კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება?

- მიმაჩნია, რომ ეს, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. პირადად ჩემს აზრს მოგახსენებთ: რასაც საქართველოს ხელისუფლება ომის შემდგომ 10 წლის მანძილზე აკეთებს, ყველაფერი აფხაზეთის საზიანოდაა მიმართული.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველო, უბრალოდ, ძალებს იკრებს, რათა ეს პრობლემა შეიარაღებული გზით მოაგვაროს...

რატომ ვსაუბრობთ ასე ხშირად რუსეთზე, რატომ გვსურს რუსეთის უსაფრთხოების ზონაში ყოფნა? იმიტომ, რომ თუ რუსეთთან კარგ ურთიერთობებს შევინარჩუნებთ, ჩვენი უსაფრთხოება გარანტირებული იქნება, რადგან საქართველოს მხრიდან მხოლოდ მუქარა ისმის... საქართველოს დღემდე ისეთი პოლიტიკა აქვს, რაც აფხაზებს აფრთხობს - გალის 1998 წლის, კოდორის 2001 წლის მოვლენები... ეს ყველაფერი დასაზვერი ომი იყო...

- კოდორის მოვლენები, ჩვენი ხელისუფლების უნიათობის გამო, რუსეთის მხრიდან არის პროვოცირებული...

- ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ომი მესამე ძალის პროვოცირებული იყო, მაგრამ ხომ საქართველოს ტანკები შემოვიდნენ? არ მაინტერესებს, ვინ აიძულა საქართველო, ამაზე წასულიყო. რა თქმა უნდა, მესამე ძალა იარსებებს, რატომ წამოეგო ამაზე საქართველო? ქართული ხელისუფლება ამ 10 წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი მეზობლური ურთიერთობა არ შედგეს და აფხაზი ხალხის უნდობლობა გამოიწვიოს...

- როგორ გგონიათ, რა არის ის ნაბიჯი, რისი გადადგმაც ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია და არ აკეთებს?

- პირველ რიგში, ხელისუფლებამ აფხაზი მოსახლეობის წინაშე ბოდიში უნდა მოიხადოს, აანაზღაუროს ზარალი, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად იმოქმედოს და მუდმივად არ ილაპარაკოს იმის შესახებ, რომ ეს მისი ტერიტორიაა და იმას გააკეთებს, რაც უნდა... საქართველოს მიაჩნია, რომ თუ ხელს მოაწერს სამშვიდობო ხელშეკრულებას, ეს აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარება იქნება.

ომი არ დამთავრებულა. ჩემი აზრით, საქართველო აფხაზეთისთვის დღემდე საშიშია. არ ვიცით, რაში გადაიზრდება ეს საშიშროება ხვალ და ეს იმ ფონზე, რომ ამ ბოლო ხანებში, საქართველო შეიარაღებას, გემებს იძენს და ა.შ.

- გაქვთ რაიმე ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციასთან?

- არანაირი...

- როგორ ფიქრობთ, რამდენი თაობის მერე მოვა აფხაზეთში ოპოზიცია, რომელიც ძველებურ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას ისურვებს?

- დარწმუნებული ვარ, აფხაზეთში არასდროს იქნება ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიცია, რომელიც დამოუკიდებლობის მომხრე იქნება და ხალხს საქართველოსთან შეერთებისკენ მოუწოდებს. საქართველო ამით ამაოდ ნუ ინუგეშებს თავს. სხვაგვარ აფხაზეთზე მეოცნებეთ ეს არ სურთ. ჩვენ გვინდა დემოკრატიული, სამოქალაქო მოწყობის აფხაზეთი და ეს საქართველოსთან შეერთებას არ გულისხმობს.

რა იზიდავს ქართველ დამთვალიერებელს "აპენდიქსში"

ფილიპ მესტის "ბარიკადები" დედაენის ბაღს ალამაზებს

ვერა ნეფარიძე

"ინსტალაცია წარმოადგენს თბილისის თავდაცვითი სისტემის სწრაფი მოწყობის მოდელს სხვადასხვა იაფასიანი დამცავი ნაგებობების საშუალებით, რომელთა ასაგებადაც გამოიყენება ქვიშიანი ტომრები", - ასეთია პარიზელი ფილიპ მესტის "აპენდიქსისთვის" გაკეთებული ბარიკადების კონცეფცია. ეს ტომრები ქალაქში რამდენიმე ადგილას, "9 აპრილის სახელობის ბაღში", კოლმეურნეობის ბაზრის თავზე, მშრალ ხიდთან და კიდევ ერთ-ორ საზოგადოებრივ ადგილასაა აგებული.

"აპენდიქსი" თანდათან ტოვებენ უცხოელი მონაწილეები, სამაგიეროდ თვის ბოლომდე ღია ცის ქვეშ თუ საგამოფენო დარბაზებში დარჩება მათი ნამუშევრები. "აპენდიქსის" დასასრულამდე გრძელდება სხვადასხვა ვიდეოფილმების ჩვენებაც "ქარვასლაში". თუ მანცადამაინც მოისურვებთ მათ ნახვას, გირჩევთ არ გამოტოვოთ წარმოშობით ჩეხი ჰარუნ ფაროკის "თვალი/მანქანა" (სხვათა შორის, გამოფენის ბოლო ღონისძიება ამ ავტორის ლექცია იქნება "გოეთეს ინსტიტუტში"). ეს არის 1991 წელს გაკეთებული რეპორტაჟების სერია ერაყის ომიდან. ამ ნამუშევარში ავტორი ცდილობს პარალელური მონტაჟის საშუალებით, პარალელი გაავლოს ისტორიულსა და ტექნიკურ-ელექტრონულ დროს შორის. და თუ როგორ გამოსდის ეს ყველაფერი, ჯობს ეს საკუთარი თვალით ნახოთ. შედარებით ბანალური მეჩვენა დავით კარეიანის სამარხიანი ვიდეოპროექცია, რომელიც, ძირითადად, ტექნოლოგიების აბსოლუტური ბატონობის წინააღმდეგ გამოდის. ბევრად უკეთესია კარინ მაწაკიანის ვიდეოინსტალაცია "ცისფერი ვერსია". ნამუშევარი თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის უაზრობაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას.

"აპენდიქსის" დედააზრს, - შეიქმნას სააზროვნო სივრცე გამოფენაზე, ყველაზე თვალსაჩინოდ შეესაბამება ნამუშევარი "გეოგრაფიის გაკვეთილი. საშინაო დავალება". რამდენიმე თეთრ ქაღალდზე გაკრულია მსოფლიოს რუკა, ხოლო იქვე დალაგებული ფანქრები და საშლელი დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს, თავად შეცვალოს მსოფლიოს საზღვრები. როდესაც ორი დღის წინათ ეს ნამუშევარი ვნახე, მივხვდი, რომ თბილისელ დამთვალიერებლებს ამ გასართობით თავი კარგად შეუყოლიებიათ. კარგა ხნის თვალიერების შემდეგ, ტექსტის დახმარების გარეშე, გამიჭირდებოდა მივმხვდარიყავი, რომ კედელზე მსოფლიოს რუკა იყო დახატული ოდესღაც. კიდევ ერთი ნიუანსი ნამუშევრის შესახებ: როგორც გავიგე, "გეოგრაფიის გაკვეთილის" საავტორო უფლება დაირღვა. ნამუშევრის ავტორი "აპენდიქსზე" ვერ ჩამოვიდა, რითაც თურმე მის თანამემამულე კონცეპტუალისტს უსარგებლია და ის "გეოგრაფიის გაკვეთილის" ავტორობას იბრალებს. თუმცა, არა მგონი, ქართველი დამთვალიერებლისთვის ამ ყველაფერს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

თბილისში კიდევ ერთი კულტურული მოვლენა დასასრულს უახლოვდება. სამწუხაროა ეს თუ საბედნიერო, - ამაზე იმათ უნდა იმსჯელონ, ვინც რვა მაისიდან დღემდე "ქარვასლასა" და ქალაქის სხვადასხვა კულტურულ თუ საზოგადოებრივ ადგილებში "აპენდიქსის" ეგიდით გამართულ პრეზენტაციალექციებს ესწრებოდა. და თუკი ამ ქალაქში მაინც დარჩა ვინმე ისეთი, ვინც ეს ყველაფერი ვერ ნახა და მცირედი ინტერესი მაინც აწვალებს, დღეს კიდევ აქვს შანსი. აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე დაგეგმილი დღევანდელი აქცია აქ გამართული პერფორმანსების ბოლო ნაწილია.

ამ ღონისძიების ნახვა, ჩემი აზრით, თუნდაც იმიტომ ღირს, რომ გარკვეული წარმოდგენა შეიქმნათ "აპენდიქსზე". და თუ იმას მკითხავთ, ეგ რაღა საჭიროაო, მაშინ გიპასუხებთ, იმისათვის, რომ იცოდეთ, თუ რაში დებენ ფულს წამყვანი ევროპული კულტურული ფონდები, საქართველოში არსებული სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები თუ საელჩოები.

წლევანდელი "აპენდიქსის" ორგანიზატორები და მონაწილეები შეეცადნენ, საკმაოდ ხანგრძლივი გამოფენის კვალი მხოლოდ საგამოფენო სივრცეებში არ დარჩენილიყო. ამის საბაბს მაძლევს ჰოლანდიელი და ფრანგი კონცეპტუალისტების, იუპ ვან ლისჰაუტისა და ფილიპ მესტის ნამუშევრები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებშია. ამშვენებს თუ ამახინჯებს ეს ნამუშევრები ჩვენს ქალაქს, ამაზე ისედაც დიდი აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ ჩემი სუბიექტური მოსაზრების აფიშირებისგან თავს შევიკავებდი. იუპ ვან ლისჰაუტის რკინის კონსტრუქციისგან გაკეთებული ნარინჯისფერი ციხეები "9 აპრილის ბაღში" დგას. შვიდი საკანი უფუნქციოდ არ გეგონოთ, როგორც თავად ავტორმა რამდენიმე ხნის წინათ, თბილისიდან წასვლამდე გვითხრა, თითოეული მათგანი კონკრეტული პიროვნებებისთვისაა გამიზნული. ყველა მათგანი კი ისტორიული მნიშვნელობისაა. მაგალითად, ნომერ პირველი საკანი ლისჰაუტმა - ეტყობა ქრონოლოგიის მიხედვით დაალაგა, - და ის არგონავტებს, ასირიელებს, ურარტუსა თუ სკვითებს დაუთმო; მე თუ მკითხავთ, ამ უცხოელმა – საქართველოს ისტორიული მტრების სახით, სამუშაოდ მშვენიერი თემა შეარჩია. ლისჰაუტმა თავიდანვე იცოდა, რომ პოტენციური პატიმრების სია მის მიერ გაკეთებული საკნების რაოდენობას ნამდვილად ეყოფოდა.

ქალაქის რამდენიმე ადგილას, ღია ცის ქვეშ თუკი ქაღალდის პარკებისგან აგებულ პატარა კონსტრუქციებს გადააწყდებით, არ იფიქროთ, რომ ისინი რიგითი სამშენებლო საშუალებებია, რაიმე ნაგებობისთვის გამიზნული. ეს ბარიკადები გამოფენის ფრანგი მონაწილის ფილიპ მესტის ნამუშევრებია.

ლისჰაუტის "საკანი" კი ალექსანდრეს ბაღს ამშვენებს

www

"შინ" ჯერ შინ არ ბრუნდება

თეა შანიძე

ქართველები სამხრეთ გერმანიაში - გია, ზაზა და მამუკა

ნაცნობი (ან იქნებ, ცნობილი) სახეები და სახელები, რომლებიც დავიწყებას იმ მიზეზით მიეცნენ, რომ ისინი საქართველოში აღარ ცხოვრობენ... როგორც ჩანს, უცხო ქვეყანაში წასვლას ყოველთვის პოლიტიკური და სოციალური მიზეზები არ განაპირობებს... ამიტომაც უმრავლესობას არ სურს, ემიგრანტად იწოდებოდეს.

ამიტომაც, "დროებით გამგზავრებული" თუ "მივლინებული" ქართველების შესახებ ჩვენი რუბრიკის საშუალებით გაიგებთ – სად არიან, როგორ არიან, რას აკეთებენ და რა მიღწევები აქვთ...

ჯგუფი - "შინ"; ადრე მათ "ადიო" ერქვათ.

მუსიკალური მიმართულება: world music; ქართული ვოკალური პოლიფონიისა და ჯაზის შერწყმა.

მეათე წელიწადია, რაც გერმანიაში არიან. ამ ხნის მანძილზე ჯგუფის შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა...

ჯგუფის წევრები: ზაზა მიმინოშვილი (გიტარა, ფანდური...), ზურა გაგნიძე (ბასი, გურული საგალობლები...), მამუკა ღაღანიძე (დოლი), რეი კაჩინსკი (პერკუსია)

კომპოზიციები: "ნიაზი", "კამარა" ,"შინ", "ქვერი"...

ვისგან: TheShin@t-online.de
ვის:public@24hours.ge
თემა: გამარჯობა;
თარიღი: 03. აპრილი. 2003. 21:53

ბოლოს და ბოლოს გეხმიანებით

ამ მომენტში გვაქვს ჩვენი ადგილ-სამყოფელის შეცვლის ციებ-ცხელება და ამიტომ დაგიგვიანეთ პასუხი. თანაც, მოკლევადიან გასტროლებზეც გახლდით სამხრეთ გერმანიის მიდამოებში და ჯაზ-ფესტივალზე ისტანბულში. იმედია, გვაპატიებ.

ახლა ზურა და მამუკა ვსხედვართ ცისფერ ეკრანთან, ხოლო ზაზა ესაუბრება ერთ-ერთ ჩვენს ნაცნობ-მეგობარ-მუსიკოს-მოსწავლე კაცს. ალბათ, ერთ-ორ-სამ-ოთხ საათში შემოგვიერთდება, თუმცა ეტყობა ვერ დაველოდებით, რადგანაც შტუტგარტს უნდა გავეშუროთ საქართველო-ირლანდიის მატჩის წასაგებად ჩვენს ნაცნობ-მეგობარ-მუსიკოს ძმაკაცთან; მას აქვს საქართველოს ბრწყინვალე ტელევიზიის ბრწყინვალედ დაჭერის საშუალება... აქ შევწყვიტეთ, რადგან წასვლის დრო მოსულა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამარჯობა!

ვიდრე კითხვებზე პასუხს გაგცემდეთ, გეტყვით, რომ წერილის წერისას იყო ყველაფერი: ხან ჯგუფის ყველა წევრი იყო, ხან არც ერთი, ხან ყავას ვსვამდით და ხან რას... მოკლედ, ხან იყო და ხან არა იყო რა – და ეს ყველაფერი უსიგარეტოდ.

- ბოლოს და ბოლოს როდის მთავრდება თქვენი მივლინება; "შინ", შინ როდის იქნებით? (ბოლოდან ხომ არ დავიწყე?)

- ბოლოს და ბოლოს მივხვდით, რომ ზოგი დაბადებიდან სულ შვებულებაშია, ზოგი სულ მივლინებაში და სადაც არ უნდა იყოს "შინ", შინ თუ გარეთ, ხან შინ ვართ და ხან გარეთ; ...ბოლოდან არ დაგიწყია, რადგან ეს არის თავი და თავი!

- რამდენად გაიზარდა თქვენი პროფესიული გამოცდილება?

- პროფესიული გამოცდილების გაზრდასთან ერთად ჩვენს მუსიკაში ჩვენთვის არსებულ ფასეულობებს უკეთესი მუსიკა დაემატა.

- მუსიკალური თვალსაზრისით, რა ეტაპზეა ჯგუფი?

- "შინის" მუსიკა ნამდვილად საეტაპო ეტაპზეა. ქართული ვოკალური პოლიფონიისა და ჯაზის შერწყმაში მაქსიმუმი უკვე გაკეთდა და განვითარება კი ახლა იწყება.

- ხომ არ გიჭირთ მანდ ყოფნა?

- რომ გკითხო, გვიჭირს თუ გვილხინს, ალბათ, პირველს უფრო გიპასუხებთ და თუ არ გკითხავ - მეორეს; ისე კი, ჭირი და ლხინი ძმები არიან; კიდეც გვიჭირს და თანაც გვილხინს. მოკლედ, ჩვენსას მივერეკებით.

- თუმცა, თქვენი შესაძლებლობების რეალიზაციას მანდ უფრო ახერხებთ, არა?

- კი, მართალი ხარ! ჩვენი ძალების და შესაძლებლობების რეალიზაციას აქ უფრო ვახერხებთ იმ პროექტებში, რომლებიც (აქ – გარეთ) არის საჭირო; მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მანდაც (შინ) რაღაცას გავაკეთებთ ოდესმე.

- რამდენად კომერციულია თქვენი მუსიკა და მისი სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად გიწევთ თუ არა კომპრომისებზე წასვლა?

- შემოვიტანე ცნება" კარგი კომერცია" – ამ მუსიკას აქვს ბევრი კარგი თვისება, რომელთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ მას კომპრომისი არ სჭირდება. ისღა დაგვრჩენია, ვიპოვოთ იგი (დაელოდეთ ჩვენს მომავალ ალბომს).

- შეკვეთები არის? ... და როგორი?

- შეკვეთები, რა თქმა უნდა, არის და - სხვადასხვაგვარი. მაგალითად, რამდენიმე საიდუმლო პროექტის გარდა, ვაკეთებთ პერფომანსებს თემატიკით: მუსიკა და პოეზია, მუსიკა და ფოტო, მუსიკა და მხატვრობა....

- როგორი რეზონანსი ექნება თქვენს ახალ ალბომს, გაქვთ პროგნოზი?

- ჩვენნაირ მიზანდასახულ "შინს" პროგნოზები არ სჭირდება (გაგვეცინა). დაპირებულ ახალ კომპაქტდისკს ძალიან სწორი რეზონანსი ექნება (არამორცხვი ღიმილი).

- "შინის" შემადგენლობა? ბოლო!

- "შინის " ძალიან ზუსტი და ბოლო შემადგენლობაა: ზაზა, მამუკა, რეი და ზურა (w)

- როდის აპირებთ თბილისში კონცერტის გამართვას?

- მხოლოდ დამაიმედებელი სიტყვებისთვის გეუბნებით, – თბილისში კონცერტის გამართვას ვაპირებთ 21-ე საუკუნეში! გვახსოვს, ეს მე-20 საუკუნეში იყო. ჩვენ შეგვიძლია ბევრი საინტერესო "ინფო" მოგწეროთ, რასაც თქვენ ვერც კი გაიფიქრებდით, მაგრამ იქნებ, ეს სხვა დროს იყოს.

აბა, კარგად!

გადარჩენა მეტია, ვიდრე თავისუფლება

კანის ფესტივალი გრძელდება

თამარ სუხიშვილი

ნიკოლ კიდმანს ყურადღება არსად არ აკლია

REUTERS

მსოფლიო კინომოყვარულთა ყურადღება კვლავ კანის ფესტივალისკენ არის მიპყრობილი. ფესტივალს, როგორც წესი, კვირასაც არ დაუსვენია. ამ დღეს ეკრანები ორმა საკონკურსო ფილმმა დაიპყრო, ამერიკელი რეჟისორის, გუს ვან სენის სურათმა "სპილო" და ცნობილი ფრანგი რეჟისორის, ფრანსუა ოზონის ფილმმა "აუზი". "აუზის" კინოჩვენება კანის ფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ოზონის ეს ფილმი "პალმის რტოს" ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტია...

გუშინ კანის საკონკურსო ფილმებს პოპულარული Dogville-ც შეუერთდა, რომელშიც ნიკოლ კიდმანი მონაწილეობს. სურათი "პალმის რტოს" მფლობელმა ლარს ფონ ტრიერმა გადაიღო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ Dogville-ს პუბლიკა მოუთმენლად ელოდა. ფონ ტრიერიც და ნიკოლ კიდმანიც ბოლო პერიოდის წარმატებულ ხელოვანებად ითვლებიან. ორი წლის წინ, 2001 წელს კანის ფესტივალი ნიკოლ კიდმანის ფილმით - "მულენ რუჟით" გაიხსნა, ახლახანს მომხიბლავმა მსახიობმა არაჩვეულებრივი კინოგმირი შექმნა – ვირჯინია ვულფის პორტრეტი "საათებში" და "ოსკარიც" მოიპოვა ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის. რაც შეეხება ფონ ტრიერს, მან კანის პრესტიჟული "პალმის რტო" 2000 წელს მოიპოვა ფილმისათვის "მოცეკვავე წყვდიადში" (Dancer in the Dark), ისლანდიელი მომღერლის, ბიორკის მონაწილეობით. მოკლედ, კიდმან-ტრიერის ტანდემი მაყურებლისთვისაც და კრიტიკოსებისთვისაც განსაკუთრებით საინტერესოა. ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს ის გარემოება, რომ ფილმში მთელი მოქმედება ერთ სივრცეში ხდება, უბრალო თეატრის სცენაზე, ამაშიც ერთგვარი ინტრიგაა ჩადებული. Dogville-ის მთავარი გმირი განგსტერებისგან დევნილი ლამაზი გოგონა გრეისია, რომელიც თავს შეაფარებს ერთ გაუდაბურებულ ქალაქს აშშ-ში, მთიან ადგილას.

ამ ფილმზე მუშაობა მთავარი როლის შემსრულებლისთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. მან ბევრი რამ ისწავლა რეჟისორისგან. "მე ვიცი, რომ ლარსი ნამდვილი გენიოსია, - ამბობს კიდმანი, - ის საოცრად ნათელი პიროვნებაა." საყურადღებოა ისიც, რომ ფილმში მოქმედება ამერიკაში ხდება, მაგრამ ეს ფონ ტრიერის წარმოსახვაში არსებული ამერიკაა, რეჟისორი არასოდეს ჩასულა შეერთებულ შტატებში. სამსაათიანი ფილმი მან ექვს კვირაში გადაიღო.

"ეს პირველი ფილმია აშშ-ის თემაზე ჩაფიქრებული ტრილოგიისა, - თქვა ფონ ტრიერმა ერთ-ერთ ინტერვიუში, - ამერიკის საზოგადოება, როგორც ვხედავ, დიდად არ იწუხებს თავს ადამიანებზე ზრუნვით. მიუხედავად იმისა, რომ შტატებში არასოდეს ვყოფილვარ, ამ ასპექტის გაკრიტიკება საჭიროდ ჩავთვალე..."

კიდევ ერთი საკონკურსო ფილმი, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს, ბრაზილიური სურათი "კარანდირუა". მისი რეჟისორი ჰექტორ ბაბენკოა, წარმოშობით არგენტინელი. ჰექტორ ბაბენკოს ბრაზილიაში საკუთარი კინოკომპანია აქვს – "HB ფილმები", პირველი ფილმი მან 1975 წელს გადაიღო. "კარანდირუ" მისი მეშვიდე ფილმია. მისი მთავარი გმირია ექიმი, რომელიც სან პაოლოს ციხეში მუშაობს და ერთადერთი ადამიანია, ვისზეც პატიმრები იმედებს ამყარებენ. ექიმი სწორედ ის რგოლია, რომელიც გისოსებში გამომწყვდეულ ადამიანებს გარესამყაროსთან აკავშირებს. ის ხვდება პატიმრებს, მათი დიდი ნდობით სარგებლობს და ერთადერთი მესაიდუმლე ხდება. სამყარო, რომელიც ფილმშია აღწერილი, ექიმის თვალითაა დანახული და ტყვეების ნაამბობს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, მოქმედება ხან ციხეში ხდება, ხან - ციხის გარეთ. კულმინაცია 1992 წლის ოქტომბრის ტრაგიკული მოვლენაა, საშინელი სისხლისღვრა "9 პავილიონში", სადაც 111 ადამიანი დაიღუპა.

"არსებობს ერთი რამ, რაც თავისუფლებაზე მეტია, ეს გადარჩენაა," – ამ ერთ ფრაზაში ფილმის მთელი აზრია ჩადებული...

დღეს ფესტივალზე ინტერესით ელიან კიოში კუროსავას "ნათელ მომავალს" და ბერტრან ბონელოს "ტირესიას".

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნოგოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სპეციალური კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქმოვინა "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ინფორმაცია

რუსები კალაძის წინააღმდეგ

რუსეთის საფეხბურთო სამყარო ჩემპიონთა ლიგის ფინალის დროს, რომელიც 28 მაისს მანჩესტერში გაიმართება, "მილანისა" და კალაძის მეტოქე გუნდს, "იუვენტუსს" უქომაგებს. თუმცა, არც კალაძე და არც რუსეთის ნაკრების მიერ მცირე ხნის წინ თბილისში განცდილი მარცხი არაფერ შუაშია. იმ შემთხვევაში, თუ ფინალში "იუვენტუსი" გაიმარჯვებს, იტალიას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე, მხოლოდ ორი გუნდი – "იუვენტუსი" და "ინტერი" ეყოლება. თუ კალაძის გუნდი მოიპოვებს ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს, მაშინ ამ გუნდებს დაემატებათ "მილანიც", ხოლო ეს დამატება რუსეთის ჩემპიონის, "ლოკომოტივის" ხარჯზე მოხდება და ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაასაღწევად ბოლო, მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის გავლა მოუწევს.

"სელტიკმა" რეკორდი მოხსნა

უეფას თასის ფინალში შოტლანდიური "სელტიკის" გასვლამ მოულოდნელი შედეგი გამოიწვია. კლუბის მაისურებით ვაჭრობა ფანტასტიკურად გაიზარდა და 4 დღის განმავლობაში რეკორდულ რაოდენობას – 35 ათასს გადააჭარბა. მარკეტოლოგები ვარაუდობენ, რომ კვირის ბოლოს ეს რიცხვი კიდევ 10 ათასით გაიზრდება და წინა რეკორდს 4-5-ჯერ გადააჭარბებს. თუმცა, თადარიგიანმა და ევროპაში ყველაზე ძუნწად მიჩნეულმა შოტლანდიელებმა, რომლებსაც რეალიზაციის ტემპები ძალზე ახარებთ, მწარმოებლებს 100 ათასი მაისურა დაამზადებინეს. ამის გამო, არსებული ბუმის მიუხედავად, "სელტიკის" მაისურების დეფიციტზე საუბარი ნაადრევია. უეფას თასის ფინალი კი 26 მაისს, ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართება. "სელტიკის" მარკეტოლოგებმა ამ ფაქტთან დაკავშირებითაც გამოავლინეს კომერციული ალღო - გასაყიდად გამოუშვეს ანდალუზიის ცხელი მზისგან დამცავი სპეციალური სომბრეროები. ამ ნაწარმის 3000 ეგზემპლარი უკვე შეიძინეს იმ გლაზგოელებმა, რომლებიც ფინალურ მატჩზე დასწრებასა და საკუთარი გუნდის გამხნევებას გეგმავენ.

ნიუ-ჯერსი დაწინაურდა

NBA-ში გრძელდება პლეი-ოფის შეხვედრები. აღმოსავლეთ კონფერენციაში გაიმართა ფინალური სერიის პირველი მატჩი "დეტროიტ პისტონსსა" და "ნიუ-ჯერსი ნეთსს" შორის. დაძაბულ თამაშში გაიმარჯვა "ნეთსმა". ამ შეხვედრაში გადამწყვეტი გახდა სტუმართა ლიდერის ჯეისონ კიდის საოცარი ტყორცნა. თამაშის დამთავრებამდე 1,4 წამით ადრე კიდი ხელიდან დაუსხლტა "პისტონსის" თურქ ცენტრს, მეჰმეთ ოკიურს და დაახლოებით ექვსი მეტრის მანძილიდან ზუსტად ტყორცნა - 76:74 "ნეთსის" სასარგებლოდ.

სან ფრანცისკოში კოსკეიმ იმარჯვა

ორი დღის წინ გამართულ ცნობილ სან-ფრანცისკოს კროსში (რბენა 12 კილომეტრზე), რომელშიც დიდ დისტანციებზე მორბენალმა მსოფლიოს ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, პირველობა არავის დაუთმო კენიელმა ჯეიმს კოსკეიმ, რომლის შედეგიცაა 35 წუთი და 11 წამი. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზეც კენიელები, შესაბამისად, ჯონ იტატი და პატრიკ ნტივუ გავიდნენ.

ქალთა ანალოგიურ შეჯიბრებაში რუსმა ლუდმილა ბიკტაშევამ იმარჯვა. მისი შედეგი დიდად არ ჩამოუვარდება მამაკაცების დროს - 39 წუთი და 22 წამი.

"მაკლარენი" ბანქოს გახსნას არ ჩქარობს

"ფერარის" ახალ ბოლიდს, რომლის შესაძლებლობითაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი აღფრთოვანებულია და რომლითაც გერმანელმა ესპანეთისა და ავსტრიის გრან-პრი მოიგო, "მაკლარენის" საჯინიბო ახალ მანქანას უპირისპირებს. MP4-18 უილიამსის კონსტრუქტორების დაძაბული მუშაობის შედეგია, თუმცა, ამ საჯინიბოს შეფი რონ დენისი არ ჩქარობს უახლესი ბოლიდის საქმეში ჩართვას და მონაკოს გრან-პრიზე "უილიამსის" პილოტები ძველი მანქანებით იასპარეზებენ. დენისის აზრით, მონაკოში გამარჯვება, პირველ რიგში, დამოკიდებულია პილოტთა პროფესიონალიზმსა და ბოლიდის საიმედოობაზე და არა მანქანის სისწრაფეზე, რადგან რბოლა ქალაქის ვიწრო ქუჩებში, უაღრესად დახლართულ ტრასაზე მიმდინარეობს.

ოლიმპიადის თილისმა - სამხრეთჩინური ვეფხვი

როგორც იცით, 2006 წლის ოლიმპიადას ჩინეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. ოლიმპიადის სიმბოლოდ, სავარაუდოდ, სამხრეთჩინურ ვეფხვს შეარჩევენ. თილისმად ვეფხვის შეთავაზების იდეა ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის ხელისუფლებას და ბუნების დამცველ ორგანიზაციებს ეკუთვნით. "სამხრეთჩინური ვეფხვის დამახასიათებელი თვისებებია ძალა, სისწრაფე, სილამაზე და მოქნილობა, რაც ოლიმპიური თამაშების სულთან ძალზე ახლოა", - განუცხადა ჟურნალისტებს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა. თილისმის პრეზენტაციის ცერემონია 25 მაისისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ატიპური პნევმონიის ეპიდემიის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

TV-სპორტი

სამშაბათი. 20 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ქალებს შორის. რუსეთი – პოლონეთი
15:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
15:45 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა
16:45 გასული კვირის ჰიტ-პარადი
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:20 გასული კვირის ჰიტ-პარადი
21:05 ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა
22:00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
22:55 თავისუფალი დარტყმა
23:10 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. იუვენტუსი – რეალი
0:55 ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა

НТВ + СПОРТ
11:00, 14:00, 17:00, 20:00, 22:15 პრეს-ცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპის ლიგის ჩემპიონატი
14:40 "NHL PLUS" კვირის შედეგები
15:40 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი
16:25 საჭადრაკო მიმოხილვა
17:15 წრიული რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი
20:15 პოკერი
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:30 ამერიკული ფეხბურთი. ევროპის ლიგის ჩემპიონატი
0:45 "კეგლის მოგროვების დროა"
1:15 ახალი ამბები
1:30 "NHL PLUS" კვირის შედეგები
1:40 ცხენოსნობა

EUROSPORT
11:30 სარბოლო უიკ-ენდი
13:30 ტრიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი
14:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:30 საფეხბურთო მიმოხილვა
16:00 ჟურნალი "ევროგოლი"
17:30 ველოსპორტი. ჯირო დ`იტალია. მე-10 ეტაპი
20:30 ENTERTAINMENT TAPES
21:30 ჟურნალი "ევროგოლი"
23:15 კრივი
0:00 კრივი. ბრძოლა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის. პირდაპირი რეპორტაჟი
2:15 კრივი
3:15 თავისუფალი ფრენა

ფეხბურთი

"რეალი" იყო, არის და იქნება ოცნების გუნდი"

ინტერვიუ ფლორენტინო პერესთან

ამბობენ, რომ "იუვენტუსთან" მატჩის შემდეგ მთელი ღამე არ ეძინა. ამ მარცხმა მას დიდი ტკივილი მიაყენა, ისევე როგორც ყველა იმ გულშემატკივარს, რომლებიც "რეალის" ფინალში გასვლაზე ოცნებობდნენ. და მაინც, სამეფო კლუბის ყოვლისშემძლე პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი დარწმუნებულია, რომ ტურინში განცდილი ფიასკო მხოლოდ და მხოლოდ ერთი, უსიამოვნო ეპიზოდი იყო, რომელსაც ყველა დაივიწყებს. ფლორენტინო პერესს ესპანური გაზეთის As-ის ჟურნალისტი ესაუბრა.

ფლორენტინო პერესი

- რომელიმე სპორტული არხის საშუალებით "იუვენტუსის" გოლების გამეორება ხომ არ გინახავთ?

- არა, ამისი სურვილი არ მქონია. მატჩის მეორე დღეს ჩემს მეგობართან ერთად ყავას ვსვამდი. წმინდა ისიდოროს დღე იყო და შევეცადე, საკუთარი თავი სრულ იზოლაციაში მომექცია. გაზეთებიც კი არ წამიკითხავს...

- კი მაგრამ, ანალიზისთვის საკმარისი დრო გქონდათ. მაინც რა მოხდა "დელე ალპიზე"?

- ყველაფერში დადებითი მომენტები უნდა ვეძიოთ. უნდა ვიყოთ ობიექტურები და ვაღიაროთ, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენ ერთადერთი გუნდი ვიყავით, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ორჯერ გავიდა ამ ტურნირის ნახევარფინალში.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ "რეალის" გულშემატკივრები ძალიან ბრაზობენ. ტურინში მომხდარმა ამბავმა მათ გული ატკინა.

- სწორია, ჩვენ დიდი იმედები გვქონდა, მაგრამ ამ მატჩმა ცუდ დროს მოგვისწრო, ჩვენ ცუდ ფორმაში ვიყავით. გვყავდა ტრავმირებული ფეხბურთელები და საკმაოდ დაღლილებიც ვიყავით, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ. სეზონის ამ დროს, როგორც წესი, დაღლილები ვართ. ეს მუდმივად მეორდება. უნდა ვიფიქროთ, თუ რატომ ხდება ასე. სეზონის მანძილზე მეტისმეტად ბევრი მატჩი გვიწევს, ყველა სხვა გუნდზე გაცილებით მეტი. ზეწოლა, რომელსაც "რეალი" ესპანეთის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში გრძნობს, უბრალოდ, არანორმალურია. "რეალის" წინააღმდეგ გამარჯვება ბევრისთვის უმთავრესი ამოცანაა. ჩვენთვის ყოველი მატჩი ფინალია.

- "დელე ალპიზე" "იუვენტუსი" თვითმფრინავს ჰგავდა, "რეალი" კი გატყდა.

- დიახ, მართალია. ტურნირის ამ ეტაპზე დაღლილობა გარდაუვალია. ამიტომ უნდა ვეძებოთ გამოსავალი, რომ ეს მომავალ წლებშიც არ გამეორდეს. თუმცა, არის ერთი "მაგრამ", რომელიც "იუვესთან" მარცხის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ.

- მაინც რა?

- თუ "რეალი" მარცხდება, მან არ უნდა დაკარგოს თავისი თავის კონტროლი. გასაგებია, რომ შეიძლება წავაგოთ, მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც ჩვენ გვჩვევია და რაც ყველაზე უკეთ გამოგვდის – უნდა შევუტიოთ. იმისთვის, რომ ეს გააკეთო, ძალები უნდა გქონდეს. ოთხშაბათს კი "რეალმა" ეს ვეღარ შეძლო. ამ მატჩმა "ბაიერნის" წინააღმდეგ ორი წლის წინანდელი შეხვედრა გამახსენა. მაშინაც მსგავსი მარცხი ვიწვნიეთ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ "რეალის" პრობლემა ამ მატჩისადმი დამოკიდებულებაში იყო?

- არა, მოტივაცია და თავმოყვარეობა არ გვაკლდა. ჩვენ ძალა არ გვეყო. ვგრძნობ, რომ "რეალი" დღესდღეობით "იუვენტუსზე" ძლიერია, მაგრამ ჩვენ დავმარცხდით ჩვენზე სუსტ გუნდთან. ამ გუნდმა ჩვენ ცუდ დროს წაგვასწრო.

- თქვენ ამბობთ, რომ "რეალმა" საკუთარ სტილს უღალატა. მატჩის შემდეგ განაცხადეთ, რომ გაგაკვირვათ შემადგენლობამ. კამბიასო, გუტი...

- კარგით, მომისმინეთ. გუტი, მართლაც, ხშირად თამაშობდა თავდამსხმელის პოზიციაზე. მან თავდასხმაში ითამაშა "რომას" წინააღმდეგ მატჩშიც და ორი გოლი გაიტანა. ძალთა შეფარდებამ, მართლაც, გამაკვირვა. ეს ყველაფერი უცნაური იყო. მაგრამ დელ ბოსკე სწორედ ის ადამიანია, რომელმაც ყველაზე კარგად იცის ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკური მდგომარეობა. მე უკვე ვუთხარი მას, რომ ჩვენ, ყველანი, ძალიან განვიცდით გუნდის ჩავარდნას, მაგრამ...

- მაგრამ...

- მაგრამ მე მინდა, გულშემატკივრებს იმედი და თავდაჯერებულობა ჩავუსახო. კვლავინდებურად ვფიქრობ, რომ ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გვყავს, მიუხედავად იმისა, რომ "იუვენტუსმა" ლიგიდან გამოგვაგდო.

- დელ ბოსკეს თუ ესაუბრეთ ამ მარცხის შემდეგ?

- დიახ, მე მას აეროპორტში ვესაუბრე და მივულოცე კიდეც, რადგან ახლა ის მომენტია, როდესაც ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავერთიანდეთ და დავავფასოთ ის, რაც გვაქვს. "რეალი" იყო, არის და იქნება ოცნების გუნდი და ამ ფაქტს მხოლოდ ერთი მარცხის გამო საფრთხე არ ემუქრება.

- ეს იმას ნიშნავს, რომ წაგებული მატჩი იეროს და დელ ბოსკეს კონტრაქტების გახანგრძლივებაზე გავლენას არ მოახდენს?

- ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მატჩის გამო არც გუნდის სპორტული პოლიტიკა და არც კონტრაქტების გაგრძელების პოლიტიკა არ შეიცვლება. ამაში ნურავის შეეპარება ეჭვი. თვითკრიტიკულებიც უნდა ვიყოთ და, ამავე დროს, ოპტიმისტებიც. "რეალი" ესპანეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩებით. ერთადერთი, რაც უნდა ვაკეთოთ, ის არის, რომ უნდა ვაღიაროთ – ჩვენ გვყავს კარგი გუნდი, და კარგი მწვრთნელი.

- "რეალში" კიდევ მრავალი ვარსკვლავი მოვა, მაგრამ ტურინის მარცხის შემდეგ თქვენ, ალბათ, პირველ რიგში, ბექჰემის შეძენას მოგთხოვენ. ვინ იქნება შემდეგი შენაძენი?

- მანამდე ესპანეთის ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ ფიქრს ახალ პროექტებსა და ახალ შენაძენებზე. ახლა ტურინში განცდილი მარცხი უნდა დავივიწყოთ, იმედი დავიბრუნოთ. საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება და ჩვენ ყოველთვის უნდა გვჯეროდეს საკუთარი თავის. გულშემატკივრებმა არ უნდა დაკარგონ ჩვენი იმედი, "ბერნაბეუ" ყოველთვის სავსე უნდა იყოს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ეს უდიდესი ეპოქა შესანიშნავ ფეხბურთელებთან ერთად.

- გალაქტიკური მადრიდის "რეალი" – ეს ბუმერანგია, რომელმაც საკუთარი თავი მოიჭრა?

- ეს გალაქტიკური "რეალი", ისევე როგორც დი სტეფანოს "რეალი", ყოველთვის ძნელად იტანს წაგებას. 1958 წლის შემდეგ ვერა და ვერ მოვახერხეთ დუბლის მოგება – ესპანეთის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად გამარჯვება. მაგრამ არის რაღაც, რაც ყველა ტიტულზე მაღლა დგას და რაც არასოდეს უნდა დავკარგოთ – ეს ადამიანების მოხიბვლის უნარია.

- კიდევ ერთხელ გეკითხებით: აპირებთ თუ არა იეროსთან და დელ ბოსკესთან კონტრაქტის გაგრძელებას?

- თქვენ გამოუსწორებელი ხართ. ის, რაც ტურინში მოხდა, მხოლოდ შემთხვევითობა იყო. ამას მე გეუბნებით...

სამი მილიონი რივალდოს

"მილანმა" შეიძლება ბრაზილიელთან კონტრაქტი გაწყვიტოს

კახა ფაჩუაშვილი

რივალდოსთვის "მილანში" ადგილი აღარ არის

როცა შარშანდელ სატრანსფერო სეზონში "მილანმა" რივალდო და ნესტა შეიძინა, "როსონიერი" მყისვე აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის უმთავრესი ფავორიტების კამპანიაში - მადრიდის "რეალის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და მიუნხენის "ბაიერნის" გვერდით. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ რივალდო "მილანისთვის" სახელი უფრო იქნებოდა, ვიდრე რეალური ლიდერი, რისთვისაც ის "ბარსელონადან" გადმოიყვანეს.

საშემოდგომო ეტაპი "მილანს" მეფური გამოუვიდა. გუნდმა ერთი ამოსუნთქვით მოიგო პრინციპული მატჩები და რივალდომაც კლარენს ზეედორფთან და რუი კოშტასთან ერთად მოედნის ცენტრში საუკეთესო ტრიო შექმნა. ანდრეი შევჩენკოს ტრავმის გამო კარლო ანჩელოტის გუნდი ერთი გამოკვეთილი ფორვარდით (ფილიპო ინძაგი) თამაშობდა. ბრაზილიელი კი ოდნავ უკან, შემტევი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა. გუნდი იგებდა. მაშინ რივალდოსთვის ადგილი მოიძებნებოდა.

გაზაფხულზე ანჩელოტიმ ინძაგის შევჩენკო შეუწყვილა. მოედნის ცენტრში კი რუი კოშტასა და ზეედორფის დუეტი დატოვა. რივალდოსთვის ადგილი აღარ დარჩა. ჩემპიონთა ლიგაში გუნდი ისევ იგებდა, მაგრამ "სკუდეტოსთვის" ბრძოლის შანსი დაკარგა. "ჩვენ შესანიშნავად გამოვიყურებით", - ამბობს კარლო ანჩელოტი. პრინციპში, მან გააკეთა ის, რასაც გულშემატკივრები მოითხოვდნენ - "როსონიერი" ორი ფორვარდით თამაშობს და იტალიაში ყველაზე შემტევი და შემოქმედებითი გუნდის რეპუტაციაც დაიმსახურა.

რივალდოსთან დაკავშირებით კი ანჩელოტის, უფრო სწორად, სილვიო ბერლუსკონის შტაბს, სხვა გეგმები აქვს. როგორც ჩანს, "მილანს" არ შეუძლია, ფული უხადოს ძვირად ღირებულ ფეხბურთელს, რომლის კონტრაქტიც 2005 წელს იწურება. კარლო ანჩელოტის თქმით, რივალდომ ვერაფრით დაიმკვიდრა "მილანში" ლიდერის ადგილი და საკუთარი თავის აჩრდილიღა დარჩა. შესაბამისად, ბრაზილიელის მიმართ მწვრთნელის ნდობაც შესუსტდა, ამიტომ იტალიური მასმედია ვარაუდობს, რომ "მილანში" მსოფლიო ჩემპიონის დღეები დათვლილია.

ჟურნალისტთა მტკიცებით, ბერლუსკონის შტაბი ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტაზეც არ იტყვის უარს და მზად არის, რივალდოს, კომპენსაციის სახით, სამი მილიონი დოლარი მიართვას, ოლონდ კი კონტრაქტს ყავლი გაუვიდეს. მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, "მილანი" ვალდებულია, რივალდოს მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში 13 მილიონი დოლარი გადაუხადოს. ანუ, თუ კონტრაქტი ძალას დაკარგავს, ბერლუსკონის ბანაკი 10 მილიონ დოლარს დაზოგავს. ყველაფერი მარტივია. რივალდო "მილანის" ფინანსურ პოლიტიკას ვერ ესადაგება და კლუბიც სუპერვარსკვლავისგან თავის დაღწევის გზებს ეძებს.

ამასთან დაკავშირებით კლუბს ოფიციალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ გაუკეთებია, მაგრამ ამგვარი ვარიანტის გამორიცხვა არ შეიძლება. მით უფრო, რომ შავ-წითლებმა თვალი დაადგეს რივალდოს თანამემამულეს, 18 წლის კარლოს ალბერტოს, რომელიც ამჟამად სამშობლოში თამაშობს და "ფლუმინენსეს" ღირსებას იცავს. ალაიზიო სანტოსის თქმით, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა ევალება, კარლოს ალბერტო დიდ პატივად მიიჩნევს ისეთ გუნდში თამაშს, სადაც რივალდო, სერჟინიო და სხვა ვარსკვლავები ირიცხებიან. ესეც დამატებითი მოტივაცია "მილანისთვის". გამორიცხული არ არის, რივალდოში დაზოგილი 10 მილიონით "როსონიერიმ" ახალგაზრდა ვარსკვლავი შეიძინოს.

ქრონიკა

ბერძენ-რომაელები ევროპულ რელსებზე შედგნენ

გიგა გურასაშვილი

თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგურის პირველ ბაქანთან ჩამომდგარ თბილის-ბათუმის მატარებელთან გუშინ, დილით, მომლოდინეთა შორის ერთი ჯგუფი გამოირჩეოდა. სპორტულ ფორმაში გამოწყობილი საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ემზადებოდა.

რკინიგზის ვაგზალზე თავშეყრილები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი – მგზავრებად და გამცილებლებად. მგზავრ სპორტსმენებს საპატიო მისია აკისრიათ. 23-25 მაისს იუგოსლავიის (სერბია და მონტენეგრო) დედაქალაქი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

გარდა იმისა, რომ ჩემპიონატი ინდივიდუალურია, ბელგრადში მოპოვებული მედლების შეჯამების შემდეგ გამოვლინდება გუნდური სამეულიც და მათ შესაბამისი ჯილდო - თასებიც გადაეცემათ.

როგორც ჩემპიონატის მასპინძლები აღნიშნავენ, ხუთიათასიან "პიონირის" დარბაზს მაყურებელი არ მოაკლდება.

სხვათა შორის, პირველობის მასპინძელი არენა ჩარლი ჩაპლინის ქუჩაზე მდებარეობს. ეს ისე, ცნობისთვის.

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები სრული შემადგენლობით შვიდივე წონით კატეგორიაში (55, 60, 66, 74, 84, 96 და მძიმე) იასპარეზებს. შარშან

ბუხარის ფოტო

საქართველოს ნაკრები ბელგრადის გზას დაადგა

ანალოგიურ ჩემპიონატს ხუთი ფალავნით ეწვია და აქედან ორი - ბადრი ხასაია (74კგ) და მანუჩარ კვირკველია (66კგ) ოქროსა და ვერცხლს დაეუფლნენ. ხასაია წლეულსაც აპირებს წარმატების გამეორებას, კვირკველია კი შედეგის გაუმჯობესებას გეგმავს. უიმედოდ ნაკრების არც დანარჩენი წევრები - ირაკლი ჭოჭუა (55კგ), ლაშა ლომაძე (60კგ), მუხრან ვახტანგაძე (84კგ), რამაზ ნოზაძე (96კგ) და მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე არიან. ყველა მათგანს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მედლები აქვთ მოპოვებული. მათ შორის ყველაზე გამოცდილიც და ტიტულოვანიც მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგაძეა. ლომაძე კი ჭაბუკებშია ასეთივე ტიტულის მფლობელი. მისთვის ევროპის ჩემპიონატი დიდებს შორის სადებიუტოა. ბელგრადში მის გამგზავრებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქამდე ამ წონის ლიდერმა ირაკლი ჩაჩუამ ტრავმა მიიღო.

ქართველი ფალავნები ბელგრადში შარშანდელი შედეგის გასაუმჯობესებლად გაემგზავრნენ. მარშრუტი კი საკმაოდ მომქანცველი და გრძელია. მინსკში ეგრეთ წოდებულ "სტაიკებში" შეკრებაზე მყოფი ქართველი მოჭიდავეები ბელორუსის დედაქალაქიდან კვირას, გამთენიისას ჩამოფრინდნენ, გუშინ კი ბათუმისკენ გაემგზავრნენ. გუშინვე ჩავიდოდნენ ტრაბზონში, საიდანაც დღეს სტამბულის, იქიდან კი ბელგრადის გზას გაუყვებოდნენ.

თბილისის რკინიგზის სადგურში ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას გავესაუბრეთ.

ბერძენ-რომაელთა დამრიგებელი "სტაიკებში" შეკრებითა და მზადების პირობებით კმაყოფილი ჩანდა: "სტაიკები" ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა და კლიენტურა არასდროს აკლია. შეკრება 20 აპრილს დაიწყო და 17 მაისამდე გაგრძელდა. იქ, ჩვენს გარდა, ბელორუსის ნაკრებიც ემზადებოდა, თანაც, ოთხი შემადგენლობით. მოგვიანებით ისრაელის ნაკრებიც შემოგვიერთდა. შეკრებაზე რამდენიმე სპორტსმენი ჰყავდათ ჩამოყვანილი თურქეთსა და ეგვიპტეს. მათ შორის ზოგიერთი მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორიც იყო".

დარჩიას ევროპის ჩემპიონატზე ძირითად მეტოქედ და ფავორიტად რუსეთის ნაკრები მიაჩნია. თვლის, რომ ჩრდილოელები გუნდურში პირველ ადგილს დაიკავებენ. მისივე თქმით, სამეულისთვის იბრძოლებს თურქეთის ნაკრებიც. ანგარიშგასაწევ ძალად კი მომძლავრებული უკრაინისა და ბულგარეთის ნაკრებები მიაჩნია.

რაც შეეხება შედეგებს: "შარშანდელზე უკეთ გამოსვლას ვგეგმავთ. მით უმეტეს, ახლა სრული შემადგენლობით გამოვალთ და წარმატების შანსიც მეტი გვაქვს".

Giro d'Italia

იტალიური დუეტი ტრონკოვის თანხლებით

ირაკლი ბერიაშვილი

ლამაზი მარიოს ეზოშიც გაიმართა ქორწილი.

როგორც იქნა, სპრინტის მეფემ შამპანურიც გახსნა და ნეფის ტანისამოსიც მოირგო.

ყოველ წელიწადს იცვლება ყველაზე სწრაფი მრბოლის სახელის მაძიებელთა ვინაობა, ყოველ წელიწადს რამდენიმე სპორტსმენი იბრძვის ვაკე-ეტაპების ფინიშებზე, ყოველ წელიწადს სულ ახალ-ახალ გუნდებს უჩნდებათ პრეტენზია. 1992 წლიდან მოყოლებული, არ იცვლება მხოლოდ ერთი – ამ ფანტასტიკური ფინიშების მუდმივი ფავორიტი მარიო ჩიპოლინი.

წლევანდელ ჯიროში, ყოველ შემთხვევაში, მის პირველ ექვს ეტაპზე მაინც, "ჩიპოს" ბედი არ სწყალობდა. ხან პელოტონს მოსწყდა და მის გარეშე გაიყვეს ნადავლი, ხან ადრე მოსდიოდა სპურტის დაწყება, ხან აგვიანებდა, ხან თავისი ბრალი იყო, ხანაც – წინასწარ დამუშავებული ტაქტიკისა. თუმცა, ბოლოს სამართალმა მაინც ჭამა პური – მერვე ეტაპი მარიოს ეტაპად იქცა.

ძნელია იმის თქმა, გაიმარჯვებს თუ არა ჩიპოლინი ყველაზე სწრაფი მრბოლის ნომინაციაში, მაგრამ ჩანს, რომ თვითონ სპორტსმენს საამისო სურვილი ნამდვილად აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინა, მთიანი ეტაპის სტარტზე მეფე მარიო ნამდვილად არ გამოვიდოდა.

ეს, რაც შეეხება სპრინტსა და სპრინტერებს, პეპლებსა და ჩიტუნებს. ახლა კი ისევ ნამდვილებს მივუბრუნდეთ.

საერთო ჩათვლაში დაწინაურებული გარძელისა და სიმონის იტალიური დუეტის ტკბილ ღუღუნს, პანტანის გარდა, მხოლოდ რუსი ტონკოვი თუ დაარღვევს. ბელკანტოში პაველ ტონკოვის განსწავლულობისა ნაკლებად მჯერა, მაგრამ 1996 წლის ჯიროს მომგებს, მომდევნო წლებში კი მთავარ პრეტენდენტს, ნამდვილად შესწევს უნარი, სიცოცხლე გაუმწაროს ერთსაც და მეორესაც. ლიტველი რაიმონდას რუმსასი და დარიო ფრიგო, მათ ნომრებს თუ გავითვალისწინებთ, უფრო სავარჯიშოდ არიან გამოსულები – ტურ დე ფრანსისთვის ემზადებიან. არის კიდევ ერთი პრეტენდენტი - ფრანჩესკო კასაგრანდე, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წელიწადი ერთთავად მოწინავეთა რიგებშია, ჩემი აზრით, არა აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – ჩემპიონის ხასიათი.



REUTERS

მარიო ჩიპოლინი

ტექნიკური შედეგები

VIII ეტაპი. რიეზი – არეკო. 214 კმ.

1. მარიო ჩიპოლინი ("დომინა ვაკანზე", იტალია) –	5 სთ. 29 წთ. 46 წმ.
2. რობი მაკივენი ("ლოტო", ავსტრალია) –	იგივე დრო.
3. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) –	იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) –	37 სთ. 09 წთ. 10 წმ.
2. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) –	+31 წმ.
3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) –	+54 წმ.
4. ფრანკო პელიძოტი ("ალესიო", იტალია) –	+1 წთ. 36 წმ.
5. მარიუს საბალაუსკასი ("საეკო", ლიტვა) –	+1 წთ. 38 წმ.
6. პაველ ტონკოვი (CCC პოლსეტი, რუსეთი) –	+1 წთ. 50 წმ.

საუკეთესო სპრინტერი

1. ალესანდრო პეტაკი –	147 ქულა.
2. მარიო ჩიპოლინი –	83
3. სტეფანო გარძელი –	71

საუკეთესო მთიელი

1. ფრედი გონზალესი ("კოლომბია", კოლუმბია) –	20 ქულა.
2. კონსტანტინო ზაბალა ("კელმე", ესპანეთი) –	19
3. სტეფანო გარძელი –	16

და კიდევ: არც ჯირო და არც ნებისმიერი სხვა შეჯიბრება დაზღვეული არ არის იმისგან, რომ არ გამოჩნდება ვილაც, სპეციალისტებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ახალბედა და ყველა პროგნოზს თავდაყირა არ დააყენებს. ჯიროში, ტურსა და ვუელტაში ამისთანა რამეები, მართალი გითხრათ, საკმაო იშვიათობაა, მაგრამ მაინც...

ახლა, როცა მთელი გზის მესამედზე მეტია გავლილი, არის შესაძლებლობა, უფრო მშვიდად ვისაუბროთ სხვადასხვა ნომინაციასა და სხვადასხვა ფერის მაისურებზე. იმაზე, რომ ეს თითქმის ორი ასეული სპორტსმენი რამდენიმე ერთგვაროვან ჯგუფად დაიყო. ისინი, ვინც მთავარი ჯილდოსთვის იბრძოლებს და მათი საჭურველმტვირთველები, ესე იგი, დამხმარეები; ისინი, ვინც საუკეთესო სპრინტერის სახელს შეეცილებიან ერთმანეთს; ისინი, ვისაც ინტერჯიროს მოგება უდევთ გულში; ისინი, ვინც საუკეთესო მთიელის სახელისთვის დაღვრიან კილოგრამობით ოფლს; ისინი, ვინც პელოტონიდან გაქცევით ბედს მიანდობენ თავს – იქნებ გაუღიმოთ ფორტუნამ და მათაც შეხვდეთ ჯიროს ვეებერთელა ტორტის ერთი ნაჭერი მაინც; დაბოლოს, ისინი, ვისაც არც არაფერი უღიმით და არც არაფრის თავი არა აქვთ. თუმცა, არა, იმათაც გამოუძებნიან საქმეს, პელოტონიდან ათწუთიანი სარეკლამო ცრუ გაქცევების სახით.

აი, ასეა ჯიროს საქმე, ნელა, მაგრამ ჯიუტად რომ მიიწევს ჩრდილოეთისკენ, იტალიური ალპებისა და მილანისკენ. უკან იტოვებს პატარ-პატარა კოხტა ქალაქებსა და ძალა-გამოცლილ სპორტსმენებს. ჟურნალისტები წერენ, ფანები ქომაგობენ. ერთი სიტყვით, ყველა თავის გასაკეთებელს აკეთებს.

ყვირყვირი

ნინო I

"ბუდუარის კრიზისი" "რომაში"

როცა ცხადი გახდა, რომ სერია A-ს ერთ-ერთ გრანდად მიჩნეული "რომა", რომელიც ერთი წლის წინ "სკუდეტოსთვის" იბრძოდა, ორი წლის წინ კი იტალიის ჩემპიონი იყო, მიმდინარე სეზონში მერვე ადგილს ვერ ასცდებოდა, იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა დაიწყეს იმ მიზეზების გამოჩხრეკა, რამაც ფაბიო კაპელოს კარგად აწყობილი გუნდი ამ უცნაურ კრიზისამდე მიიყვანა. ჩავარდნის მთავარი მიზეზები, ალბათ, გადაღლილობა და ძლიერი რეზერვის არქონაა - "რომას" ხომ თითქმის სამი სეზონის მანძილზე უხდებოდა მარათონული ბრძოლა იტალიის ჩემპიონატში თუ ევროსარბიელზე. ფრანჩესკო ტოტისა და ფაბიო კაპელოს შორის მომხდარი განხეთქილებაც არ უნდა დავივიწყოთ. ისიც აღსანიშნავია, რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, კაპელომ დღემდე ვერ მოახერხა რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენა, ძველები კი უღმერთოდ დაბერდნენ. აბა, რაღა დროს ალდაირის ფეხბურთია? ანდა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ბრაზილიელი კაფუსი, ან, თუნდაც, "ინტერში" გაყიდული არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტასი?

ეს - პროფესიული მხარე. ამის პარალელურად არსებობს ფეხბურთელთა პირადი პრობლემებიც. სწორედ ამ პირადულმა აბრაკადაბრამ შეუტია ბოლო ხანებში ასე მწარედ რომულუსის შთამომავლობას. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელიც ხომ ადამიანია. რაც უნდა იძახოს მავანმა და მავანმა, მოედანზე მთავარი პროფესიონალიზმიაო, მაინც ხშირად ვყოფილვართ ისეთი ფაქტის მოწმე, როცა პირადი პრობლემებით დამძიმებული ესა თუ ის ფეხბურთელი პროფესიას საერთოდ ივიწყებს და მოედანზე თავგზააბნეული დარბის. "რომას" "მგლებსაც" ასე დაემართათ. ვინჩენცო მონტელა, გაბრიელ ბატისტუტა, მარკო დელვეკიო, ვენსან კანდელა და ემერსონი თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში, ძირითადად, ოჯახური პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი და, რა გასაკვირია, რომ ფეხბურთისთვის აღარ სცხელოდათ...

ისკია - სიყვარულისა და განშორების კუნძული

"რომას" ფორვარდ ვინჩენცო მონტელასთვის 2002-03 წლების სეზონი მეტად რთულად დაიწყო. "აეროპლანინო" ჯერ "სკუადრა აძურას" თავკაცს ჯოვანი ტრაპატონის გაებუტა, - ნაკრებში რატომ არ მიძახებსო და ეროვნული გუნდიდან წასვლაზე ალაპარაკდა, შემდეგ კი მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ, თურმე, მისი საყვარელი მეუღლე, რომლის გვერდითაც თორმეტი წელი ჰქონდა გატარებული, მეტისმეტად ხშირად დადიოდა კუნძულ ისკიაზე. ერთი შეხედვით, ამაში თითქოს უცნაური არაფერი უნდა ყოფილიყო - მონტელას საკუთარი ვილა აქვს ამ კუნძულზე და მეუღლესთან ერთად არდადეგები ბევრჯერ გაუტარებია ზღვაზე, მაგრამ რატომ უნდა წასულიყო მარტო ისკიაზე მაშინ, როცა "აეროპლანინო" რომში იყო და ფეხბურთს თამაშობდა? ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ რიტას რაღაც სერიოზული მიზეზი ჰქონდა ამ გაუგებარი ვოიაჟებისთვის?

რიტა მონტელა

მალე ყველაფერი გაირკვა. აღმოჩნდა, რომ რიტა იანაკონე სხვაზე იყო შეყვარებული. თორმეტწლიან ოჯახურ იდილიას გაქრობის საფრთხე დაემუქრა. მონტელამ ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო რიტა, როცა 1991-92 წლების სეზონში სერია C1-ის კლუბ "ემპოლიში" თამაშობდა და კარიერას, ის-ის იყო, იწყებდა. მაშინ მას "აეროპლანინოს" არავინ ეძახდა. ერთი ჩვეულებრივი, დამწყები ფეხბურთელი იყო. რიტა მის სიმდიდრეს და სახელს არ მოუხიბლავს - თორმეტი წლის წინ მონტელას არც ერთი ჰქონდა და არც მეორე. სინორინა იანაკონე ახალგაზრდა ფეხბურთელის პირადმა ღირსებებმა მოხიბლა. იმ შორეული 1991 წლიდან ისინი მუდამ ერთად იყვნენ. დაქორწინდნენ კიდეც. ვვილიც შეეძინათ. პატარა ალესიო ახლა ოთხი წლისაა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ რიტას ახალი სიყვარული ეწვია. 2002 წლის სექტემბრიდან მათი ურთიერთობა დაიძაბა. რიტა უკვე აღარ მიდიოდა რომის ოლიმპიურ სტადიონზე ვინჩენცოს თამაშის სანახავად. უკანასკნელად ის რომაული დერბის დროს იჯდა ტრიბუნაზე, 27 ოქტომბრის შემდეგ კი სტადიონზე აღარ გამოჩენილა. მონტელა პირქუში და სევდიანი გახდა. უარს ამბობდა ყოველგვარ ინტერვიუზე, ტელევიზიით გამოსვლაზე. მატჩის დამთავრებისთანავე გასახდელში გარბოდა. მისმა უახლოესმა მეგობრებმა ფრანჩესკო ტოტიმ და ანტონიო კასანომ ყველაფერი იცოდნენ და ცდილობდნენ, დეპრესიაში მყოფი "აეროპლანინო" ცნობისმოყვარეთა შემოტევებისგან დაეცვათ. ასე გრძელდებოდა 2003 წლის თებერვლამდე. მერე კი მონტელა და რიტა ოფიციალურად დაშორდნენ ერთმანეთს.

გაყრის პროცესმა კორექტულად ჩაიარა. რიტა და ვინჩენცო სწრაფად შეთანხმდნენ ყველაფერზე: ბავშვის ბედზეც, იმ თანხაზეც, რასაც პატარა ალესიო მამისგან მიიღებდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რიტას დარჩა ფორიოს ლამაზი ვილა ძაროს ტყეში, რომელიც მონტელამ ორი წლის წინ იყიდა. მოკლედ, ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდა. რიტა ისევ ისკიაზე წავიდა, მონტელას კი მხოლოდ ორი თვე დასჭირდა გონზე მოსასვლელად. მალე ჟურნალისტებმა ის რაკელე დი ფიორეს საზოგადოებაში შენიშნეს. "აეროპლანინო" მხიარული და ბედნიერიც კი ჩანდა. მომხიბვლელი ბალერინა და "შოუგერლი" რაკელე დი ფიორე მონტელას კრიზისის დაძლევაში კი დაეხმარა, მაგრამ "რომას" ფორვარდის სიყვარულის მოპოვება მაინც ვერ შეძლო. ცოტა ხნის წინ მონტელა "რაის" კიდევ ერთი "შოუგერლით", 28 წლის ანტონელა მოზეტით დაინტერესდა. სხვათა შორის, მოზეტის იტალიაში წესიერი ქალის იმიჯი აქვს. უკვე ექვსი წელია, დაქორწინებულია და ხუთი წლის გოგონაც ჰყავს. ამის მიუხედავად, ვინჩენცო და ანტონელა ერთად მეტად მხიარულად ატარებდნენ დროს. ისე ბედნიერად იცინოდნენ და ერთობოდნენ, რომ ელიტარული ჭორების მოყვარული საზოგადოება სკანდალის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ხდება, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი, პაპარაცების გულს რომ გაახარებდა. მონტელა ისევ მარტოხელა მომხიბვლელი მამაკაცის სტატუსს ატარებს. მის მაგალითს ბრაზილიელმა ემერსონმაც მიბაძა – ისიც გაშორდა ცოლს (როგორც უკვე მოგახსენეთ), მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს. ემერსონისა და მისი სონიას ამბავს, ასევე, "რომას" სხვა ფეხბურთელების "ბუდუარის" პრობლემებს სხვა დროს მოგიყვებით...

ჩოგბურთი

წარუმატებლობები გრძელდება

რა იქნება თბილისში ან ბათუმში გასამართ ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე - ანა კურნიკოვა თუ მიიღებს მონაწილეობას? ვილაცას ეს, შესაძლოა, აბსურდად მოეჩვენოს, მაგას ჩვენთან რა ჩამოიყვანსო, მაგრამ ბოლო დროს რუსი ჩოგბურთელის თავს გადამხდარ ამბებს თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაფერია.

რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლები შანსია იმისა, რომ ანა კურნიკოვა ძველებურად ათამაშდება. WTA-ის ტურნირებში წარუმატებლობების შემდეგ რუსმა სპორტსმენმა დაბალი კატეგორიის ტურნირებში სცადა გამოსვლა იმ იმედით, რომ ძველ ფორმას დაიბრუნებდა. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ამაზეა ნათქვამი.

ამ დღეებში შარლოტსვილში ერთი ისეთი ტურნირი დასრულდა, თბილისში რომ ტარდება, ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე – 25000-დოლარიანი საპრიზო ფონდით. ტურნირის ორგანიზატორებმა სათამაშოდ დიდი ამბით მოიწვიეს ანა კურნიკოვა. ჩოგბურთის სექს-სიმბოლოს გამოსვლა ნებისმიერ ტურნირზე ამ შეჯიბრებას პრესტიჟს და შემოსავალს მატებს. ორგანიზატორებმაც ზუსტად გათვალეს, რომ კურნიკოვას მოწვევით ტურნირის შემოსავალი გაიზრდებოდა, სპონსორებსაც შეჯიბრების დაფინანსების მეტი სურვილი გაუჩნდებოდათ. თუ ამერიკულ საინფორმაციო საშუალებებს ვენდობით, შარლოტსვილის ტურნირს ამდენი მაყურებელი არ ახსოვს - ბილეთის საშოვნელად ჩოგბურთის მოყვარულები თუ კურნიკოვას ნახვის მსურველები რიგშიც კი მდგარან. სპონსორებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. წინა წლებში ტურნირის ჩასატარებლად ფინანსების მაძიებელი ორგანიზატორები ფეხიფეხზეგადადებულნი მსხდარან და შეჯიბრების დაფინანსების მსურველთა გრძელი სიიდან მოსაწონებს არჩევდნენ.

ორგანიზატორების ამბავი ცალკე სასაუბრო თემაა. რაც შეეხება კურნიკოვას, როგორც აქამდე თამაშობდა, ისეც აგრძელებს – პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. ცხადია, არც "როლან გაროსისთვის" კარგად მომზადება გამოუვიდა. ჩოგბურთელის ასეთ წარუმატებლობას ბევრი ფეხის ტრავმას აბრალებს - დიდი ხანია, რუს სპორტსმენს ტკივილი აწუხებს.

"სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა, რომ ანა ტურნირს ასე მალე გამოეთიშა. მე მისი დიდი გულშემატკივარი ვარ და, სულ ცოტა, მის ფინალში თამაშს ველოდი. სამწუხაროდ, იმედი გამიცრუვდა. წარმომიდგენია, რა მშვენიერი ფინალი გამოვიდოდა", - ვითომ მართალს ამბობდა ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი კლაივ უორნიკი? მის სიტყვებში ეჭვის შეტანის საფუძველს მისივე წარსული იძლევა. ისევ ამერიკულ წყაროებს დავეყრდნოთ: უორნიკს არაერთხელ ჰქონია "საქმის გარჩევა" ქვეყნის საგადასახადო სამსახურთან, უმეტესად, შემოსავლების დაფარვის გამო. ერთ-ერთ წყაროს მისი ადრე ნათქვამი სიტყვებიც კი მოჰყავს: სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ჩემთვის ხომ მთავარი ფულიაო. ჰოდა, ასეთი კაცისთვის კურნიკოვას ფინალში გასვლა იმიტომ იყო საჭირო, რომ რუსის მონაწილეობით გამართულ მატჩზე მაყურებელმა ტრიბუნები სრულად შეავსო. ეჭვი არ არის, კურნიკოვას მონაწილეობით გამართულ სხვა პარტიებზეც იგივე იქნებოდა, შესაბამისად, შემოსავალიც შარშანდელთან შედარებით სამჯერ კი არა, უფრო მეტად გაიზრდებოდა.

ყველაფრის მიუხედავად, თავად ჩოგბურთელი იხტიბარს არ იტეხს, დრო მოვა და ყველას დავუმტკიცებ, რისი მაქნისიც ვარო. დაეჯერება ვითომ?

«Вечерний маяк» – ты нам нужен!

Наша редакция ищет корреспондента на постоянную работу. Требования: грамотная речь, умение писать интересно, водительские права. Резюме и 3 ваших статьи присылайте на почту kadry@vmayak.ru до 30 мая. Звонки не принимаем.

Реклама

Индивидуальный пошив штор, покрывал, ламбрекенов. Замеры бесплатно. Ткани клиента. Гарантия 2 года. Ул. Ивовая, 14, тел. 8(973) 555-12-34.

Ремонт холодильников на дому. Гарантия 1 год. Выезд мастера в день звонка. Тел. 8(973) 612-45-09.

Продаётся дом в Заречье, 120 м², 4 комнаты, газ, вода, участок 6 соток. Цена 3 200 000 руб. Тел. 8(973) 204-17-66.

Требуется водитель кат. В, С. Опыт от 3 лет. Официальное трудоустройство. Звонить с 9:00 до 17:00: 8(973) 330-41-05.

Ищу работу няни. Опыт 5 лет, рекомендации. Тел. 8(973) 771-02-48

შარვალი, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო

ირაკლი მახარაძე

ცოტა ხანი ვიმუშავე ლივაის მაღაზიაში... ნამეტარი მდიდარია... იმსიმაგრე შარვალს კერავს, რუმ მეინდომო ვერ დახევ თანაც ჩასაცმავია კაი...

უცნობი გურული მოჯირითეს დღიურიდან, მე-19 საუკუნის 90-ანი წლები მაინც რა არის ამერიკის ყველაზე დემოკრატრიული და საცნობი სიმბოლო, ის, რითაც მან მთელი მსოფლიო დაიპყრო? კინემატოგრაფი, მაკდონალდსი, კოკა-კოლა? შეიძლება, თუმცა ბევრ უბრალო მოკვდავს ზოგი რამ აქედან არც უნახავს და არც უგემია, თანაც ეს ყველაფერი შეიძლება მოეწონოს, შეიძლება არა, მაგრამ რაც შეეხება ჯინსს, ამ ყველაზე პრაქტიკულ ტანსაცმელს მთელ მსოფლიოში, ყველა კარგად იცნობს და მშვენივრად გრძნობს მასში თავს. და ჯერჯერობით არ გამიგია, რომ ვინმეს რაიმე აუგი ეთქვას მასზე. თუმცა, მახსოვს 8-10 წლის ვიქნებოდი, "ბარიგებისა" და "ინტურისტების" მეშვეობით, ჯინსი ნელნელა რომ შემოიჭრა ჩვენს სინამდვილეში. იმ ხანებში ჩემს მამიდაშვილს უნდოდა "ბუტილკა" Super Rifle ეყიდა და მამიდაჩემს ფული სთხოვა. მამიდაჩემმა ფასი რომ გაიგო თქვა: "ნენა, ამ ჩვარში რაფერ მივცე 25 მანეთი?"

ყველანაირი დაბრკოლების მიუხედავად, იქნებოდა ეს კომუნისტური რეჟიმი, ომი თუ სხვა რამ, ჯინსმა ყველაგან შეაღწია და ისეთი მყარი ადგილი დაიკავა პლანეტის მილიონობით ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში, რომ მის გარეშე, ალბათ, ახლა ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ყველაზე მთავარი ამ ტანსაცმელში ის გახლავთ, რომ ის განსხვავებული აღნაგობის ადამიანს - მსუქანს, გამხდარს, მაღალს, დაბალს, დაბრეცილს უხდება და რაც უმთავრესია, ჯინსში ისე გრძნობ თავს, თითქოს სპეციალურად შენთვის არის შეკერილი და მას მთელი შენი სიცოცხლე ატარებდი.

ჯინსი ისეთი პოპულარული ფენომენი გახდა, რომ მან კულტურის ყველა სფეროში შეაღწია, განსაკუთრებით, მუსიკაში: გახსოვთ, ალბათ, ინგლისური ჯგუფის Animals-ის ცნობილი ჰიტი House Of The Rising Sun, სადაც ასეთი სიტყვებია: "დედაჩემი იყო მკერავი, მან შემიკერა ჩემი ახალი ლურჯი ჯინსი", ინგლისურმა ჯგუფმა Swinging Blue Jeans, რომელმაც პოპულარობა სიმღერა Hippy Hippy Shake-ის შესრულებით მოიპოვა, სახელი ამ შარვლის საპატივსაცემოდ დაირქვა. ერთხელ მათ კურიოზი შეემთხვათ - ჯგუფის წევრები ყოველთვის ლურჯ ჯინსებსა და ქურთუკებში გამოწყობილნი დადიოდნენ და ერთხელ ქუჩაში სეირნობისას ისინი პოლიციამ დააპატიმრა, რადგან ადგილობრივი ციხიდან გაქცეული პატიმრები ეგონა; პატიმრების ფორმა კი მოგეხსენებათ - ლურჯი ჯინსია. ან და "როლინგსტოუნზის" ალბომი Sticky Fingers" გაიხსენეთ, რომლის გარეკანზე Levi's ჯინსია გამოხატული; მისი დიზაინი ხომ ცნობილმა ენდი უორჰოლმა შექმნა. და ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, კინემატოგრაფს და კერძოდ, ვესთერნს თავი რომ გავანებოთ.



კომპანიის თანამშრომლები ოფისის წინ. 1880-იანი წლები

ა.წ. მაისში ჯინსს 130 წელი უსრულდება. ყველაფერი კი ჩვეულებრივად დაიწყო. 1847 წელს 18 წლის ლოებ სტრაუსმა (1829-1902), ბავარიელი ებრაელი ვაჭრის შვილმა დატოვა გერმანია, რათა შეერთებოდა ამერიკაში თავის ძმებს, რომელთაც ნაჭრების მაღაზია ჰქონდათ გახსნილი ნიუ იორკში. ერთი წლის განმავლობაში, მან კარგად შეისწავლა ეს საქმე, გადაიკეთა სახელი, გახდა ლივაი (Levi) და გახსნა მაღაზია კენტუკის შტატში. 20 წლის განმავლობაში მან გააფართოვა თავისი ბიზნესი, იგი თითქმის მთელ დასავლეთში ვაჭრობდა (1848 წელს კალიფორნიაში აღმოაჩინეს ოქრო და მაშინ დაიწყო ე.წ. ოქროს ციებ-ცხელება, რომელიც რამოდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდა. თავისი ბიზნესის ადგილმდებარეობაც ლივაიმ ზუსტად გათვალა, რადგან ათასობით ოქროს მაძიებელს სჭირდებოდა გამძლე ნაჭრები კარვებისათვის, ტანსაცმლისა და სხვა საჭიროებისათვის). ლივაი სტრაუსმა მოიხვეჭა რესპექტაბელური ბიზნესმენის და ქველმოქმედის სახელი.

ლივაის ერთ-ერთი მუშტარი მკერავი ჯეიკობ დეივისი იყო, ლატვიელი ემიგრანტი, რომელიც ნევადაში ცხოვრობდა და რეგულარულად ყიდულობდა ნაჭრებს Levi's კომპანიაში. ჯეიკობის ერთი მუშტარი დღენიადაგ წუწუნებდა, რომ შარვლის ჯიბეები ეხეოდა. ჯეიკობს ამ კლიენტმა ისე მოაბეზრა თავი, რომ გადაწყვიტა, ჯიბეები რკინის მოქლონებით დაემაგრებინა. მოულოდნელად ასეთი შარვალი ყველას მოეწონა, განსაკუთრებით კი, მაღაროელებს და ოქროს მაძიებლებს, (ეს ხდება 1872 წელს). მოქლონებიანი შარვალი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ჯეიკობმა გადაწყვიტა დაეპატენტებინა ეს იდეა, მაგრამ საბუთების გასაფორმებლად 68 დოლარი არ აღმოაჩნდა, მას სასწრაფოდ სჭირდებოდა ბიზნეს-პარტნიორი და ამიტომ წერილი გაუგზავნა ლივაი სტრაუსს.

"ლევისის" ერთ-ერთი პირველი რეკლამა

ჯეიმს დინი ფილმში "გიგანტი"

ეს უკანასკნელი შორსმჭვრეტელი ბიზნესმენი იყო, მაშინათვე მიხვდა, რომ ოქროს საბადოს წააწყდა და დათანხმდა. 1873 წლის 20 მაისს, მათ მიიღეს პატენტი N139 121 და ეს დღე ითვლება ჯინსის დაბადების დღედ. ამ თარიღიდან იწყება მისი ტრიუმფალური სვლა მთელ მსოფლიოში.

სტრაუსი შეკვეთებს ვეღარ აუდიოდა, ამიტომ მისწერა თავის ძმებს ნიუ იორკში, რათა გამოეგზავნათ უფრო მეტი ნაჭრები. ძმებმა გამოუგზავნეს ფრანგული ბამბის ქსოვილის ნაჭრები, რომელსაც ერქვა serge de Nimes, იმ ქალაქის სახელწოდების მიხედვით, სადაც ის მზადდებოდა. კალიფორნიელებმა კი მაშინათვე შეამოკლეს სიტყვამდე denim და ასე მონათლეს ეს შარვლები, თუმცა სტრაუსი თავის პროდუქტს უბრალოდ waist overalls უწოდებდა. თავისი ახალი შარვლებისათვის იგი იყენებდა სხვა უცხოურ ქსოვილებსაც, რომელსაც ერქვა Genes, ეს ფრანგული სიტყვაა წარმოქმნილი ქალაქის სახელიდან გენუა. მაგრამ ამერიკაში ის გადაიქცა უბრალოდ jeans, თუმცა, ამ სახელით Levi's პროდუქცია მოგვიანებით გახდა ცნობილი. 1880 წლიდან სტრაუსი ჯინსისთვის ნაჭრებს უკვე ამერიკაში, ნიუ ჰემფშირში ყიდულობდა.

თავიდან Levi's იკერებოდა ყავისფერი ნაჭრისაგან, სტრაუსმა "მოტვინა", რომ შარვალი უფრო კარგად გაიყიდებოდა, ლურჯი ფერის რომ ყოფილიყო, და ამ იდეამ გაამართლა. პირველ ჯინსს მხოლოდ ერთი უკანა ჯიბე (წყვილი ჯიბე 1900 წლისათვის მიაკერეს), საათის ჯიბე და საბეჭურის ღილები ჰქონდა. 1886 წლიდან შარვალს გარედან მიაკერეს ტყავის იარლიყი, რომელზეც გამოსახული იყო ორი საპირისპირო მხარეს მიმავალი ცხენი, რომელიც ჯინსის გახევას ლამობდა. დაახლოებით 1890 წლისათვის კი ლივაის ჯინსს ოფიციალური ნომერი 501 მიაკუთვნეს. უკანა მარჯვენა ჯიბეზე პატარა წითელი იარლიყი იმის მანიშნებელია, რომ ტრადიციული 501 ჯინსი ღილებითაა, თუ იარლიყი სტაფილოსფერია, მაშინ შარვალს შესაკრავი ელვა აქვს. იმ წლებში ჯინსი ერთი დოლარი და 46 ცენტი ღირდა (რამოდენიმე ხნის წინათ, ერთ მაღაროში იპოვეს 1880-იან წლებში გამოშვებული Levi's, რომელიც აუქციონზე 30 ათას დოლარად შეაფასეს).

Levi's მაგალითით შეგულიანებულებმა, სხვა ფირმებმაც (Wrangler, Lee) დაიწყეს ჯინსის კერვა და წარმატებასაც მიაღწიეს, თუმცა წლების მანძილზე ჯინსი მხოლოდ დასავლეთელების ტანსაცმელად ითვლებოდა და მენახირეკოვბოებთან და მუშებთან ასოცირდებოდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში კი ვესთერნის პოპულარულობასთან ერთად, ჯინსი საზოგადოების თვალში თავისუფლების და ინდივიდუალობის სიმბოლო გახდა და ამ აზრს ისეთი კინო-კერპები ამყარებდნენ, როგორც ჯონ უეინი, გერი ქუპერი, რენდოლფ სქოტი (50-იან წლებში კი ჯინსს "რეკლამას" უწევდა მარლონ ბრანდო, ჯეიმს დინი და მერილინ მონრო) იყვნენ. ამის შედეგი იყო, რომ ამერიკის აღმოსავლეთ შტატებშიც ჯინსი სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა და მათ შორის ქალების, საყვარელ ჩასაცმელად იქცა. ქალები იმიტომ აღვნიშნე, რომ მაშინ საზოგადოებაში ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო სუსტი სქესის წარმომადგენელი შარვალში; როდესაც მარლენ დიტრიხი და ქეთრინ ჰეპბერნი პირველად გამოჩნდნენ ამ მამაკაცურ სამოსში გამოწყობილნი, ამან ბევრი შოკში ჩააგდო.

ჯინსი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ტანსაცმლად იქცა. მეორე მსოფლიო ომის დროს ჯინსი ცოტა რაოდენობით გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ეს შარვალი სწორედ მაშინ გააცნეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურიდან თავისუფალ დროს ჯინსს იცმევდნენ.

მომდევნო წლებში ჯინსით დადიოდა ყველა და ყველგან, ეკლესიის გარდა. თუმცა, ბევრ ადგილას (მაგალითად სკოლებში) ის მიღებული არ იყო და ხშირად "იდევნებოდა". ცნობილია, რომ 1951 წელს კანადის ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ცნობილმა მომღერალმა და მსახიობმა ბინგ ქროსბიმ პროტესტის ნიშნად უარი თქვა ოთახზე, რადგან სასტუმროს კლერკი არ აძლევდა შესახლების უფლებას მათ, ვისაც ჯინსი ეცვა. ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა 60-იანმა წლებმა. ზუსტად მაშინ დაარქვეს ამ ტანსაცმელს jeans და როკ-მუსიკასთან ერთად მან მყარად და სამუდამოდ დაიკავა თავისი ადგილი ამერიკელთა, და არა მარტო მათ, ცხოვრებაში (ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საბჭოთა კავშირსა და სოციალიტური ბანაკის ქვეყნებში ყველაფერი დასავლური და მათ შორის ჯინსი, იქაური საზოგადოების დეკადენტობის "მანიშნებელი" იყო და ამიტომაც აქ ეს ტანსაცმელი პრაქტიკულად არ იშოვებოდა. Levi's-ის არქივებში შემონახულია ამ ქვეყნებიდან მისული წერილები, რომელთა ავტორები კომპანიას ჯინსის გამოგზავნას სთხოვდნენ).

ჯინსი იქცა ვუდსტოკის თაობის ფორმად და მაშინ გამოჩნდა მისი უამრავი ნაირსახეობა - შეღებილი, გახეხილი, მოხატული, აპლიკაციებითა და ნახატებით დამშვენებული. ჯინსი ახალგაზრდული მეამბოხური სულის ერთგვარ გამოხატულებად და ბაირაღად მოგვევლინა. ჯინსის მოხატვის ხელოვნება ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ 1973 წელს Levi's-მა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო მოხატულ ჯინსზე და სთხოვა ყველას ფოტოების გამოგზავნა. სულ მოვიდა 2 ათასი ცალი ფოტოსურათი. გამარჯვებულ ნიმუშებს, რომელთაგან ზოგიერთი თვით Levi's-მა შეისყიდა საკუთარი არქივისათვის, 18 თვის განმავლობაში აჩვენებდნენ ამერიკის სხვადასხვა მუზეუმებსა და გამოფენებში,

80-იან წლებში ცნობილმა დიზაინერებმა დაიწყეს საკუთარი ჯინსის გამოშვება და როგორც იქნა, კოვბოებისა და მუშების შარვალი აზიარეს მაღალ მოდას, ასეთი წარმატება არც ლივაი სტრაუსს და არც ჯეიკობ დეივისს ნაღდად არ დაესიზმრებოდა, და დღესაც მათი მოქლონებიანი ჯინსი კვლავ განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას მსოფლიოში.

იყიდება ვარსკვლავის სახლი

■ ■ ■

ბევერლი ჰილსი იმიტომ იყო ყველაზე მოდური უბანი მთელს ლოს ანჯელესში, რომ იქ ჰოლივუდელი მსახიობებისა და რეჟისორების სახლები იდგა. თუმცა, ბოლო დროს უბრალო კალიფორნიელები ისეთი ინტენსივობით ყიდულობდნენ ვილებს ამ ელიტარულ უბანში, რომ იქ კინოს ვარსკვლავების მოსაგონებლად საპატიო დაფებიღა შემორჩა: "აქ ცხოვრობდა ფრენკ სინატრა", ან "ეს ვილა ეკუთვნოდა ლეონარდო დი კაპრიოს".

მართალია, ბევერლი ჰილსი უკლებლივ ყველა ვარსკვლავს არ მიუტოვებია და იქ დღემდე ცხორობენ ცნობილი სახეები, მაგრამ საყვარელ დასახლებას ტოვებს მადონა. ბრიტანეთზე და თავის ბრიტანელ მეუღლეზე შეყვარებული მომღერალი ბევერლი ჰილსის ვილას 10.9 მილიონ დოლარად ჰყიდის. უოლეს ნეფის დიზაინით შექმნილი, ესპანური სტილის სახლი მანამდე მსახიობ დაიან კიტონს ეკუთვნოდა. სწორედ ამ ქალბატონმა გადააკეთა ის საფუძვლიანად და შემდეგ 2000 წელს მადონას მიჰყიდა. 1920-იან წლებში აგებულ ვილას რვა საძინებელი ოთახი აქვს, ეზოში ცალკე დგას სტუმრებისთვის განკუთვნილი სახლიც.

იმავე წელს მადონამ თითქმის იგივე ფასად სახლი ლონდონშიც იყიდა. შემდეგ კი მთლიანად ევროპაში გადასახლდა და მიხვდა, რომ ბევერლი ჰილსური ვილა აღარაფერში სჭირდებოდა. ასე რომ, ახლა ვარსკვლავებზე მონადირე მდიდარ ამერიკელს შანსი აქვს, მადონას სახლში შესახლდეს.

■ ■ ■

ენტონი კიდისი, ჯგუფ Red Hot Chili Peppers-ის ლიდერი სუპერ-წარმატებული ალბომის By The Way-ის პოპულარიზაციის მიზნით "შორეულ ზღვაოსნობაში" – მსოფლიო ტურნეში იმყოფება. ალბათ, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კიდისმა, რომ სახლი ჰოლივუდში აღარ სჭირდება. ასეა თუ ისე, მან თავისი ჰოლივუდ ჰილზსის ულამაზესი ვილა მწერალ რენდი ტარაბორელის 1.9 მილიონ დოლარად მიჰყიდა. 4.500 კვ.ფუტის ფართობის მქონე სახლი 1941 წელს ესპანურ სტილშია აშენებული და გამოირჩევა მშვენიერი პანორამული ხედებით – გადაჰყურებს ქალაქსაც, ტბა ჰოლივუდსაც და სან ფერნანდოს ხეობასაც. ერთი სიტყვით, სახლის პატრონს თვალწინ ულამაზესი სანახაობა ეშლება. ვილას ოთხი საძინებელი, 3 სააბაზანო ოთახი და ბუხარი აქვს. სტუმრებისთვის განკუთვნილ ნაგებობაში კი ორი საძინებელი ოთახი და ორი აბაზანა შედის.

ასე რომ, კიდისის სახლში ამიერიდან ტარაბორელი დაბინავდება; კაცი, რომელიც თავისი ბიოგრაფიული ხასიათის წიგნებითაა განთქმული. მათ შორის აღსანიშნავია "იყო და არა იყო რა: პრინცესა გრეისისა და პრინც რანიეს ზღაპრის მიღმა", "დაიანა როსის შესახებ", მაიკლ ჯექსონის ცხოვრება" და "ჯეკი, ეთელი, ჯოანი: კამელოტის ქალები" – წიგნი კენედების ცოლების შესახებ.

ბრედ პიტი დაბერებულა

სექს-სიმბოლოს იმიჯის დაკარგვის პერსპექტივით დაშინებულმა კინომსახიობმა ბრედ პიტმა სახის დაჭიმვა გადაწყვიტა და პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ პიტს პლასტიკური ქირურგებისთვის კი არა, ფსიქოთერაპევტისთვის უნდა მიემართა, მაგრამ უკვე გვიანია – ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

ბრიტანული ჟურნალი "სტარი" იუწყება, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავს ლოს ანჯელესის ერთ-ერთ პლასტიკური ქირურგიის ინსტიტუტში აღუთქვეს, რომ ოპერაციის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთი ამბები არ იმალება ხოლმე. საქმე ის გახლავთ, რომ 39 წლის მამაკაცს ბოლო ხანებში სერიოზული ფსიქოლოგიური სირთულეები ჰქონდა, სულ იმის გამო, რომ ასაკი დაეტყო და გარეგნულად შეიცვალა. სპეციალიზებული კლინიკისთვის მიმართვა მისთვის მეუღლეს, ჯენიფერ ენისტონს ურჩევია. ბრედ პიტს პლასტიკური ოპერცია გაუკეთეს – ნაოჭები გაუქრეს. ჟურნალის წარმომადგენელს აუხსნეს, რომ ეს დაჭიმვის ახალი სახეობაა, რომელსაც გართულებები არ მოჰყვება და რომლის შემდეგაც დამატებითი ოპერაციები საჭირო აღარ იქნება. მოკლედ, ბრედ პიტს მარადიული ახალგაზრდობის იმედი მიეცა და თითქოს დამშვიდდა.

ამერიკელ ფსიქოლოგებს კი მიაჩნიათ, რომ თავიანთი გარეგნობის ნაკლოვანებების ხელოვნური გზით გამოსწორების მსურველები სერიოზულ ფსიქო-

ბრედ პიტი

ლოგიურ დამოკიდებულებაში ხვდებიან. ამ ავადმყოფობას განსაკუთრებული სახელიც კი ჰქონია – "დისმორფული სინდრომი". პლასტიკური ქირურგიის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ასეთი აზრებით შეპყრობილ ადამიანს გარეგნობის გამოსწორება არაფერს შველის, მას ფსიქოთერაპევტის ჩარევა სჭირდება, რადგან მხოლოდ ფსიქოტერაპევტი დაუბრუნებს მას საკუთარი თავის რწმენას და საკუთარი გარეგნობის გამო სიამაყის უნარს.

მიუხედავად ამისა, სააგენტო "კოსმოპრესის" მონაცემებით, ამერიკელთა ჯიბიდან ყოველწლიურად შვიდი მილიარდი დოლარი პლასტიკური ქირურგების ანგარიშზე ჯდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში 30 წლის ასაკს მიღწეული საშუალოსტატისტიკური მოქალაქეც კი ასეთ ოპერაციაზე იწყებს ფიქრს, ძირითადად, ნაოჭების გაქრობაზე ზრუნავს. სახის კარდინალურ დაჭიმვაზე ამერიკელები მხოლოდ 50 წლის ასაკში მიდიან, ეს სიამოვნება კი დაახლოებით ხუთი ათასი დოლარი ღირს.

ამის მიზეზი, ალბათ, მაინც ისაა, რომ დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფანატიკურადაა "ვარსკვლავებზე" შეყვარებული. თაყვანისმცემლები ცდილობენ, თავიანთ კერპებს ოდნავ მაინც დაემსგავსონ, ვარსკვლავები კი, თავის მხრივ, მათთვის თავის მოწონებას ცდილობენ. ეს ორივე მხარეს უამრავი სულელური ნაბიჯისკენ უბიძგებს.

ცოტა ხნის წინათ ჩესტერის სტომატოლოგიური ცენტრის სპეციალისტებმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარეს, თემაზე "ვის აქვს ყველაზე სექსუალური ტუჩები?"

ქალთა შორის ანჯელინა ჯოლიმ გაიმარჯვა – პენელოპა კრუზსაც აჯობა და ჯულია რობერტსაც. ცხადია, სკეპტიკოსებმა იქირქილეს, ტუჩები ანჯელინას ერთადერთი ნიჭიაო, მაგრამ მაინც.

მამაკაცებში კი პირველობა ბრედ პიტს ერგო, მან დევიდ ბექჰემიც და ჯონი დეპიც უკან მოიტოვა. მიუხედავად ამისა, პიტს თავისი გარეგნობის დარდი კლავს. ეტყობა, მართლა დაბერდა.

ლეონარდო და ვინჩი. რეტროსპექტივა

ეს უდიდესი გამოფენაა, რომელიც საფრანგეთმა იტალიელ გენიოსს, ლეონარდო და ვინჩის (1452-1519) უძღვნა. მსგავსი გაქანების ექსპოზიცია ევროპას საერთოდ არ ახსოვს: "ლეონარდო და ვინჩი, ნახატები და ხელნაწერები". ამ ოსტატის შემოქმედების რეტროსპექტივა ლუვრში უკანასკნელად 1952 წელს მოეწყო, მაგრამ მაშინ ასეთი მაშტაბისა არ ყოფილა.

14 ივლისამდე ლუვრის სტუმრებს ლეონარდოს 130 გრაფიკული ნამუშევრის (მათ შორის 47 მისი მოსწავლეებისა), 3 ფერწერული ტილოსა და 12 ხელნაწერის ნახვის საშუალება ექნებათ. გამოფენის დახურვის შემდეგ ექსპონატების უმრავლესობა კვლავ ინგლისის, იტალიის, გერმანიის, ამერიკისა და საფრანგეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციონერებს დაუბრუნდება.

ლეონარდოს "მოგზაურობა" ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმით დაიწყო. იქ გამოფენამ ცხრა კვირა გასტანა, მაგრამ საფრანგეთისგან განსხვავებით ხელნაწერები არ გამოფენილა.

გამოფენა ქრონოლოგიური და თემატური პრინციპითაა აგებული. ის დიდოსტატის მთელი შემოქმედებითი გზის მოცვის მცდელობა გახლავთ.

ყველაფერი 1470 წელს, ფლორენციაში დაიწყო, იმ დროისთვის წამყვანი ხელოვანის, ანდრეა დელ ვეროკიოს სახელოსნოში, რომელსაც და ვინჩი შეგირდად მიებარა. იმხანად ის 17 წლისაც არ იყო, მაგრამ დრაპირებისა და სამოსის ხატვა უკვე ეხერხებოდა. ეს მისთვის ქანდაკების ტოლფასი იყო: შუქ-ჩრდილის თამაში, კონტრასტები სრულყოფილად გამოსდიოდა. მისი შემოქმედების ადრეულ ხანას მიეკუთვნება ასევე "მოგვთა თაყვანისცემა" და პირველი შეკვეთით შექმნილი ტილო, ცნობილი "ქვაბულის ღვთისმშობელი".

მომდევნო დარბაზებში პორტრეტე-

იზაბელა დ`ესტე

ბია წარმოდგენილი: მშვენიერი სეფექალები და გროტესკული გამოსახულებები, იდეალიზებული ახალგაზრდობა და სიბერის კარიკატურები. ლეონარდოს აღორძინების ხანის სილამაზის იდეალიც აინტერესებდა და დაბერებული სხეულის ფორმებიც. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნახატიც ასეთი გახლავთ – მოხუცი, დანაოჭებული მამაკაცი, მოგრეხილი ნიკაპით და კეხიანი ცხვირით...

ფრანგულმა ინსტიტუტმა ლუვრს საგამოფენოდ ხელნაწერთა შესანიშნავი კოლექცია დაუთმო. ეს კვლევითი ნაშრომებია, ანატომიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, არქიტექტურის, ოპტიკისა და მექანიკის სფეროებში.

დიდმა ხელოვანმა, და ვინჩიმ, საფრენი აპარატი გამოიგონა და სისხლის მიმოქცევას სწავლობდა. ის აღორძინების ხანის უნივერსალურ გენიოსად ითვლება. არადა, ფლორენციელი ნოტარიუსის, სერ პიეროსა და სოფლელი გოგონას, კატარინას უკანონო შვილმა ლათინურიც კი არ იცოდა – არადა, ეს ენა იმხანად მეცნიერთა წრეში სავალდებულოდ ითვლებოდა. სხვათა შორის, მას ერთი უცნაურობა ახასიათებდა – თავისი ჩანაფიქრები თითქმის არასოდეს მიჰყავდა ბოლომდე. პაპ ლეო X უთქვამს: "ეს კაცი არასოდეს არაფერს გააკეთებს, რადგან მუშაობის დაწყებამდე აქვს ბოლო მოფიქრებულიო". სამაგიეროდ, ლეონარდო ესკიზის დიდოსტატი გახლდათ.

გამოფენის "მარგალიტი" იზაბელა დ`ესტეს პორტრეტია. მანტუას მარკიზის მშვენიერი მეუღლე, იზაბელა, დიდხანს ოცნებობდა ლეონარდოს მიერ შექმნილ პორტრეტზე. დამთავრება არც ამ ნამუშევარს ეღირსა. დღეს ჩვენ მხოლოდ ოდნავ ბუნდოვანი პროფილის ხილვა შეგვიძლია. ეს ნახატი ლუვრის კოლექციაში დიდი მეცენატების, ლუდოვიკო XII და ფრანსუა I-ის წყალობითაა დაცული.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კავშირი მსოფლიოს ლონდონ ბრონქთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ლორდ-მერია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / მარტი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA ბარკეტინგი / ფინანსები / IT
ინტერნაციონალი კომპანია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950
ხანგრძლივობა 1წ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არ აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიფარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 208 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან აგვილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

სპორტლოტო
შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ფირმა "ფენიქსი"
გისურვებთ წარმატებას.
ყოველ შაბათს, რუსთაველი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტირაჟი "საოჯახო ტიტრის" გათამაშება.
იხილეთ გაზეთ "24 საათში"

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.